


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

24 აგვისტო 2012 №17(173)

სიმართლის გადასახედიდან გიორგი სააკაძეზე  
დაუფასებელი ღვანილი ვანო მჭედლიშვილისა  
გვანცა ჯობავას მთარგმნელობითი დებიუტი  
გვანცა კანდელაკის გზის დასაწყისი  
მარი ლუიზე კაშნიცის ადამ და ევა  
გურამ ქართველიშვილის ნოველა  
იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერები  
ქეთი ნიუარაძის ნატვრის ხე  
დავით კიკნაძის მოთხრობა  
უფალი — უხილავ მესამედ  
ჯარვი ფხოველის ლირიკა  
ნაკრძალი საქართველო



## შირვანისი

<b>კლასიკური მემკვიდრეობა</b>	<b>2</b>	მეცნა ზაალიშვილი მისთვის სამლერი შემლილების აღარეთიდან (გვანცა ჯობავას წარმატებული დებიუტი)
<b>ერი და გადისხერა</b>	<b>4</b>	პაატა ჩხეიძე ნაკრძალი საქართველო (ოთარ ჩხეიძის რომანი „ნაკრძალი“)
<b>ესარეს-ჩრდილოება</b>	<b>6</b>	სალომე შენგელია „მინდა ცხოვრების პოლოვდე შევძლო კითხვა“ (მოამზადა ნატა ვარადამ)
<b>გამოხატვება</b>	<b>7</b>	ნინო ჩხიფვიშვილი ვასილ კიკეაძის წერილის გამო... ანუ 1:0 (ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“)
<b>წარები და წლები</b>	<b>8</b>	იოსებ ჭუმბურიძე ჩანაცერები
<b>პარზა</b>	<b>10</b>	გურამ ქართველიშვილი აიშვ
<b>პოვის გარიდგინები</b>	<b>13</b>	რაინერ მარია რილკე ავაზა, კონრად მაიერი მშრალი ნიჩბები
<b>პარზა</b>	<b>14</b>	დავით კიკნაძე ძრთაში
<b>პოვის</b>	<b>20</b>	ქეთი ნიუარაძე ნატვრის ხე და სხვა ლექსები
<b>უცხოეთის ცხოვრებიდან</b>	<b>22</b>	ჯარჯი ფხოველი დაბრუნება ძალაქ თაბილისში და სხვა ლექსები
<b>გათინაფილან გათინაფაშვილი</b>	<b>25</b>	„სიცრუე, როგორც საზოგადოების მცველი“ (კარსტენ შრადერს ესაუბრება ტილმან რამშტედტი)
<b>გარაფი ხელოვება</b>	<b>27</b>	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ
<b>რაოროტაჟი</b>	<b>32</b>	რობინზონ უზნაძე დაუზასებელი ღვანილი ვანო მაღალიშვილისა (ღია წერილი უზრნალ „ჩენი მწერლობის“ მთავარ რედაქტორს)
<b>აირველი პოვაზილება</b>	<b>39</b>	ნინო დეკანონიძე მრავალგულას ფირადოვნება (ესმა ონიანის ხსოვნის საღამო)
<b>შტრისები აორტრებისათვის</b>	<b>40</b>	მარინე ტურავა მძივივით ასხელი
<b>აი, ისტორია?!</b>	<b>42</b>	(ლაშა იმედაშვილის „პალალი თბილისური ამპავი“)
<b>კრიტიკა</b>	<b>47</b>	ეკა ბუჯიაშვილი ის ერთი ადგილი მაყურებელთა დარჩაზე (გვანცა კანდელაკის გზის დასაწყისი)
<b>არი ლექსის სივრცე</b>	<b>50</b>	გურამ ყორანაშვილი როგორ ინერება ფილიალური ხანის საქართველოს ისტორია
<b>ლიტერატურული ცხოვრება</b>	<b>52</b>	ნინო ვახანია უფალი — უცილავ მესამედ
<b>ასალებაზრდებო, ან კი თქვენ</b>	<b>54</b>	(კობა ცხაკაიას პიესა „3=2+1“)
<b>საორი</b>	<b>56</b>	სოფო წულაია „და ხერხებალზე გადათვლილი მალები“
<b>უცხოეთის ლექსი</b>	<b>58</b>	(კატო ჯავახიშვილის „რღვევა“)
<b>გავრცელება — (995 77) 11_24_30</b>	<b>59</b>	თამარ ყალიჩავა სიმართლის გადასახელიდან (საჯარო ლექცია გიორგი საკაძეზე)
<b>მარი ლუიზე კაშნიცი აღამ და ევა</b>	<b>60</b>	გოდერძი ჯობენიძე ნიგნების მაღაზიასთან ნაფიქრალი
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	გივი გამრეკელი თბილისში, 11 სეიჭემბერს
		ნოდარ ებრალიძე როდესაც მაჩსიმალიზმი აღართლებს (მალვა გაჩერილაძის გამარჯვება)
		მარი ლუიზე კაშნიცი აღამ და ევა
		ეს ტვირთი ერთობ მძიმეა

**ორკვირეული უზრნალი**  
დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
ჩუბინშვილის №41  
რედაქცია — (995 322) 96\_20\_62  
რეკლამა — (995 93) 65\_93\_68  
გავრცელება — (995 77) 11\_24\_30  
ფაქსი: (995 322) 96\_20\_62  
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი — ივანე ამირხანაშვილი  
პოეზიის რედაქტორი — მაკა ჯოხაძე  
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — თამაზ ნატროშვილი  
მხატვრული რედაქტორი — კარლო ფაჩულია დიზაინერი — მალხაზ იაშვილი  
სტილისტ-კორექტორი — ნინო დეკანონიძე დაკაბადონება — თენგიზ რობიტაშვილი  
ოპერატორი — თამარ ჩხელაძე სარეკლამო მენეჯერი — ეკა ბუჯიაშვილი  
გავრცელებისა სამსახური — ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ჯეიმზ ჯონისი

შატილი, ბაბუა ალუდაურის ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 7 სექტემბერს



მედეა ზაალიშვილი

## მისტერ სამლერი შემლილების კლანებიდან

□

### გვარები ჯობავას ცარების გული და გიური

სოლ ბელოუს სტუდენტობის დროიდან ვცემდი თაყვანს. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. მაშინ მხოლოდ მისი „მსხვერპლი“ მქონდა წაკითხული. შემდგომ უკვე 1944 წელს გამოცემული „ჰერი და კიდებული კაცი“ ჩამივარდა ხელში. იმხანად ძნელი იყო ამერიკული და ინგლისური წიგნების შოვნა, მაგრამ თანდათანობით აღმოვაჩინე სოლ ბელოუს წიგნები მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე ბუკინისტურ მაღაზიაში. 1953 წელს გამოვიდა „ოგი მარჩის თავგადასავალი“, ამას მოჰყვა „მოიხელო და და“ (1956 წ.), „ჰენდერსონი, წვიმის მეფე“ (1959 წ.), შემდეგ მისი შემოქმედების ნამდვილი მნევრევალი „ჰერცოგი“ (1964 წ.), „მოსბის მემუარები“, მოთხოვების კრებული (1968 წ.) და ბოლოს „მისტერ სამლერის პლანეტა“ (1970 წ.).

ყველა ეს წიგნი, გარდა „მოიხელო და და“ და „ჰენდერსონი, წვიმის მეფისა“, ახლაც დევს ჩემი წიგნის თარიზე. გავიკითხ-გამოვიკითხ და „ჰენდერსონი, წვიმის მეფე“ ერთმა ჩემმა კოლეგამ მათხოვა სამი დღით. სამი დამე გავათხე მის კითხვაში. სულიოთხოვამდე შემძრა მისმა საიცარმა სიუჟეტმა და ენის დახვენილობამ. ვინაფრე, ნეტავ ვინმემ თარგმნოს-მეთქი. გავიდა წლები და სოლ ბელოუს არ გამოუჩნდა მთარგმნელი.

და, აი, ახლა უკვე ჭაღარას და ხანდაზმულს ხელთ მიჭირავს ქართული „მისტერ სამლერის პლანეტა“ – ურთულესა, მრავალი შრის შემცველი ნანარმოები.

გამოგიტყვდებით, დღეს ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს. როგორც იქნა გამოჩნდა ნიჭიერი მთარგმნელი, რომელმაც ბრნებინვალედ აუღო ალლო სოლ ბელოუს.

უურნალ „ჩემი მწერლობის“ 29 ივნისის წომერში გვანცა ჯობავას ლექსებია დაბეჭდილი. ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ უკვე თვალნათლივ დავინახე, უფრო სწორად, განვჭრიტე მისი პიროვნება, მისი შინაგანი სამყარო და გავიფიქრე, რომ სწორედ ასეთი სულისა და წარმოსავის მქონე პოეტს შეეძლო სოლ ბელოუს თარგმნა. თარგმნში იგრძნობა განათლებული და ქართულის კარგი მცოდნე ადამიანის ხელწერა.

სოლ ბელოუ რთული და ღრმა აზროვნების მწერალია. თამამად ვიტყვი, რომ იგი ფოლკნერს არ ჩამოვარდება.

1987 წელს სოლ ბელოუმ მისწერა სინტია ოზიკა: „ჭეშმარიტებაა, რომ ამერიკაში მცხოვრები ებრაელი მწერლე-

ბი ასცდნენ მათი დროის ცენტრალურ მოვლენას, – ევროპელ ებრაელთა განადგურებას. ვერ ვიტყვი რამდენადაა შესაძლებელი ჩვენი პასუხისმგელობის შეფასება. ჩვენ (მე ახლა ვლაპარაკობ ებრაელებზე და არა მხოლოდ მწერლებზე) ყოველი მოვლენა უფრო ღრმად და ყოველმხრივ უნდა გაგვეაზრებინა.“

სოლ ბელოუს ეს სიტყვები შეიძლება აღსარებად ჩაითვალოს, რომელიც ეხება იმ გადაუჭრელ დილემას, რომლის წინაშეც ყოველთვის იდგნენ ამერიკას ის ებრაელი პროზაიკოსები, უშუალოდ რომ უკავშირდებიან ჰოლოკოსტს, რომელსაც ბენგზე გადაურჩნენ. მათვის ეს ყველაზე მტკიცნეული, მოუშორებელი იარა აღმოჩნდა.

სოლ ბელოუს თაობის ებრაელი მწერლები იმ სილატაკეში იზრდებოდნენ, რომელიც აჩრდილივით მუდამ თან სდევდა ემიგრანტებს და ახალგაზრდა კაცებად დეპრესიის დროს ყალიბდებოდნენ. როგორ უნდა გამოეხატოთ გულისტკივილი იმ ამერიკელ მწერლებს, რომელთაც შეხება ჰქონდათ მეორე მსოფლიო ომის სისხლიან მოვლენებით? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას სოლ ბელოუ ჯერ თავის რომანში „მსხვერპლი“ შეეცადა, შემდეგ კი წოველაში „ბელოროზასთან დაკავშირდებით“. მაგრამ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მცდელობა მაინც „მისტერ სამლერის პლანეტაა“.

„მისტერ სამლერის პლანეტა“ მხოლოდ ჰოლოკოსტს არ ეხება, მასში დაწვრილებითაა აღნერილი 1960-იანი წლების ცხოვრება ზაფხულიდან მოყოლებული ადამიანის მთვარეზე დაშვებამდე. ეს ყოველივე დანახულია არტურ სამლერის თვალით, უფრო სწორად, იმ ცალი თვალით, რომელიც რაღაც სასწაულით გადაურჩა საშინელი შემთხვევის დროს, როცა შიველ ადამიანებს თვითონვე ათხრევინებდნენ საკუთარ საფლავებს და რომელსაც მისი მეუღლე, ანტონინა შეერია. სიკედილს გადარჩენილი სამლერი მიიჩნევდა, რომ „ცოცხალი კი არ გადარჩა, სიკოცხლე შენიარჩუნა“. ამ მოვლენას სატელეფონო კავშირს ადარებდა – „როდესაც მისი ზარი გავიდა, სიკედილმა ყურმილი არ აიღო“.

სოლ ბელოუ გვარწმუნებს, რომ 1930-იანი წლების მოვლენები მუქარით საქაე წინასწარმეტყველებასავით მუდმივად თან სდევს 1960-იან წლებს. ერთხელ უკვე ჩახედა რა სიკედილს თვალებში, სამლერს თითქოს სულს უუთავს ამ გრძნობის ხელახლა განცდის საშიროება: 60-იანი წლების ნიუ-იორკი აიძულებს ადამიანს იფიქროს ცივილიზაციის კოლაფსზე, სოდომისა და გომორაზე, მსოფლიოს დასასრულზე, რომელიც შესაძლოა მოულოდნელად დააცყვდეს თავს კაცობრიობას.

„სამლერს საღი მარტი ერთი თვალი მხოლოდ სინათლისა და სიბრელის გარჩევა შეეძლო, სამაგიეროდ, მუქი შავი ფერის საღი თვალი, ზოგიერთი ჯიშის ძალივით თვალებამდე ჩამოწეული ხშირი წარბებადან გაფაციცებით მომზირალი, ძალიან მახვილი ჰქონდა. სახე კი თავის სიმაღლესთან შედარებით საკმაოდ პატარა“.

როდესაც მისტერ სამლერის ეს აღნერილობა წაგირდითხე, ჩემი ინგლისურებინვანი წიგნის „მისტერ სამლერის პლანეტა“ ყდა გამახსენდა: ცის ლურჯ ფონზე ღია ცისფერი სინათლის ნაკადი, ამ ნაკადზე მისტერ სამლერის ნაცრისფერი თავი; სათვალის ერთი შუშა შავია, მეორე თვალი დაუშინებით მიშტერებია სივრცეს, ტუჩები ჯიუტად მოუკუმავს. ისეთი შეგრძნება გებადებათ, რომ მისი

გონება კოსმიურ სამყაროს დასტრიალებს და მომავალ თავშესაფარს ექცებს, რათა კაცობრიობა მიწიერი კატაკლიზმებისგან გაათავისუფლოს. შუბლზე ღრმა ნაოჭები თითქოს მისი მტანჯველი ფიქრების სიმძაფრეს გადმოსცემენ: „სანამდე დარჩება დედამიწა კაცობრიობის ერთადერთ სახლად?...“ „სანამდე? მართლაც, ღმერთო! განა უკვე დრო არაა – წასასვლელად ზედგამოჭრილი დრო?.. მოისროლო ეს დიდი თეთრ-მწვანე-ცისფერი პლანეტა ან თვითონ გადმოვარდე იქიდან“. მაგრამ მიუხედავად ამისა, არტურ სამლერის ერთადერთი პლანეტა დედამიწა თავისი ორმაგი ბუნებით, ზეცითა და მიწით, ზღვითა და ხელებით, სიკეთითა და ბორტტებით, პლანეტა, რომელიც „შეშლილებითა დასახლებული“.

„მისტერ სამლერის პლანეტის“ ზოგიერთი პასაუი ძალიან ახლოს დგას დღევანდელობასთან. თუნდაც ეს: „ძალაუფლება ძალაუფლებაა – მმართველები, ღმერთები და, რა თქმა უნდა, არც ერთმა არ იცის დროულად წასვლა. არც ერთს შესწევს უნარი სიკვდილს ღირსებაშენარჩუნებული შეეგებოს“.

უპირველესი, რისკენაც სოლ ბელოუ მიისწრაფის, არის ადამიანთა შემბოჭავი ხუნდების დამსხვრევა: „ერთადერთი გზა, რომელიც მარადისობასთან გვაკავშირებს, გადის თავისუფლებაზე“.

მაგრამ სამყარო ჯერ კიდევ მღელვარებს, ჯერ კიდევ თვალშისაცემია კონფლიქტი ინტელექტუალისა და ინტუიციას შორის, მოქმედებასა და განზე დგომას შორის; სოლ ბელოუ ცდილობს გვიჩვენოს, რომ მხოლოდ რწმენას და ღმერთის შეუძლია გადაარჩინოს ცივილიზაცია.

ის ხშირად კითხულობდა მაისტერ ეკატარტს:

„დალოცვილები სულით უქონლები არიან: უქონელი ხომ ისაა, ვისაც არაფერი აბადია. სულით უქონელი მგრძნობიარეა ყოველი სულიერისადმი. მხოლოდ ღმერთია სულების სული. სულის ნაყოფი: სიყვარული, სიხარული, სიმშვიდე“.

ამ რომანის ერთ-ერთი ძირითადი სცენა, რომელიც სინამდვილეში შეემთხვა ბელოუს, არის მისი ლექციის ჩაშლა კოლუმბიაში. როდესაც მან ჯორჯ ორუელის ციტატა მოიყვანა, გაისმა „როყიო, დაჟინებული ხმა“, „ახალგაზრდა მამაკაცი, „ლევისის“ ვიწრო ჯინსებში, სქელწვერა, მაგრამ ნამდვილად ახალგაზრდა, ყვირილით მიმართავდა და თავისი არსებით გამოხატავდა მიზანმიმართულ მტრობას: „ეი, შენ მოხუცო, შენ აქ ორუელის ციტატა მოიყვანე!.. ორუელი მტრაიებრეხერი და შეშლილი კონტრევოლუციონერი იყო. კარგია, რომ დროზე ჩაძალდა და ყველაფერი, რასაც შენ ჰყვები, სრული აბსურდია... რისთვის უსმენთ ამ გამოსულელებულ ბებერს? რა უნდა გითხრა ამან? მას უკვე სათესლე ჯირკვლები გაუშრა. მომაკვდავია“.

„მისტერ სამლერის პლანეტა“ სულ ექვსი, მაგრამ საკმაოდ დიდი თავისგან შედგება. ყოველი თავის უმეტესი ნაწილი ცნობიერების ნაკადზეა აგებული, სადაც მისტერ სამ-



ლერის შინაგანი ღელვა – მოგონებები, აზრები და შეხეძულებანი უხვად მოედინებიან. ხშირად მისი მოგონებანი დაკავშირებულია ჰერბერტ უელსთან. სამლერს ჰერნდა პატივი მისი ახლო მეგობარი ყოფილიყო და მისეულ „მთვარის ფანტაზიებსაც“ კარგად იცნობდა. თუმცა თავის ქალიშვილთან, „ჭუანაკლულ დედოფალთან“, შულასთან საუბრისას აღმოჩნდება, რომ ბევრი რამ, რაზეც უელსი წერდა, მოსაწყენად და ბანალურად ეჩვენებოდა: „გულაზდილად მითხარი, შვილო, ჰერბერტ უელსის ერთი წიგნი მაინც თუ წაგიკითხავს?“

– წაიკითხავს.

– ჩვენ შორის დარჩეს და, გულახდილად მითხარი: ნამდვილად წაგიკითხავს?

– ერთი.

– ერთი? წაიკითხო ჰერბერტ უელსის ერთი წიგნი, ეს იგივეა, მარტომ სცადო ოკეანის გადაცურვა. რა წიგნი იყო?

– რაღაც ღმერთის შესახებ.

– „ღმერთი და უხილავი მეფე?“

– დიახ, ევ იყო.

– ბოლომდე წაიკითხე?

– არა.

– არც მე.

– ო, მმა, ნუთუ შენც!

– მე უბრალიდ ვერ შეეძლი მისი წაკითხვა. კაცობრიობის ღმერთთან ევოლუცია ინტელექტის ხარისხში. მის არსა ძალიან მაღლ ჩავწვდი, დანარჩენი კი ისე მოსაწყენი და ბანალური გამოდგა“.

„მისტერ სამლერის პლანეტის“ წინასიტყვაობაში მანანა ნაცვლიშვილს მოპყავს ჯოის კეროლ ოუტსის სიტყვები:

„აღტაცებული ვარ „მისტერ სამლერის პლანეტის“ ფინალით, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ გვიბიძებს, დაუყოვნებლივ ხელახლა წაგვითხოთ მთელი რომანი, რადგან ჩვენ კითხვის პროცესში შევიცვალეთ და მხოლოდ მის ფინალური მდგრადი გამოდგა“.

როდესაც ერთ-ერთი ლექციის დროს ბელოუს სწორედ ამ „ძლიერი ფინალის“ ახსნა სთხოვეს, მან ასე უპასუხა:

„თქვენ კითხულობთ ახალ აღტემას და იესოს მუდმივ ქადაგებას, რომ ადამიანებს ძალუბრ უმაღლ აღიქან განსხვავება კეთილსა და ბოროტს შორის... ეს არის განუყოფელი ნანილი მისა, რაც რწმენაში იგულისხმება; ამაზე არც კი ღირს მსჯელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს სრული, ძალიან ძველი, თუნდაც მარადიული ცოდნა, რომელსაც ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ და თუ ისინი თავიანთ ურთიერთობას ამ ცოდნაზე დაამყარებენ, მაშინ თავიანთი ყოფის შეცვლასაც შეძლებენ“.

ამ სტატიის წერისას ცდუნება მიპყობდა, ბევრ საკითხს შევხებოდა და რაც შეიძლება მეტი ციტატა მომეუვანა ამ შესანიშნავი თარგმანიდან. მაგრამ ამ ცდუნებას შეიძლებოდა შორს წავეყვანე. ამიტომ ვარჩიე მკითხველს მივანდო ამ წიგნის გულისყურით წაკითხვა და დარწმუნე-

ბული ვარ, ისიც „სხვა ადამიანად“ იქცევა, უფრო საღად აღიქვამს სამყაროს. მე კი გვანცა ჯობავას თარგმანის წაკითხვის შემდეგ სულ სხვა თვალით შევხედე თარგმნის ხელოვნებას, ჩემს თვალის დაიმსხვრა (თუმცა არც არასდროს ვეთანხმებოდი მათ შეხეძულებებს) ზოგიერთი მწერლისა თუ კრიტიკოსის სკეპტიკური თვალსაზრისი ორიგინალის ზუსტი ასლის შექმნის შეუძლებლობის შესახებ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი თუ როგორ გარდა-

იქმნება თარგმანი სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებად ღრმადმოაზროვნება და მხატვრული გემოვნების მქონე მთარგმნელის ხელში.

წარმომიდგენია, რამდენი დღე და რამდენი დამე შესწირა გვანცა ჯობავამ ამ რომანის თარგმნას, რა ძალისხმევა და მოთმინება დასჭირდა, მაგრამ მაინც მინდა გავუმხილო ჩემი სურვილი, – ახლო მომავალში მსურს ვიხილო ორი შედევრის – „ჰერცოგი“ და „ჰენდერსონი, წვიმის

## ერთ და გედისცერა

პაატა ჩეეიძე

# ნაკრძალი საქართველო

როგორ გავიგოთ ეს სათაური? რას უნდა ნიშნავდეს? როგორ საქართველოს? — აკრძალულს? მოსაკრძალებელს? დაკრძალულს?..

ყველამ თავისი იცის. სუბიექტივიზმი ისე მოსდებია ოცდამერთე საუკუნეს, რომ უკვე ვამაყობთ და თავმომწონედ გავყირით, შემომხედეთ, რა სუბიექტური ვარო. თითქოს სუბიექტივიზმი ნაკლი არ იყოს ადამიანისა, თითქოს ამპარტავნების შემადგენელი ნაწილი არ იყოს და თითქოს ჩევნი სარწმუნოება ამ ცოდვისაგან განწმენდას არ მოგვიწოდებდეს.

პო, ყველამ თავისი იცის, ოთარ ჩეეიძისთვის ნაკრძალი საქართველო ანუ საქართველოს ნაკრძალი ეროვნულ-სახელმწიფო ბრძოვი იდეა გახლდათ, ანთუ გახლავთ, რამეთუ არ მოქვდარა იდეა იგა.

საქართველოს გულშემატკივარი მამულიშვილები წერენ და ასაბუთებენ, რომ გვჭირდება ეროვნული იდეა. მართალი არიან, რომ წერენ, ასაბუთებენ და მართალი არიან, როცა ყველანი ერთსა და იმავე საკითხს უტრიალებენ, საკითხს ისტორიისა, ტრადიციისა და ზნეობისა. რა ვუყოთ, ჯერჯერობით ყველა ზოგადად მსჯელობს, ყველა იძნევა ზოგადსაკაციობრივი აბსტრაქციებში, კონკრეტულობამდე ყველა ვერ მივა, კონკრეტულობა წინასწარმეტყველებს ხელებიფეხბათ.

მწერალი არ უნდა იყოს ტრიბუნი, არც წინამძღოლი უნდა იყოს, მწერალი წინასწარმეტყველია, ვინც ერს შეახსენებს ზნეობის დაქვეითებას და წინასწარ ამცნობს თუ რა ელის ზნეობის დაკარგვის გამო, იმასაც ამცნობს თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ აღიდგინოს ზნეობა და აირიდოს განსაცდელი.

ყოველი დიდი მწერალი და მოაზროვნე წინასწარმეტყველია. ოთარ ჩეეიძე წინასწარმეტყველი იყო! იგი სამართლიანად აფასებდა ანმყოს და ათეული წლების მიღმა ჭვრეტდა მომავალს.

2003 წელს, „ვარდების რევოლუცია“ რომ ახლოვდებოდა, დაწერა „სახელმწიფო უპირველესყოვლისა“, სადაც გვამცნო თუ რა გვიახლოვდებოდა და რას უნდა მოვრიდე-

ილდით; 1991 წელს, როცა საქართველოს „იზოლაციონიზმი“ დაუგენს და სამოქალაქო ომისათვის გაწირეს, დაწერა „ნაციონალიზმი და ინტეგრაცია“, სადაც გვამცნო მომავალ ინტეგრაციულ „გამოწვევათა“ შესახებ; 1990 წელს, როცა სახელმწიფო ბრძოლის ამოგების უამი დგებოდა, დაწერა „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის“, სადაც მოხაზუ საქართველოს სახელმწიფოს კონტურები და ისიც გვამცნო თუ რა მოგველოდა.

ოთარ ჩეეიძის პუბლიცისტიკის პოლიტიკურ ციკლს თუ ჩავხედავთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მწერალი აქაც „მეინსტრიმის“ ანუ დინების წინააღმდეგ მიდიოდა; და ასეც უნდა ყოფილიყო, ყველა დიდი მწერალი დინების წინააღმდეგ მიდიოდა და მიდის.

მანამდე, სანამ განსხვავებული პოლიტიკური აზრის დაბეჭდვა აკრძალული იყო, ნოველებსა, დრამებსა და რომანებში ამოახვედა ხოლმე პოლიტიკურ იდეებსა და კონცეფციებს.

„ნაკრძალი“ 1970 წელს დაწერა.

ამ რომანში დასატულია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი ეპიზოდი, ერთ ინსტიტუტში, ადამიანთა ერთ წერეში მომხდარი დრამა; ალნერილია მდაბალი ვნებანი, პლაგიატიზმი, კარიერიზმი, ინტრიგები, ზნეობის დაცემა, უზნეობის ზემით, სულის გაშიშვლება; რომანის ეპიგრაფია: „სადა ნაყოფიერებაი ბოროტთაი, მუნ უნაყოფობაი კეთილთაი. იოვანე“.

ამ რომანის შესახებ უმსჯელელია და იმსჯელებენ, მე მასში მოცემულ კონკრეტულ, ეროვნულ იდეაზე მოგახსენებთ.

რომანის პერსონაჟს, სიონრომ ბროდელს, სურს „საქართველო... მოიფინოს ნაკრძალებით... სრულიად საქართველო ნაკრძალად... გამოცხადდეს“. რადა თქმა უნდა, არავინ მოუნონებდა, პირიქით, დაუგმეს, ეგ რევბი მოგლანდებიაო... ამას ძეველ თუ ყოფილ მეგობართან საუბრისას იხსენებს:

— ეგება მოგაგონდეს ჩემი ამბები მთლად საქართველოს ნაკრძალად გამოცხადებისთვისა...

— პორო ... მაშინ გადარჩიო...

გადარჩია იმიტომ, რომ მისი იდეა ეწინააღმდეგებოდა კომუნისტური პარტიის გენერალურ ხაზს, პარტიის თვალში იყო მტრული და მავნებლური. ამისათვის იჭერდნენ, ასახლებდნენ, ხვრეტდნენ.

სიფრომ ბროდელი გადარჩია. გადარჩია ერთი ბოტანიკოსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ეროვნული ხასიათი თუ ეროვნული ენერგია დამოკიდებულია ფლორაზე, რომ მცენარეულის ცვლილებანი თუ გარკვეული გადაადგილებანი ზემოქმედებს ხასიათზეცა, ზემოქმედებს პოლიტიკურსა თუ სახელმწიფოებრივ ვითარებაზეცა, და რომ ყველა ის

მიწა-წყალი, რაც საქართველომ დაჰკარგა, დაჰკარგა სწორედ იმიტომა, პირდაპირი კავშირი რომ დაირღვა ფლორა-სა და ეროვნულ ენერგიას შორისა...“

სოფრომი გადარჩა, მაგრამ მოიკვეთეს, გადარჩა იდე-აც, იდეა ცოცხლობს, თუნდაც მივიწყებული, მტკვერნაყრი-ლი; და როცა სოფრომის ნაშრომებს იპარავენ, არ ივიწყებენ, რომ იდეური საფუძველი უნდა გამოაცალონ და თვით იდეას ერთხელ კიდევ ჩააზიალონ წიხლი:

„პატივცემულ ბატონ სოფრომის ნარკვევებს გამსჭვალავს ის აზრი, რომ უმჯობესია გაერთიანდეს ყველა ნაკრძალი, სრულად საქართველო გამოცხადდეს ერთ მთლიან ნაკრძალად და მისთვის შემუშავდეს განსაკუთრებული სტატუსი. პატივცემული სოფრომი ამ აზრს უწოდებს თავის იდეას და მართლაც შეიძლება ჩაითვალოს მის საკუთარ იდეად, რამდენაც აქამდის არავის გაუზიარებია და, ცხადია, გაზიარებული არ არის ჩვენს ნაშრომში. ასეთ დადგნილებას ჩვენ არ ვიცნობთ და რედაქტორიც არ დათანხმდებოდა რასაკვირველია.“

**საქართველოსთვის შემუშავდეს განსაკუთრებული სტატუსი!**

ეს სიტყვები 1970 წელს დაიწერა. ამას მაშინ მავნებლობად, ღალატად მიიჩნევდნენ და მთქმელი ისჯებოდა პარტიის ნება-სურვილის მიხედვით.

დააკვირდით ბოლო წინადადებას, ასეთ დადგენილებას არ ვიცნობთ და რედაქტორიც არ დათანხმდებოდა. ყველაფერი პარტიის დადგენილებებისდა მიხედვით უნდა წარმართულიყო და რედაქციებში კი ცენზურაზე არანაკლები — თუ მეტი არა — ცენზურა მძვინვარებდა.

დღეს ეს სიტყვები ერესია. დამწერს არ დასჯიან, მაგრამ დაუკეტავენ გამომცემლობათა კარს, არ შეუშვებებ რადიო-სა თუ ტელევიზიაში, დუმილით აუკლიან გვერდს და ლაფს დაასახმენ ე.წ. ბლოგოსფეროში. „რედაქტორის“ ნაცვლად კი იტყვიან, ამერიკა და ევროპა არ დათანხმდებოდნენ.

ტყუილს იტყვიან, რადგან ამერიკა და ევროპა დათანხმდებოდნენ, დათანხმდებოდნენ ფოლკნერი, უორენი, პერსი, ტეიტი, რენსომი, პაუნდი, ბებიტი, ელიოტი, ლუისი, პრუსტი, კაფუა, უნამუნო, სანტაიანა, მონტალე, დ'ანუნციო, კამიუ, პამსუნი, ჰესე, მუზილი... დათანხმდებოდნენ გარდაცვლილი თუ ცოცხალი დიდი მოაზროვნები; და სწორედ ისინი არიან ჭეშმარიტი ამერიკა თუ ევროპა და არა ნიუ იორკესა თუ ბრიუსელში ჩამსხდარი სწორხაზოვანი, პროგრესისტი ჩინოვნიკები.

დათანხმდებოდნენ ცნობილი ეკონომისტები, ჯონ ლ. კემპბელი და ჯონ ა. პოლი, ვინც ევროპელი მცირე ერების თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხი გამოიკვლიერ დანიისა და შეეიცარიის მაგალითზე.

შვეიცარია ხომ ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ორი-ენტირია, სინგაპურთან ერთად!

როგორ შეინარჩუნა თვითმყოფადობა შვეიცარიამ?

— განსაკუთრებული სტატუსით!

შვეიცარია არ არის ევროკავშირის წევრი. შვეიცარია არ არის ევროზონაში. შვეიცარიას აქვს ძალზე მკაცრი საიმიგრაციო კანონები. ერთხელ, როცა მუსლიმებმა მინარეთის აგება მოინდომეს, ადგილობრივმა ხელისუფლებმა უპასუხეს, უკაცრავად, მაგრამ ჩვენი ზეცა ქრისტიანული ტაძრების პიკებისათვისაა განკუთვნილი. ევროკავშირის ჩინოვნიები განყრნენ, ასეთი პოლიტიკა ჩვენს ღირებულებებს ეწინააღმდეგებაო, მაგრამ შვეიცარიას თავისი ღირებულებანი აქვს და ყველა-საგან მოითხოვს პატივისცემით მოეპირონ. სტატუსი და პატივისცემა ამ მცირე ქვეყანას ერთბაშად არ მოუპოვებია.

შვეიცარია საფრანგეთს, გერმანიას, იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის იყო მოქცეული; საუკუნეთა მანძილზე ემუქრებოდნენ დაპყრიბით ეს დიდი სახელმწიფოები. ქვეყანა მეტად განსხვავებული ეთნო-თემებისაგან შედგებოდა და თვითურულს კარგად შეიარაღებული მოხალისეთა რაზმები ჰყავდა. ხშირად იფეოქებდა ხოლმე სასტიკი მოები მთიელებსა და ბარელებს შორის,

გლეხებსა და მიწათმფლობელებს შორის, სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის. XIX საუკუნის შუა ხანებში შვეიცარიაში სამოქალაქო ომი გაჩადა.

მაგრამ შვეიცარიელებმა შევტქმნეს სახელმწიფო კონსტიტუცია, რაც მათი განსაკუთრებული სტატუსისა და თანამედროვე სახელმწიფო ინსტიტუტების საფუძველი გახდა. მათ დაძლიერ როგორც გარეგანი, ისე შინაგანი საფრთხეები იმით, რომ ალიარეს საკუთარი სისუსტე და მოწყვლადობა, პირველ ადგილზე დააყენეს ეროვნული თვითმყოფადობა და შეძლეს სოციალური თანაცხოვრება, რითაც გაუძლეს ისტორიას და უძლებენ თანამედროვე ურთულეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ გარემოს.

სწორედ ამითაა შვეიცარიული გამოცდილება ჩვენთვის მისაბაძი და არა იმიტომ, რომ იქ ბევრი ტურისტი ჩადის.

სოფრომ ბრონები აქამდე არ მისულა „ნაკრძალში“, ეგებ გულში კი ფიქრობდა, მაგრამ არ გამოიუთქვამს.

თათარ ჩხეიძეს სურდა განსაკუთრებული სტატუსი საქართველოსათვის, წერდა, ასაბუთებდა; იცოდა, რომ იქამდე მიღწევა შეიძლება, შეიძლება მიღწევა საქართველოს ნაკრძალამდე, ოლონდ მანამდე ბევრი ოფლი და სისხლი უნდა დაიღვაროს, ბევრი ცეცხლი და ქარიშხალი უნდა გავიაროთ, ამბობდა.

თათარ ჩხეიძეს ნაკრძალი იმიტომ ერჩივნა, რომ ნაკრძალი გადარჩენაა, შენახვაა. ახლის აშენება ადვილია, ძველის გადარჩენა და შენახვაა ძნელი.



გოგი წერეთლი  
ილუსტრაცია თათარ ჩხეიძის რომანისა „ნაკრძალი“

სალომე შენგელია

## „მიცდა ცხოვრების პოლოგი შევძლო კითხვა“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— საბოლი კარის და ფანჯრების გარეშე როცა გასასვლელს ვერ პოულობ.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იტალიის ზღვაპირულ ზღვისპირა ქალაქში მანოროლაში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როცა გიყვარს და უყვარხარ...

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— პატარა უფლოსნული, კენტინ კომბსონი („ხმაური და მძვინვარება“, ჰენრი („მშვიდობით, იარაღო!“), რავიკი („ტრიუმფალური თაღი“) კლაუსი და ლუკასი (აგოტა კრისტოფი „ტრილოგია“)...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დემეტრე თავდადებული.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ვან გოგი. იმდენი ალბომი მაქეს,

ცალკე ოთახი უნდა გამოვყო, ყვითელი ვან გოგის ოთახი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ფრედერიკ შოპენი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ინტელექტს, სიყვარულის უნარს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ერთგულებას და სიყვარულის უნარს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მიმტევებლობა და სიყვარული.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ნიგნების ყიდვა, დალაგება, წაკითხვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არავინ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მიზანდასახულობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ადამიანების ნდობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— სიყვარული და წარმატებული კარიერა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— სიბრმავე ოღონდ ეს არა, ოღონდ ეს არა... ამას ვთხოვ უფალს. მინდა ცხოვრების ბოლომდე შევძლო კითხვა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უფრო ლამაზი და ჭევიანი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბედურა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჭილაძე, ფრანსუაზა საგანი, აგოტა კრისტოფ, ვირჯინია ვულფი, უილამ ფოლენერი, ერის მარია რემარკი, ერნესტ ცემინგუეი...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ტერენტი გრანელი, თამაზ ბაძალუა, სილვია ბლათი, ენ სექსტონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მისის დალოვეე (ცირკინია ეულფი), პოლი (ფრანსუაზა საგანი „გიყვართ ბრამსი?“) ევა (პიერ პეშუ „პატარა შარტრეზი“).

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ჩვენი პატრიარქი — ილია II.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე.

— საყვარელი სახელები?

— მათე, ლუკა, ანა, ბარბარე, ირინე.

— რას ვერ იტან ყველაზე მეტად?

— ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრებაში არაფერი შეუქმნიათ და უაზროდ ცხოვრობენ.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— პიტლერი. საკონცენტრაციო ბანაკების გამო.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ლირსი მეტაკლები აღტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— სტამბას დაარსება და წიგნების დაბეჭდვა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სატვის ნიჭი.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— ახალგაზრდა, მოულოდნელი სიკვდილით ტანჯვის გარეშე.

— თქვენი სულიერი მდგომარება ამჟამად?

— კვირა დღეს სიცარიელე იმიტომ გვეუფლება, რომ კვირის რიტუალი — ღმერთი დაგვივიწყეთ...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?



— ქმედებას გააჩინია.  
— თქვენი დევიზი?  
— ესეც გაივლის...

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურ-  
ვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?  
— თუკი სამოთხის წინ — შემოდი, რაღას უცდი...

გამოხაურება

ნინო ჩხიცვიშვილი

## ვასილ კიკნაძის ნერილის გამო... ანუ 1:0

(ციკლიდან  
„ნერილები ჩემს ემიგრაცი ვაჟს“)

ჩემო ძვირფასო ბიჭო!

მოგიყითხავ სიყვარულით და  
როგორც ყოველთვის, გიგზავნი  
რამდენიმე ახალ წიგნს და კიდევ...  
უურნალ „თეატრი და ცხოვრების“  
ამა წლის მესამე ნომერს.

გთხოვ, ვიდრე სხვა სტატიებს გა-  
ეცნობოდე, თავდაპირველად წაი-  
კითხო ვასილ კიკნაძის წერილი —  
„ფიქრები პოსტმოდერნისტული  
პიესების მითოსურ მოტივებზე“.

წერილი როსტომ ჩხიციძის იმ პიე-  
სებს ეხება ამ რამდენიმე წინათ  
რომ გამოგიგზავნე და რომ მწერდი,  
ერთი ჩემი თანამოაზრე, აქ დაბადე-  
ბული, გაზრდილი ქართველი ახალ-  
გაზრდა რეჟისორი დაინტერესდა  
მათი და აუცილებლად დადგამსო...  
პრემიერის ამსახველ კადრებსაც გა-  
მოგიგზავნი და მერე ნახე, თუ არ  
შერცხვეთ მაქაური დრამის რეჟისო-  
რებს, ჩვენ, ემიგრანტებმა, რომ ვა-  
ჯობთო და... რომ გიკვირდა მანდა,  
საქართველოში ვითომ რატომ არ ინ-  
ტერესდებიან თეატრალურ დასთა  
ხელმძღვანელები ამ პიესებით თუ ნამდვილად ენატრე-  
ბათ ქართულ სცენაზე ქართული სიტყვის დაბრუნება და  
მხატვრული სინამდვილის ასახვა? და... კიდევ სხვა  
ეროვნულ ნაკლა და ღირსებაზეც მწერდი, გახსოვს?

ჰო, პოლემიკაც გავმართეთ მაშნ მე და შენ.

გწერდი ქართულ ხასიათზე. უახლეს ისტორიას ვიხსე-  
ნებდი...

გწერდი პაოლო იაშვილზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, ლე-  
ვან გოთუაზე, გიორგი შატბერაშვილზე, ოთარ ჩხეიძეზე  
და სხვებზე. ვახსენე მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურ-

დია. 92 წლის მოვლენები და შენ... ჩემს ნათქვამს წყლის  
ნაყვა უწოდე, დამამუნათე... თანამედროვეობას ჩამოვრ-  
ჩით ქართველებით, რომელ საუკუნეში ხარ „გაჭედილო“!

ამაზე კამათს ნულა გავაგრძელებთ... რაც ითქვა, ითქვა!  
ახლა იმას აგიხსნი, თუ რატომ გახსენებ ამ ყოველივეს  
და რატომ გიგზავნი უურნალის ამ ნომერს?

იმიტომ, რომ... შენც ჩემსავით აღფრთვობანდე ვასილ  
კიკნაძის წერილით და იციდე, არავთაუ შემთხვევაში არ  
უთხრა იმ შენს მეგობარს, თუ რამდენი წლისაა ბატონი  
ვასონ და დამიჯერე, უურნალს ბოლომდე რომ წაიკითხავს,  
ყველაზე ახალგაზრდა ავტორი თუ არ ეგონოს, აგრე ნახე.  
რატომ?

იმიტომ რომ მისი ხედვა და მსჯელობაა სრულიად თა-  
ნამედროვე... თუ გსურს რამდენიმე  
აბზაცს მოვიყვანდი კიდეც ნათქვა-  
მის დასტურად, მაგრამ მირჩევნია,  
შენ თვითონ ყურადღებით წაიკითხო  
წერილი და დამეთანხმო. მე მხოლოდ  
ერთს გეტყვი: იცი, რაზე მწყდება გუ-  
ლი? სად არიან ეს ჩვენი ახალგაზრდა  
თეატრალური კრიტიკოსები, რად  
დაექცებენ ტყეში პანტას?

რატომ ჰგონიათ, რომ ყველაფე-  
რი უცხოური კარგია და საუკეთესო?

რატომ მიაჩინიათ, რომ მათთვის  
ასე მოძური, დაფასებული (და ბრმად  
აკვიატებული) პოსტმოდერნი ჩვენთ-  
ვის მიუწვდომელია და „მოუხსნელი  
ფენომენია“?

აგრე, ბატონო, წაიკითხონ ვასილ  
კიკნაძის წერილი და გასკენენ გულ-  
ზე: აჯობა თუ არა 80 წლის კაცმა  
შენს ტოლებს და თქვა თუ არა დაუ-  
ფარავად ის, რაც ასე უნდა აღლოვებ-  
დეთ სწორედაც რომ მომავალ თაო-  
ბებს და რაც მათ ევალებათ კიდეც,  
თუკი მართლა სჯერათ და ერცნებე-  
ბათ ჩვენი ქვეყნის მომავალი.

დიას, ესეა!

გაცხარებული გეჩენები?

ჰო, მართალია...

ხშირად ნიპილიზმიც შემიპყრობს, მაგრამ... ეგ არაფე-  
რია, გამივლის!

P.S.

ხოლო რაც შეეხება ბატონი ვასონ კიკნაძის ამ წერილს,  
იგი დარჩება ქართული თეატრმცოდნეობის ისტორიაში  
ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიშვად... ნიმუშად იმისა, თუ რო-  
გორ უნდა გრძნობდე ეპოქის სუნთქვას, თუ გინდა იყო  
თანამედროვე!

იოსებ ჭუმბურიძე

## ჩანაწერები

112-იც ცოტაა!

ზურაბ ნიუარაძის სახელოსნოში სახელდახელო სუფრას (ოლონდ მუდმივად გაშლილს) ოთხი ვუსხედვართ: თვითონ, ოჩი (ნოდარ ცერცვაძე), ვახტანგ ანანიაშვილი და მე (მაქას ბერიერება).

მასპინძლის სადღეგრძელოა.

ყველა დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

ჩემი სურვილი ასეთია: „გრიგოლ ხანძთელის ასაკისთვის მიგენიოთ“.

— რამდენ ხანს იცოცხლა?

— 102 წელიწადს.

— ცოტაა, მე ბიძაჩემის რეკორდი უნდა მოვხსნა, 112 წლისა გარდაიცვალა...

...მოგვიანებით ვკითხულობ ინტერვიუს, სადაც ბატონი ზურაბი ბრძანებს: „მხატვარი რაც უფრო ხანში შედის, მით უფრო საინტერესო ხდება“.

ეს დაადასტურა რამდენიმე თვის ნინათ „თიბისი-გალერეაში“ გამართულმა მისმა გამოფენამ, სადაც მხოლოდ ახალი ტილოები ვიხილეთ.

ყველა აღტაცებული იყო ფერების უბერებლობითა და კვლავაც ახლის ძიების უნითი.

ამის საუკეთესო მაგალითია ტილო, რომელზეც ქალი და მექისე არიან გამოსახული. აქ, ყველაფერთან ერთად, განცვილებს ზღვართან შეჩერებული ზომიერება, რაც ხანგრძლივი შრიმით მიღწეული ოსტატობისა და დიდი გემოვნების ნიშანია.

არა, ნამდვილად ცოტაა 102 წელი!

112-იც ცოტა!

### გვახსოვს?

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ).

სტუდენტები პოეზიის სალამოს ამზადებენ.

ბექა კვეკვესკირმა, აფხაზეთიდან დევნილმა, მუხრან მაჭავარიანის ლექსი უნდა წაიკითხოს.

ლექსში ასეთი სტრიქონებია: „ახლა თბილისში გამარინია და მერე მომკლა, აღარ დავეძებ“...

— ცუდად არ კითხულობ, მაგრამ აქ მეტი განცდა უნდა ჩადო, — ვეუბნები ბექას, — წარმოიდგინე, რომ დიდი ხნის უნახავ მშობლიურ ქალაქში გასეირნებას ნატრობ, სოხუმი წარმოიდგინე.

— ვერ წარმოვიდგენ.

— რატომ?

— არ მასსოვს.

გამახსენდა, რომ სოხუმი 19 წლის დაკარგულია და ბექაც ზუსტად ამდენი წლისაა.

და გამახსენდა ლოზუნგი: „გვახსოვდეს აფხაზეთი!“ გვახსოვს?..

მაგრამ...

„კარგი იყო შენი წერილი ვანო ჩეიკვაძეზე, მაგრამ...“

— ეს ერთ-ერთი გულშემატკიცრის აზრია.

„მაგრამ“ აქ იმას გულისხმობს, რომ კრებულში, რომელსაც „2011“ ჰქვია, არ არის ლექსი 26 მაისზე.

„მაგრამ“-ს ისევ „მაგრამ“-ი უნდა დაგუპირისპირობირობირობი: ვანო ჩეიკვაძე ლექსს ცხელ კვალზე არ წერს. ცხელ კვალზე კი არა, ხომ ვნახეთ, თბილისურ ომს ლექსი 20 წლის შემდეგ მიუძღვნა.

საერთოდ, ლექსი (ლექსი!) ცხელ კვალზე არ იწერება.

ცხელ კვალზე (მით უფრო სისხლიანზე!) მხოლოდ ორდენის მიღება შეიძლება.

P.S. ახლახან ხელში ჩამივარდა მურმან ლებანიძის „კრებული 1989“ (ის ხომ მსგავს კრებულს ყოველწლიურად ვამოსცემდა).

9 აპრილზე დაწერილ ლექსს დავუწე ძებნა.

ამაოდ.

ესეც ვიფიქრე, ალბათ, სტამბაში 9 აპრილამდე ექნებოდა მიტანილი-მეთქი.

ესეც ამაოდ.

ნიგნს ანერია: „გადაეცა დასაბეჭდად 10.05.1989“.

### მონაცემა?

როცა ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტი იყო, ყოველ ორშაბათს მასთან საუბარს, რადიოთი, ნატო ინიანი გვასმენინებდა.

დღეს, უკვე პრეზიდენტყოფილთან ინტერვიუს, ასევე ყოველ ორშაბათს, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ნონა ბედელიანი გვთავაზობს.

დრონი და ნატონი იცვლებიან.

უცვლელი რჩება ორშაბათი და შევარდნაძე.

ეს ხუმრობა არავის ეგონოს.

გურამ პეტრიაშვილს თუ ჰქითხავთ, დღეს საქართველოს ორი კაცი მართავს — ილია მეორე და ედუარდ შევარდნაძე.

ილია მეორე თუ მართავს, ეს ბუნებრივია.

შევარდნაძეც თუ მართავს, ეს — ძალიან დამაფიქრებელი.

ზის კრნანისში (რუბრიკა ხომ მოგწონთ: „საუბრები კრნანისის ველზე“), როგორც ამბობენ, წრუპავს კონიაქს და იძლევა ინტერვიუებს. ყოველ ორშაბათს აჯამებს გასულ კვირას, აფასებს მთავარ პოლიტიკურ და არა მხოლოდ პოლიტიკურ მოვლენებს, „თავისი გამოზრდილი პრეზიდენტის“ ამა თუ იმ საქციელს, ნძირად ხუმრობს (ეს ხომ მისი კოზირია!). გვთავაზობს პროგნოზებს....



ერთხელ ამის თაობაზე რომ ვიხუმრე, როსტომმა სერიოზულად მომიგო, შენ იხუმრე და რასაც ამბობს, თითქმის ყველაფერი სრულდება.

დღონი იცვლებიან.

შევარდნაძე მეფობს.

მისი საუბარი ხშირად ისეთივე დამაჯერებელია, როგორც ეს ფრაზა: „ამას წინათ ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე საქართველოს ისტორიის ოთხტომეული (ზოგმა გაიცინა, მეტი რა საქმე აქვსო)“...

ოთხტომეულს, ცხადია, ვერა, მეოთხე ტომის ბოლო თავს კი მართლაც ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავდა — იქ ხომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად არის გამოყენილი.

ხსენებული თავის ავტორს რა უნდა მოჰკითხო, როცა ამავე აზრს გამოთქვამს გვანცა კოპლატაძე (ჟურნალი „სამი საუნჯე“, 3, 2012).

მისი სტატიიდან ირკვევა, რომ ის პატრიარქსა და შევარდნაძეს ერთნაირად ეთავგანება (რას ვერჩით გურაბეჭრიაშვილს?!).

„„ასავალ-დასავალის“ 17-23 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ მამა ლევანთან (ფირცხალაიშვილი).

მამა ლევანი ედუარდ შევარდნაძეზე ბრძანებს:

„მე მუდამ ვკითხულობ მის წერილებს „ასავალ-დასავალში“ და ვხედავ, რომ ჩადენილი ცოდვების გამო სინანულის გრძნობა გაუჩნდა, მე მას ვუსურვებ დღეგრძელობას იმისთვის, რომ სიცოცხლის განმავლობაში დაგროვილი ცოდვების სინანულით გამოსყიდვა მოასწოროს.“

მოვიხიბლე სასულიერო პირის ფაქტი ირნიით, თუმცა ვფიქრობ, რომ შევარდნაძის ეს ინტერვიუები ძალიან არ ჰგავს მონანიებას.

### ვერა და შეისხვავი

„წერე და იკითხე!“ — ძნელად მოიძებნება ჟურნალისტისთვის უფრო მნარედ მოსასმენი გამოთქმა. იმაზე დიდი სიამოვნებაც იშვიათია, როცა სამართლიან კრიტიკას შეისმენენ.

ეს შესძენაც კულტურის ნიშანია.

„ჩვენი მწერლობის“ მე-5 ნომერში (09. 03. 2012) გავაკრიტიკე ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, სადაც სტატიათა სათაურები (ქართული სიტყვები) ინგლისური შრიფტით იძეჭდებოდა, თანაც უაზროდ დაშლილ-დაფანტულად.

მაშინ საკმაოდ მნარედ დავწერე: „ეს ენის (ერისა და ქვეყნის) ან შეგნებული მტრობაა, ანდა წარმოუდგენელი უგუნურება. ერთიც საშიშია და მეორეც“.

ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლებმა, ეკონომიკის დარგის სწავლულებმა, თავის მართლება კი არ დაინტეს და პოლემიკა კი არ გაგვიმართეს, სამართლიანი კრიტიკა შეისმინეს და გაითვალისწინეს: ახლა ამ ჟურნალში მსგავსს ველარაფერს ნახავთ.

დიახ, ესეც კულტურის ნიშანია.

სხვათა შორის, თითქმის ანალოგიურად მოიქცა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. მართალია, მათი „დე-

და ენა“ ჯერ კიდევ შორს დგას იაკობ გოგებაშვილის უკვდავი წიგნისგან, მაგრამ ჩვენი კრიტიკული სტატიიდან ბევრი რამ გაითვალისწინეს. რაც მთავარია, მასში ვეღარ შეხვდებით მთავარ კურიოზებს — ვარდებით, შადრევნებითა და თვითმფრინავებით აღფრთოვანებულ ბავშვებს.

საინტერესოა, ასეთი კულტურა თუ აღმოაჩნდებათ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის მეოთხე ტომის ავტორებს, რომელთა კურიოზება და ტენდენციურობაც მართლაც საარაკორდო (იხ. „ჩვენი მწერლობა“, 6, 23. 03. 2012).

### რეაგირები და შემასხვევი

ტელევიზიონი საპატრიარქოს არაზე გადავრთე.

მიმდინარეობს გადაცემა „ერთსულოვნების სალონი“.

როგორ იცავენ ჩვენი ჟურნალისტები პროფესიულ სტანდარტებს? — ამ საკითხზე ბჭობენ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე, გაზეთ „24 საათის“ ერთ-ერთი რედაქტორ — გამომცემელი პატატა ვეშაპიძე და ახალგაზრდა მანდილოსანი, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ ვიცანი. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი საკმაოდ მოკრძალებულად იქცეოდა, იშვიათად თუ ჩაურთავდა ხოლმე სიტყვას. სამაგიეროდ, მამაკაცები იყვნენ მეტისმეტად თავდაჯერებულნი.

ვეშაპიძემ უურადღება გაამახვილა ერთ „სერიოზულ“ პრობლემაზე — ჟურნალისტების უმეტესობა ქართული ზმინის უნიკალურ შესაძლებლობებს ვერ იყენებს და შემასმენებლს აუცილებლად წინადადების ბოლოში სვამისო.

გახელაძე ფიზიკოსი ყოფილა (თეოთონ თქვა) და ადვილი წარმოსადგენია, რამდენად საინტერესო იქნებოდა მისი აზრ(ები).

ვეშაპიძის პროფესია ჩემთვის უცნობია, ის კი ცნობილია, რომ მის ნაწერებში შემასმენებლს ვერც თავში იხილავთ, ვერც შეუშიდებელი და ვერც ბოლოში, რადგან... მის ნაწერებს ვერსად იხილავთ.

რამდენიმე დღის წინათ დავით პაიჭაძესთან დიალოგში ამტკიცებდა, რომ, თურმე, ტელემედია საზოგადოებას, უწინარესად, დებატებს უნდა სთავაზობდეს.

რაგინდ უცნაურიც იყოს, ამას ა მაბობდა იმ გაზეთის რედაქტორი, თავის ფურცლებზე განსხვავებულ აზრს რომ არ აჭაჭანებს.

არადა, ნაციონალების მხარდამჭერია. ნაციონალთა დევიზი კი ყველასათვის ცნობილია: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“

ვეშაპიძე მხოლოდ ლაპარაკის...

### ერთგულების ეტალონის ნარჩერით მაჩუქა

„ერთგულების ეტალონის“ — ასეთი წარწერით მაჩუქა თავისი წიგნი მარიამ გერსამიამ 2004 წელს.

„ორგულობის ეტალონის“ — ასეთი წარწერით ვუგზავნი ჩემს წიგნს 2012 წელს.

...და არც სიგლერა!

ძალიან კარგი ფილმია „ფიროსმანი“, თუმცა აუცილებელი არ არის, მხატვრის როლი მაინცდამაინც მხატვარმა ითამაშოს, — თუ არ მეშელება, ეს კარგა ხნის წინათ ჯანსულ ჩარკვიანმა ბრძანა. ძნელია, არ დაეთანხმო.

ცხადია, არც ის არის აუცილებელი, მომლერლის როლი მა-ინცდამაინც მომლერალმა რომ ძვისტულოს.

არსებობს 45 წლის ნინათ გადაღებული ფილმი („შეცვედრა მთაში“), რომელიც რეჟისორული დონით ვერ დაიკვეჩნის, მაგრამ დღემდე სასიამოვნოდ საყურებელია სწორედ იმიტომ, რომ იქ მომღერლის როლს ლეილა აბაშიძე ასრულებს — იმდენად ლალად და ბუნებრივად, ვერც კი იფიქრებ, სხვა (თანაც ვინ — ნანი ბრეგვაძე!) თუ მღერის.

იქ სიმღერაც იყო და თამაშიც.

ახლახან გადაიღეს ფილმი („დარჩი ჩემთან“), რომელშიც მომღერალს მომღერალი განასახიერებს.

ყალბი, ხელოვნური, დამაჯერებლობას მოკლებული ამბავი და ასეთივე შესრულება (მიტოვებული შეიღის შაბათობით მონასტერება, ბოლოს ყოფილ ქართან „ადსარება“ — ვერც დედად ვივარებე და ვერც ცოლადო, მაყურებლის ოვაციების ვითომ არაფრად ჩაგდება და „ბისზე“ არგასვლა...)

აქ არც სიმღერაა და არც თამაში.

ლეილა აპაშიძეს შესანიშნავი პარტნიორი ჰყავდა — თენგიზ არჩვაძე და ფილმს მომხიპცლელობას ესუც სძენდა.

ლელა ნურჯუმიასაც კარგი პარტნიორი ჰყავს — უდავოდ იმედისმომცემი ახალგაზრდა მსახიობი (პაატა ინაური), მაგრამ ყალბ სიტუაციებს მასაც ხშირად უქმნიან. მაგალითად, უგონოდ შეყვარებული მამაკაცი სატრაფლსთან ინტიმურ ურთიერთობაზე მეორე მამაკაცს, თანაც იმ ქალის ყოფილ საყვარელს, ასე არ ესაუბრება... მათ შორის ატეხილი ჩხუბი ამ სიყალებს ვერ გაამართლებს.

აქ მთავარი სიტყვა მომღერალს უნდა ეთქვა (ემღერა კი-დეც), უფრო ზუსტად, მომღერლის განმასახიერებელ მსახიობს.

კიდევ უფრო ზუსტად — მსახიობსა და მომღერალს.

აი, ისე, როგორც თავის დროზე — ფილმში „შეხვედრა მთაში“.

მაგრამ იქ იყო ლეილა აბაშიძე.

օյնանուց օպտ...

საეპოზლო

ის კონცერტი არ გამახსენოთ, — თქვა ამას წინათ ნანი ბრეგვაძე.

შარშან, განახლებული ფილარმონიის გახსნისას გამართულ სალამოს გულისხმობდა.

იმ დღეს ის მართლაც „ფორმაში არ იყო“.

კი, ისევ დედოფლურად გამოიყურებოდა, დარბაზიც ძევ-ლებურად მონუსხული ჰყავდა, მაგრამ ხმა აშკარად ღალატიობდა.

მაგრამ როცა ჯერი „განთადის“ შესრულებაზე მიდგა, ისევ მომაჯადოებელი ხმა დაუბრუნდა და ისე იძლერა, რომ მა- ყურებელი ფეხზე ნამიუდგა. განსაკუთრებული განცდით ააჭ- ლერა ბოლო ფრაზები: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“.... „ბისზე“ კი გაამორიბინა.

აი, რა შეუძლია სამშობლოს...

გურამ ქართველიშვილი

ერთ

ერთი შეხედვით, იმ ქალაქში არაფერო იყო საყურადღებო, არაფრინი გარდა. ოპიუმით გაფლენთილი ტვინით დაგეგმილი ქუჩები და მიყრილ-მოყრილი შენობები ამავების სიბრალულს ბადებდა, რადგან იქაურობის მნახველი ნაკლებად ინატრებდა მათ ბედს, ვისთვისაც იქაურობას სამშობლო ერქას. ულიმლამზო ლეგენდაც კი არ ახლდა უსაშველოდ გრძელი, ხრიონი ულელტეხილებით დაჩეხილი გზის დასასრულსა და უდაბნოს დასაწყისზე დაგდებულ ქალაქს. კონტრაბანდისტების, იარაღასხმული გამცილებლების, ჰიჯაბში გამოწყობილი მეძავების და ნარკომოვაჭრების ბუნაგი თავისი დაუწერელი კანონით ცხოვრიბდა. მსუყეპორთფერიანი ადამიანების დაწერილი კანონი იმ უდაბნოს გადაღმა მდებარე ქალაქებში ვრცელდებოდა, საითაც ასეულობით სატვირთო მანქანა მიემართებოდა ყოველდღე დახლს ზევით თუ დახლსქვევით გასაყიდი საქონლით. განაფული ხელები იმდენ ფულს ითვლიდნენ, ბარე ათ ბანკს შეშურდებოდა. ამიტომ ყოველი დღის პირველ ნახევარში დაჭმილული იყო ნერვები. მზის გადახრისას კი თავიანთ სამყოფელში ჩაკეტილ კონტრაბანდისტებს ცისკენ ჰქონდათ მიცქევეტილი ყურები, საიდანაც ვერტმფრენი მოფრინავდა დანიშნულ საათზე და მონაგები ფული მიპერნდა. საღამოს, როცა ჯიბის ტელეფონებიდან საიმედო ხმები თანხის დაბინავებას ამცრობდნენ ღიმილდაკარგულ დამანაშავეებს, ერთიანად სულმომოქმული ქალაქი აზიურად ეძლეოდა განცხორმას. მინიერ სიტკბოს დანაფებული ადამიანები დილამდე ემშვიდობებოდნენ იმ ვაჭრობის ოზისში კვლეაზე საჭირო შეკითხვას — რა ლირს?

ნარჩენი ფილებით მოკირნცყლულ საგანგებოდ მორჩყულ მოედანზე იკრიბებოდნენ ათასი ჯურის ეთნოსისფათხები და ხალიჩაგადაფარებულ ტაძტებზე წამოგორებულნი ნაირნაირი ნუგბარით უმასპინძლ-დებოდნენ სპარსულად მოღულუნებ ხანუმებს. ყვავილებს დიდი გასაგალი ჰქონდა, მაგრამ მათი გამყიდველი, თვრამეტიოდე წლის აიშე, თვითონ უფრო ჰგავდა ყვავილს. გამაქვავებულ სილამაზეს თავისი დაუჯერებელი სიარულით ისე დაჰქონდა კალათები, რომ ყველა მისი ახლოდან თვალის შესავლებად უფრო ყიდულობდა ყვავილებს, ვიდრე თავიანთი ერთ-ლამისეული ხანუმებისთვის. ამიტომ აიშეს დიდი დრო არასოდეს სჭირდებოდა სავაჭროდ და დაცარი-ელებული კალათებით ჩასული მზესავით ქრებოდა ხოლმე მოედნიდან. ეს იყო და ეს. ამ ბუნაგ-ქალაქში სხვა დროს მისი მხილველი არავინ იყო. ამბობდნენ, ოჯახს საგულდაგულოდ ჰყავს გამოკეტილიო. აკი იმ ცოდვის ქალაქში მამამისს ყველაზე სუფთა — ყვავილების — საქმე ეჭირა და ოჯახს ავ თვალს არ აკარებდა მაჲმადიანური ადათით.

სამშობლოდან ორი წლის წინათ გადმოხვენილ, ამ ქალაქს შემოხიზნულ ლევანს სახელით არავინ იცნობდა, რადგან მისი მოდგმისა იქ მეორე არ მოიძებნებოდა და ამიტომაც უბრალოდ გურჯას ეძახდნენ. ქალაქის განაპირას, მთებისკენ კიბრისა სახლი ედგა ვარდებად აყვავებული გალავნიანი ეზოთი და მარტო ცხოვრობდა. უამრავი სიტკბო-ტანჯვა უკან დარჩენილ ორმოც წელინადში ჰქონდა მოტოვებული და ამ მისგან შექმნილ ციხე-საბუდარში მშვიდად ემარტოვებოდა. სააქოს ის დრო, მისი სიცოცხლე რომ ერქვა, უკვე სასჯელივით ედო კისერზე. არც სიღალე აკლდა და არც ჯოჯოხეთურობის გაძლება. ისიც მშვენიერად იცოდა, რომ იმ დროში დაბადება მისთვის არავის უკითხას, თორებ ასარჩევად რომ ჰქონოდა საქმე, თავისივე მშვენიერ ქვეყანაში ინატრებდა გაჩენას, ოღონდ იქით, სადმე საუკუნეებს მიღმა, როცა სულიერება განაეხდა ხორცს. უცნაურ ქრისტიანს კონტრაბანდისტების ქალაქში ასეთი კარჩაკეტილობის და აწონილი სიტყვის გამო რიდით ეპყრობოდნენ. საქმეც ერთობ შემოსავლიანი ეჭირათ ლევანს და მის ძმობილ ჰასანას. ნაომარი ერაყიდან სახიფათო ულელტეხილებით ძვირფას მატყლს ეზიდებოდნენ ირანის საუკეთესო ხალიჩის ქარხნებისთვის. გურჯის ოქროს სიტყვას ამოფარებული ჰასანა ქვას წვენს ადენდა. გაჩენისთანავე რომ უნდა ჩაგებალლებინა, ისეთი ვაჭარი იყო. მაჯლაჯუნასავით დაგრეხილს საქციელზევე ენერა უკანონოდ დაბადებული ბარებუთი თაობა წინაპრების უფრისტომობა, მაგრამ კაცის კარგად მცნობი ლევანისთვისაც აღმოჩენა იყო მისი ერთგულება. გაღუნულ ფეხებზე მდგარ, წელიდან მხრებამდე წინ მშვილდივით გაღუნულ ტანს უცნაურად შეუსაბამო, არისტოკრატული თავი აგვირგვინებდა, რომელშიც რას აღარ ხარშავდა ჰასანა. არ იყო გაკვანძული საქმე, მას რომ არ მოეტრიალებინა სათავისოდ და უსაშველოდ გაიძერა ვაჭრებს შორის თავს ისე გრძნობდა, „გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“. მხოლოდ ლევანის სახლში წიგნებით სავსე თაროებისა და სანერ მაგიდაზე დაყრილი ნაწერების დანახვისას დააღებდა ხოლმე პირს. მისთვის უჩვეულო მონიტებას იწვევდა საქმის რაფიიყის ეს საქმიანობა და მოცლილობისას თვალებდაჭყეტილი ისმენდა გურჯის მიერ მონათხრობ ამბებს. დიდად ხალისობდა აქტიურ მსმენელად ქცეული ჩარჩის შეფასებებით ლევანი და ასე კლავდა შიგადაშიგ შემაწუხებელ მარტომობას. მერე იწყებოდა შაპისდროინდელი სატვირთო მანქანების ქარავნით გზა ხახადაფრენილ უფსკრულებზე ერაყისკენ და უკან, სადაც ათასი ჯურის თვითმარქებია მებაჟე-მძარცველი დაძრნოდა, იყო უწყლობა და მზეც დაუზოგავად ტანჯავდა ხრიოვ ულელტეხილებს. ქალაქის ერთფეროვნებაში დაბრუნებულ გურჯას ერთი ყოველდღიური რიტუალი ჰქონდა აჩემებული — ელეგანტურად ჩაიცვამდა, ჰასანა-საც ბატონკაცურად გამოაწყობდა თერიანის საუკეთესო ატელიეში შეკერილ კოსტუმში და გასართობ მოედანზე საგანგებოდ მისთვის დადგმულ მაგიდასთან ჩამომჯდარი ჩის შეექცეოდა. დრო ზუსტად იცოდა, როდის უნდა დაწყებულიყო ის სპექტაკლი, რომელსაც აიშე ერქვა. ზუსტად რვაზე ლაყბობადეცცეულ მოედანს სუნთქვა შეეკვრებოდა. ნაცრისფერ ჰიჯაბში გამოწყობილი მზეთუნახავი, რომელსაც კალათებით ახუნდლული ბიჭი მოს-

დევდა, ოცდაათიოდე წუთში ყვავილნარად რთავდა მოედანს. კეფისკენ თამამად გადანეული თავსაფრიდან ოდნავი ლიმილით დამშვენებული სახით გურჯის მაგიდასთანაც შეჩერდებოდა და ლევანს ყოველთვის უტოვებდა ერთ ცალ ვარდს. და როცა მოედანი მისი მშვენიერებისგან ცარიელდებოდა, გურჯი ხელის ჩეული მოძრაობით უსწორებდა ხოლმე ჰასანას მკერდამდე ჩამოვარდნილ ყბას.



\*\*\*

შემოდგომას აღარაფერი აკლდა, გაურეცხავი მატყლის სუნად აყროლებული ვრცელი ქარავანი ქალაქს რომ მოადგა. ლევანმა ნაჯღლევი სხეული მანქანიდან „ჩამოალაგა“ და ფეხებზე ნანატრი ასფალტი იგრძნო. „ესეც ასე. საკამარისია. მე ერაყისკენ პირის მენელი აღარა ვარ“, — გაიფიქრა, ჰასანა მანქანისკენ დაძრულ ვაჭრებზე დაამისამართა და სახლისკენ გაალაჯა. შეღმართზე შეისვენა და ისევ გახედა მანქანებს. ახალგამოძინებულის ენერგიით ტრიალებდა ჰასანა ვაჭრებს შორის. „ახლა ამ ცურცლიან მატყლს იყიდიან, გარეცხავენ, დაჩეჩვენ, ათასფერ ხალიჩად მოქსოვენ და ბინძურ ქარავანს მშვენიერებად აქცევენ“, — უკან დარჩენილი რუტინული დღეებისგან თავის დასალნევი ირონიული ფიქრით მიაღწია სახლამდე ლევანმა. მეორე საღამომდე მკვდარივით მძინარე ჰასანამ გააღვიძა. ისევ მატყლის სუნად ყარდა. სხაპასხუპით ჩამოურაკარა მოგებული თანხის ანგარიში და ისე გაიტრუნა, თითქოს რაღაც დარჩა სათემელი.

— დაიბანე, ჰასან, და გამოიძინე. ხვალ კადირი ჩამოდის ისპაპანიდან.

— დაცხვდები კადირს, მაგრამ... — საწყალივით მიაშტერდა ლევანს მაგრამზე გაჭებდილი ჩარჩი.

— რა მოხდა, მშვიდობაა?

— ჩვენთან მშვიდობაა, მაგრამ აიშეს ათხოვებს მამამისი, — მგლოვიარესავით ამოღერლა ჰასანმა.

— ვისზე?

— ვინც ბევრს გადაუხდის. ამბობენ ფული დასჭირდა.

— მერე?

— რაღა მერე, მთელი ქალაქი შენატრის აიშეს და ვიღაც ღორმა რომ წაიყვანოს აფსუსია, — გამომწვევედ ახედა ჰასანამ გურჯას.

ლევანმა სასმელი დაისხა და ფანჯარასთან შეჩერდა. ერთი წამით გადათვალა გონებაში იქაური ფულის ტომარა საქმროები, ვისკით სავსე ჭიქა ბოლომდე გამოცალა და სპირტის ოხშივარს ამოაყოლა:

— რა ღირს აიშე?

— ათი ათას დილარამდე ავიდა ფასი. ჯალალი იხდის. ლევანმა ერთი ჭიქა კიდევ გამოცალა, მერე კარადას-თან მივიდა, ჰასანას პირსახოცი ესროლა და მისი სანაქებო კოსტუმი სავარძელზე გადაფინა.

— მიდი, იბანავე, გამოწყვე და საქმეს მიხედე. ამ ქალაქში თითო არ უნდა დააკაროს იმ ქალს არავინ.

ჰასანა შეკითხების სროლით დაფაცურდა.

— თხუთმეტი რომ მოითხოვონ?

— მოაგვარე-მეთქი! — დაუღრინა გურჯამა, ეზოში გავიდა და ვარდების დაკრეფას შეუდგა, თან მტკერში მოზუზუნე ქალაქს უყურებდა. „სულ რომ გადაადნო ეს უსახური დასახლება, ერთ ასეუდ არ ღირს. აფსუს, სად არიან ახლა ევროპელი ადამიანის უფლების დამცველები?!“ ჯერ საწყალი

აიშეს ბედით შეშვიოთ-დებოდნენ, მერე მასმე-დიას ააყეფებდნენ და ამ აზიურ მავნე ტრადიციაზე ლაყაფით ზღვა ფულს იშოვნიდნენ. მაგათმა ჯობია თავის ვითომ თავისუფალ და დოლარებით ტრუსებ-გამოტენილ სტრიპტიზვუმენებს მიხედონ, სუტენიორების ულელში რომ ძერებათ სიქა. ქალი იქაც იყიდება და აქაც. აქ ჯერ კიდევ ოჯახისთვის, იქ...“ — გლობალურ ფიქრებში გადაჭრილი ლევანი დენდივით გამონყობილმა ჰასანმა გამოაფხიზლა. ერთობ ამაყად ეჭირა თავი მშვენიერებისთვის სავაჭროდ გამზადებულ ჩარჩის. გურჯამა ფერადი ვარდების თაიგული გემოვნებით შეუფუთა, მერდზე აიშესავით ხელუხლებელი ზამბაზი მიუმაგრა და სამაჭანკლოდ გაისტუმრა. მარტო დარჩენილმა უიშვიათესი სიმშვიდე იგრძნო, რადგან ეს დღე ისევ ცვლიდა მის ცხოვრებას — ნარსულს ბარდებოდა მტანჯველი მატყლის საქმე, სამუდამოდ ტროვებდა ამ ბუნაგ-ქალაქს და კადირი ჩამოდიოდა. ლევანმა თავისი ტყავისყდანი წიგნაკი მოქებნა და სავარძელში მოკალათდა. დიდი ხნის წაუკითხავმა ჩანაწერებმა გაახალისა. და ბოლოს თორმეტი წლის წინათ ჩანიშნულ წინადაღებასაც მიაგნო. „ დღეს კადირი გავიცანი. ჯიშად სპარსია, ჩემსავით ისტორიაში მოხეტიალე, კარგი ოჯახიშვილი. საუკუნების ორომტრიალში საუკეთესოები რომ იხოცებოდნენ, იმ ჩემულთა გენის მატარებელი ჩანს. რა იქნებოდა სააქაო, შენისთანები სულ რომ ამოწყვეტილიყვნენ, კადირ?!

1998 წლის 10 მაისი, ისპაპანი“

იმ შორეული მაისის ისპაპანური საღამო გაახსენდა. თავაზოშების ოჯახი. მაშინ ჩეჩინების ომი მიდიოდა კავკა-სიაში და ლევანის აღტაცებით ნათქვაშს — ხედავთ, როგორ ომობენ ჩეჩინებით — ახლადმოსულმა ოჯახის სტუ-

მარმა ასეთი უცნაური პასუხი დაუბრუნა — „როგორ, გურჯას ჩეჩინების ომი გიკვირთ?!“

მაშინ კადირის ამ გასაცნობ ქათინაურში რომ სიმართლე იდო, კი იცოდა ლევანმა, მაგრამ პასუხად — სადღა არიან ის გურჯების ნაცვლად, სპარსული თავაზიანი მადლობა მოახსენა ახალგაცნობილს. მერე იყო ირანის ხელახლი აღმოჩენა კადირის მასპინძლობით, მისი არქეოლოგიური ექსპედიციები და დამეგობრება.

ლევანმა წიგნაკი დახურა და ეზო-სახლი შემოიარა, რამაც ბავშვობიდან შემორჩენილი გულისწყვეტა მოჰკვარა, აი, ისეთი, არდადეგების დასრულებისას რომ ჟეონდა ხოლმე. „აქაურობას ჰასანს დაუუტოვებ. წიგნებს და ტანისამოსს გამომიგზავნის, სადაც წავალ.“

იმ ღამით ჰასანა გამარჯვებული სარდალი-ვით დაბრუნდა და აიშეს გამოსყიდვის ამბავი მოიტანა.

\* \* \*

მეორე საღამოს შემოდგომისეული გახუნებული მზით შეფერადებულ მოედანზე ხალხმრავლობა იყო. თახთებზე ჩამორიგებულ კონტრაბანდისტებს აღარ უმშვენებდნენ მხარს ხანუმები. ქალაქში გავარდნილი ხმა — აიშე გურჯას მიჰყავსო — მათი ჩურჩულის მთავარი თემა იყო. ლევანი და კადირი მაგიდას უსხდნენ და ჩაის ყანდს აყოლებდნენ. სტუმარი თავისი გრძელი თითებით გამოყვანილ ჭიქას აწვალებდა და ბუზღუნებდა:

— ძალიან გათავხედდნენ მძარცველები. სამარხი აღარ დატოვეს. სადაც მივედი, ყველაფერი ბარბაროსულად გადათხრილი დამხვდა.

— დიდ ფულს უხდიან დასავლების მუზეუმები, აღბათ. ეგ ჭირი ჩემუნც გვჭირს. საქართველოს მიწის ყველა შრე სავსეა მასალით. იქაც ძარცვავენ.

— შენ ეს მითხარი, სულ მიდიხარ აქედან?

— კი, გადავწყვიტე. ჯერ ცოტა ხანს ისპაპანს შემოვეკედლები. დავისცენებ. მერე ვნახოთ.

— საქართველოში?

— სახლში? არა.

— რატომ?

ლევანმა ჩაი მოსვა, ცოტა ალოდინა მასზე მიშტერებული მეგობარი და გამოცრით დაუბრუნა.

— ძნელია ჩემისთნა კაცისთვის ხარაკირით დაკავებულ სამშობლოში ცხოვრება.

ლევანმა თავისი ქეცენის ასეთი შეფასება ჯერ ახსოვდა კადირს და, ცოტა არ იყოს, გაუკეირდა. სტუმრის განწყობას მიხვდა მასპინძელი და მშვიდად განაგრძო:



მხატვარი იანა ზალიშვილი

— ჩემს ხალხს, კადირ, დავიწყებული აქვს ფეხქვეშ  
მდებარე მიწის მნიშვნელობა და არც იმაზე ფიქრით იხეთ-  
ქას თავს, რატომ არის ასეთი სასურველი მათი ქვეყანა  
მეზობლებისა თუ გადამთილებისათვის. როცა გურჯი  
გურჯობდა, ალმოსავლეთსაც გავუძელით და ჩრდილოეთ-  
საც, მაგრამ ღიმილით მოსულ წამლება დასავლეთს ვერა-  
ფერი დავუპირისპირეთ. პირდაპირ ჩვენს სულს დაარტყეს.  
ერთი სიტყვით, სასწაულით ვარსებობთ... ჯერ!

— რა სასწაული, რა დაგემართა, დაბერდი? — მეგობ-  
რის ტკივილის დათბობას შეცადა სტუმარი.

— ჴო, სასწაულით, არც მეტი და არც წაკლები! ეს აქე-  
დან გერვენებათ ხერხმაღმაგარი გურჯისტანი, თორე...  
ისე ეგ სასწაული ჩვენი კულტურაა, ყველასგან განსხვავე-  
ბული, ქართული სული, რომელსაც ოჯახები ინახავდნენ,  
— ლევანმა ისეთი სასით მოსვა ჩაი, თითქის ძმარი დალიაო,  
და განაგრძო, — ჴოდა, ზრდიდნენ ასეთი ოჯახები ქართუ-  
ლად შვილებს და თავისძაუნებურად გამოჰქონდათ მათთ-  
ვის დევნის, ბორკილის, დახვრეტისა თუ სამშობლოდნ  
გაქცევის განაჩენი, რადგან ქართველობისთვის თავის ქვე-  
ყანაში მათ კარგი არაფერი ელოდათ. ახლა უარესი ჭირი  
შემოგვესია და პირდაპირ ოჯახს დაარტყა. კვდება, მეგობა-  
რო, ქართული ყოფიერება და შენთვის რაინდებით დასახ-  
ლებულ ზღაპრულ გურჯისტანში ახლა თეძომოქანავე ბი-  
ჭებისაა ასპარეზი. ლევანმა იგრძნო, რომ დიდი ხნის დაგ-  
როვილი ბრაზით დაამძიმა სტუმარი და თემა შეცვალა:

— კი, მაგრამ როდემდე უნდა იარო ასე უცოლოდ?

მოულოდნელმა შეკითხვამ კადირი ჯერ დააბინა, მერე  
თითქოს ჭრილობაზე უკინესო, ისე ამოყარა გულწრფე-  
ლად:

— ძნელია ჩემს ასაკში. განა არ მინდა... გამოვყრუვდი  
მარტობით.

მეგობრები ცოტა ხნით გაჩუმდნენ. ყველა მათევნ  
იყურებოდა. ლევანმა თვალით ანიშნა თახთაზე წაკოტრი-  
ალებულ ჰასანას. დაგრეხილი სადღაც გაქრა და ცოტა  
ხანში ყვავილების კალათით დამშვენებული აიშე გამოიყ-  
ვანა მოედანზე. ქალი ისე, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებ-  
სო, თითო ყვავილს ურიგებდა ყველას. გურჯმა სტუმარს  
ფრთხილად გახედა. კადირი გაშეშებულიყო და ისეთი სა-  
ხე ჰერნდა, თითქოს ნეფერტიტს ხედავდა.

— მოგწონს?

სტუმარმა ისე, რომ ქალისთვის თვალი არ მოუშორე-  
დაკვარდნობოდთ, მაინც ხომ ქრისტიანულ ღირებუ-  
ლებებსა და მორალთან ვეშვებით.

— მაგრამ ფასეულობა არა მხოლოდ ერთი ჭეშმარიტე-  
ბით იქნება კონსტრუირებული. არ შეიძლება ითქვას: არა  
იპარო, რადგან ასე არ იქცევან. ანდა: არა იპარო, რადგან  
შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვდები. ეს ერთი ძალიან მარტივი  
მაგალითია, რაც, ჩემი აზრით, ყველა ღირებულებას შეიძ-  
ლება დაუკავშირო. ფასეულობანი ახლაც ისეთივეა, რო-  
გორც ყოველთვისაც იყვნენ, სახელდობრ, პრაგმატული  
სოციალური შეთანხმებანი. ეს არის დიახაც ერთი სხვა გა-  
მოსახვა ჭეშმარიტების: აქ ამოუხსნელი ჭეშმარიტება კი  
არ იქნება ნამტკიცები, არამედ საუბარი იმაზეა, რომ ერ-  
თად ცხოვრება ასეთია და საუკეთესოც სწორედ ეს არის.

— ერთი სხვა ფართოდ აღიარებული ნორმის საპი-  
რისპიროდ, შენ იწყებ: არა იცრუო. არადა, მუშაობ სიც-  
რუეთა იმიჯის გაუმჯობესებაზე.

— აქ უნდა განასხვაო. მე მჯერა, უმეტესად ძალიან  
კარგია, არ მოიტყუო. მაგრამ არსებობს ტყუილებიც, რო-  
მელნიც საზოგადოებას განამტკიცებენ. ესენია ადამიან-  
თამორის გაძლიერებული ტყუილები: მეგობრობისას და  
უწინარესად სასიყვარულო ურთიერთობებშია ძალზე  
მნიშვნელოვანი, მოიტყუო. კომპლიმენტები ხშირად სწო-  
რედაც რომ სიცრუეა. და შემდეგ აქვე არსებობს უფრო  
დიდი ტყუილებიც, რომელთაც როგორლაც დიდი სიკეთე  
მოაქვთ, რისი მოტანაც სიმართლეს არ შეუძლია: მათი  
წყალობით შესაძლებელია ერთი საქმე დაამთავრო. ისევე,  
როგორც შეყვარებისას საქმე დამახინჯებულ და მაცოუ-  
ნებელ სურათებან გვაქვს — განუშეორებელ სიყვა-  
რულში, ანდა განშორებისას უკეთ გამოდის პარტნიორის  
ყალბი სურათით გამჟღავნება, ვიდრე — ავთენტურით.

— ინტერაქტიული პლატფორმებით ინტერნეტში სა-  
უკეთესოდ ვართ ამჟამად ნავარჯიშევი, პირად საქმეში  
ვიცრუოთ.

— მაინცდამაინც არ დავიშინებდი, რომ ტყუიან, თუ  
სხვადასხვა პროფილითა და ავატარით იმოსებიან. შეიძ-  
ლება ეს შევებისმომგვრელიც იყოს, ერთხელ სხვაგვარად  
გამოჩენა შეძლო, ვიდრე ამას საერთოდ აკეთებდი. მას დი-  
ახაც არ ჰქვია, რომ თავს გვაჩვენებენ. როგორც ჩანს, ინ-  
ტერნეტში ძალიან ხშირად ბედავენ იმას, რასაც სხვაგვა-  
რად ვერ რისკავნენ, და აღბათ ამიტომ მოდის ინტერნეტში  
სიმართლე უფრო ახლოს, ვიდრე მის მიღმა.

— ინტერნეტპორტალებიც ხომ დროის შესაბამისი  
ფორმა გამოვინილი ცრუ ამბების?

— მართალია, ვიდრე ეს ვირტუალურ სივრცეში რჩება,  
სხვა რეალობაა, რომელიც არავის ვნებს და რითაც ყველა  
კმაყოფილია. აშეარაა, თუ ამას სინამდვილეში ხდები, ხშირად  
უსამოვნებას გაყენებს, და შეიძლება იმედგაც-  
რუებამდეც მიგიყვანოს.

— ტოტალურ პატიოსნებას, მაგალითად, გამოქვეყნე-  
ბულ დღიურს, დაახასიათებდით საკუთრივ ხელოვნებად?

— არაფერს ესაქმება უფრო ნაკლები სიმართლესთან,  
ვიდრე — დღიურს. იქ არის თუ არის სიცრუე, შელამაზება  
და დრამატიზება. არსებობს, რატომაც არა, ასე ვთქვათ,  
გულწრფელი წიგნები, რომელნიც ცნობილ ბატონთაგან  
შუახნის კრიზისის დროს დაიწერა. შემდეგ ისინი ამტკიცე-  
ბენ: მე ახლა ვწერ ავტობიოგრაფიულ თხზულებას, ეს მე  
ვარ, და ვწერ მთელი ჩემი გულისამრევი ფანტაზიით, ეჭვე-  
ბით, სიმახინჯით. ეს შემდეგ საოცრად ბატიოსან წიგნად  
იქნება მიღებული, მაგრამ, ჩემი აზრით, იქაც მხოლოდ სიც-  
რუე იპარბაშებს. თუ ჩემს რომანში სიცრუის მთხოვნელი  
მსურდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამან მე გამართო, მაგრამ  
სხვა მხრივ, იმიტომაც, რომ ეს ადვილია. თუ ჩვენ ავტობი-  
ოგრაფიულ მიმართვას გარედანაც შევხედავთ: ერთი ხასი-  
ათი, რომელიც რომელიმე სოციალურ ურთიერთობებშია  
და ყოველთვის პატიოსანია, საინტერესო იქნებოდა — მაგ-  
რამ ამავდროულად მძიმეც. ცვალებად კარგ-ცუდ ზითკომ-  
ში „მეგობრები“ დასაწყისში ერთი ხასიათი იყო განთავსე-  
ბული, რომელიც თვითონიდან ამტკიცებდა, არასდროს მო-  
ეცყუა. ასეც იყო, რომ ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც  
სხვა არავინ ენდობოდა. მაგრამ მან ვერ გაძლო.

— კაპიტულაციას აცხადებენ გარედან მიღებული  
რეაციის გამო თუ თავს ვეღარ იტანენ?

— მარტივად ამჩნევენ, რა ხშირად ცრუობენ. ეს ეხება  
სრულიად უწყინარ ტყუილებსაც, როგორც „დაბ“ კითხ-  
ვაზე: მოგეწონა თუ არა? ანდა გაიცინო, როცა სულაც არ  
გეცინება. ადამიანი, რომელიც აღარ ტყუის, ჭეშმარიტე-  
ბის თქმით ისე იქნებოდა დაკავებული, სხვა მის ცხოვრე-  
ბაში აღარაფერი მოხდებოდა.

— ბრიგო-ეის — მომღერალ კონკრ ბერესტს ხშირად  
უსაყვედურებენ, შენი სიმღერების ტექსტები დაზე პირა-  
დი და ძალზე პატიოსანია, რადგან მასში როგორლაც თავი-  
სუფლად შენი დეპრესიის თემატიზირებას ცდილობ.

— ძალიან ამაღლებელბლად მიმართია, თუ ვინმე რაღაცას  
ისეთს ამბობს, რაზეც ჩვეულებრივ დუმან ხოლმე. მართლა  
მჯერა, რომ დეპრესიებს უძმის ეს ხშირად ხდება, ვიდრე კო-  
მიკურ სურვალთა ნარმოდგენებში. ეს გაძედულია, მაგრამ  
არის თუ არა პატიოსანიც? აღბათ, მაგრამ არა იმ აზ-  
რით, რომ სხვა ყველა ცრუობს. ერთეულ შემთხვევებში  
ზუსტად უნდა შეამჩნიო: არის ერთი სახე პატიოსნებისა,  
რაც გლობის, და არსებობს სხვა სახეც, რითაც მებრძოლი  
ხდები. ძალიან ხშირად ასეთი თვითგაშემვლებით უძლე-  
ველიც ხდებიან. ეს განმაიარალებელი პატიოსნებაა, ერთი  
მოჩერებითი სიპატარავე, მაგრამ ეს პიროვნება იმავდრო-  
ულად ძალიანაც აჭარბებს. და ვერაფერს იტყვი საწინააღმ-  
დეგოს — გარდა იმისა, მეტისმეტად პატიოსანია.

გერმანულიდან თარგმნა  
ხათუნა პატაშურმა

# როსტომ ჩხეიძის გამოსვლაში უკრანოდ

## გარათაშვილის დაუცველი რომანი

„ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ ავტობი-ოგრაფიული რომანია, — ირწმუნებოდა ჯემზ ჯოისი და მკვლევარები კი მაინცადამაინც არ იზიარებდნენ ავტორისულ შეხედულებას. არა, მთლადაც არ უარყოფნენ ამ წიგნის ავტობიოგრაფიულობას, მაგრამ ერთგვარ მისტიფიკაციად უფრო მიიჩნევდნენ და განსხვავებათა ძებნასაც გულმოდგინედ შეუდგებოდნენ ყმაწვილ ჯეიზ-სა და მის ლიტერატურულ ორეულ სტივენ დედალუს შორის.

თორემ აგერ მის თანამედროვეთა მოგონებანი და გადმოცემანი, — ხელ-ჩასაჭიდიც ჰქონდათ.

და მართლაც — ვითომ რა საერთო არსებობდა მხიარულ, ინბაზ ჯემზსა და მელანქოლიურ, საკუთარ თავში ჩა-კეტილ სტივენს შორის?

ამ შეპირისპირებას საგანგებოდ და-უკვირდებოდა ამ რომანის მთარგმნელი ქართულ ენაზე ვია ბერაძეც წინასიტყვაობად ნავარაუდევ სტატიაში „დუბლინელებიდან“, „ულისესმდე“ და სწორე-დაც ჯოისის მკვლევარებს დაუჭერდა მხარს და არა თვითონ ჯოისა, რომლის მხატვრულ სამყაროშიც ასე წარმატებით შეეღწია და „ხელოვანის სიჭაბუქის პორტრეტისა“ და პიესის „გაძევებულნი“ ერთობლივი გამოცემით „არტაუ-ჯი“, 2012) საგრძნობლად შეევსო ქართული ჯოისიანა, რომელსაც „ფინეგანის ქელებილა“ აცლია ამ მწერლის სრულყოფილ გააზრებამდე ჩვენს მშობლიურ გარემოში, თორემ მისი ესების თარგმნას რაღაც განსაკუთრებული არტისტიზმი და დაუმრეტელი გარჯა სულაც არა სჭირდება — კეთილსინდისიერი პროფესიონალი რამდენიმე თვეში მოუნახავს ქართულ ვერსიებს.

„ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ — და მასთან ერთად „გაძევებულნი“ — არ არის რაღაც განსაკუთრებულად ძნელი ტექსტი, „ულისესავით“ საჭაპანწყვეტი, მაგრამ თავისი გასაღები მათაც სჭირდებოდათ, რათა ხელშესახებად განგვეცადა ქართულადაც დიდი მწერლის სუნთქვა. და ეს სუნთქვა ახლა საკმაოდ საგრძნობია და ამ გადასახედიდან უდავოდ უნდა გავიხსენოთ ნიკო ყიასაშვილის ლვანლი, გზა რომ გაგვიხსნა ჯემზ ჯოისის მხატვრული სამყაროსაკენ „ულისეს“ ქართული ორეულის შექმნითა და ნარკვევების ციკლით.

„ხელოვანის სიჭაბუქის პორტრეტი“ არ არის „ულისეს“ რანგის ქმნილება, მაგრამ მოდერნისტული სკოლის თვალსაჩინო ნიმუშია, ირლანდიის ტრაგედიის გამომხატველიც და მოუწყინრად საკითხავიც, ეზრა პაუნდს ასერიგად რომ ალაფრთოვანებდა: მისი ბადალი არაფერია ამ-ჟამინდელ მსოფლიო ლიტერატურაში და ცოტა რამ მეგულება ნარსულშიო.

რას წარმოიდგენდა, რამდენიმე წლის შემდეგ „ულისე“ კიდევ უფრო მეტად თუ მოხიბლავდა.

ეს რომანი აუცილებლად და დროულად უნდა ითარგმნოს ფრანგულადო, — აგულიანებდა ფრანგ ლიტერატორებს და თითქოს ეზრა პაუნდის რჩევასაც ითვალისწინებდა ქართველი მთარგმნელიც, ჩვენს მწერლიობაშიც რომ მიუჩინდა ადგილს „ხელოვანის სიჭაბუქის პორტრეტს“.

ან რაღა თითქოს — ისეთი მონიშვნებით იმონშებს სახელგანთქმული ამერიკელი პოეტის ამ სიტყვებს წინასიტყვაობაში, თავის ერთ-ერთ შეამონებლად უთუოდ მასაც აღიარებს ნიკო ყიასაშვილთან ერთად,

თორემ შეგულიანების გარეშე ეგებ ვერც შეებედა ჯოისის სახელისათვის, მშვენიერი ქართული ორეულები რომ შეგვიქმნა რომანისაც და პიესისაც.

და ნინასიტყვაობაშივე შეუდარებდა ერთმანეთს ჯოისასა და მის ლიტერატურულ ორეულს, რათა გაეზიარებინა მკვლევართა მტკიცება, მწერალმა თავის სიყმანვილეს მხატვრული მოსაზრებით მიაჩნია მელანქოლიურობა და საკუთარ თავში ჩაკეტილობა, თორემ სად ამგვარი ხასიათი და სად ის ბავშვი და ჭაბუკი, სხვადასხვა მოგონებიდან რომ შემოგვანათებსო.

ის ბავშვი და ჭაბუკი — მოძრავი, ცოცხალი, სულაც მხიარული რომ შეერქმიათ, სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებული, წვეულებებზე — სუფრის სული და გული, ენამახვილი და მომღერალი, ხალისიანი, ენერგიული, ვინც ონბაზობებსაც არ თაკილობდა და ისიც კი შეიძლება მოფიქრებოდა, რომ მომვლელ ქალს საბავშვო ეტლში ჩახტომოდა და ეკითხა: სადამდე გვაქვს ერთი გზაო?

და თითქოს ვეთანხმებით მკვლევართა მტკიცებას, ასე რომ გვითვალსაჩინოებენ ორ პოლარულ ხასიათს — ერთს ყოფით, მეორეს კი მხატვრულ სინამდვილეში... ვეთანხმებით, ვიდრე უეცრად ნამოგვკრავდეს გონებაში: ნეტა ნიკოლოზ ბარათაშვილი როგორ წარმოსახავდა თავის სიჭაბუქის პორტრეტს, რომ დასცლოდა და რომანის-თვისაც მოეკიდა ხელიო.

ამის თაობაზე უკვე შეეთანხმებულვართ, რომ იმ ეპისტოლების დამწერი, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის განუყოფელ და ძვირფას ნაწილს რომ წარმოადგენს, ადრე თუ გვიან პროზასაც წარმატებით მოსინჯავდა და დიდებული რომანითაც დაგვასაჩქრებდა.

მისი ბავშვობისა და სიჭაბუქის გარეგნული სურათი ხელისგულზე გვიდევს თანამედროვეთა მოგონებების წყალობით, იონა მეუნარგია ერთად რომ მოუყრიდა თავს და წარმოგვიდგენდა მხიარულსა და მარდ ყმაწვილეაცს, პირველ მოცეკვავესა და მოლეკურეს, წვეულებებზე — სუფრის სულსა და გულს, ენამახვილს, ხალისიანს, ენერგიულს, ონბაზობებსაც რომ არა თაკილობდა და... პერ-



სონაუად გარდასახული აკი ამ სახითაც ამოჰყოფდა თავს გიორგი ერისთავის დრამატულ პოემაში „შემლილი“.

მისი სულიერი ყოფა ხელშესახებია პირადი წერილების წყალობით, მელანქოლიურ, საკუთარ თავში ჩაკეტილ ჭაბუქს რომ გვაცნობს, ვინრო ასპარეზზე მომწყვდეულს და კიდევ და კიდევ დადარდიანებულს, თორემ ქვეყნის მოზარეობა ხომ თავისთავად.

ესეც... გარეგნული სურათი.

ესეც... სულიერი ყოფა.

ორი პოლუსი შეგვრჩენია ხელთ, ოლონდ რომანის დაწერა რომ დასცლოდა და ავტობიოგრაფიული ყაიდისადაც ჩაეფიქრებინა, თუ როგორ ყალიბდება ხელოვანი ყმანვილის არსებაში, მისი ხასიათის ის ნამდვილი მხარე გარდაიქმნებოდა ლიტერატურულ ორეულად, ეპისტოლებიდან რომ გვეხატება თვალწინ; და მერე ნუდა მოვყებოდით მტკიცებას, შეუძლებელია ეს პერსონაჟი ავტობიოგრაფიული იყოს, ეს სულიერი თავისადასავალი არ შეეფარდება თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით აღდგენილ სურათსო.

და ეს მივმხვდარიყავით, რომ ის, მემუარებში აღწერილი — ბარათაშვილის სიჭაბუქის მოჩვენებითი პორტრეტი გახლდათ.

ეს კი, რომანში წარმოსახული — ჭეშმარიტი პორტრეტი.

განა თვითონ პოეტს — რომანის ჟანრში გადასახლებულს — უკეთ არ მოეხსენებოდა თავისი ნამდვილი სახე, ხალისიანი, ენამახვილი, ოინბაზი ყმაწვილის გარეგნობის მიღმა ჩამაღლული?!.

...ისე ალბათ ძალიანაც არ გადავაჭარბებთ, თუკი „ხელოვანის სიჭაბუქის პორტრეტს“ ნიკოლოზ ბარათაშვილის დაუწერელ რომანადაც ვიგულისხმებთ. ჯემზ ჯონის სულიერი ტკივილები ისედაც ძლიერ მახლობელი და მშობლიურია ჩვენთვის, მაგრამ ამ გადასახედიდან — ბარათაშვილური სამზერიდან — კიდევ უფრო გვემშობიურება და ამ განცდას ვერ შეველევით.

### ფრაცე კაფკა და თავთავები

ერთხელაც დიდუბის მეტროსთან ლევან ბრეგაძე წააწყდებოდა სარეკლამო წარწერას:

— უმაღლესი კატეგორიის მეორადი ტანსაცმელი.

და აღტაცდებოდა: ბრწყინვალეაო.

და რომ ჩაუკირდებოდა, აღმოჩენდა, რომ მას შთამ-ბეჭდაობით ფრანც კაფკას ფრაზა თუ შეედრებოდა რომანიდან „პროცესი“, ნელი ამაშუკელს ასე რომ გადმოეტანა ქართულად:

— დაბალი კატეგორიის მაღალი რანგის მოხელეები.

რაოდენ მახვილია ხოლმე კაფკას ფრაზა, სტენოგრაფიული გარეგნობის მიღმა რამხელა სიმახვილითა და იუმორით სუნთქვას, „ჩიქორთულობის“ იერი კიდეც რომ ამშვენებს და ახალისებს მის თხრობას, თორემ კოშმარები გაგვთანხვავდა, გაბეზრებაზე რომ აღარაფერი ითქვას.

სან სულაც არ არის აუცილებელი ფრაზის კაფკაური მოქნევა, მაგრამ სიტყვები ისე მიეწყობა ერთმანეთს, რომ ძალაუნებურად გიბიძგებს ამ მანერით შევსებისაკენ.

მოგეხსენებათ ამერიკელი სწავლულის ვერჯილ ნემოიანუს „მეორადის თეორია“, რომელიც გულისხმობს მეტაფორულ გააზრებას იმ საზოგადოებრივ-კულტურული პროცესისა, პროგრესის კომბაინი დაუნდობლად რომ ანადგურებს სულიერ ფასულობებს, მაგრამ მის კვალში ჩამდგარი ცალკეული ადამიანები ნაწერალში მიმოფანტული თავთავებივით აგროვებენ ლიტერატურულსა და კულტურულ ღირებულებებს და უნახავენ შთამომავლობას, და ის, რაც მეორეულად, ნაკლებმიშვნელოვნად მოჩანს მეცრი რეალობის პირობებში, უნდა აღმოჩნდეს მთავარი და გადამწყვეტი მონაპოვარი ადამიანური სულის გადასარჩენად.

„მეორადის თეორია“ ის პირობითი სახელნოდებაა, პარადოქსული სუნთქვით რომ უნდა განმსჭვალოს ყოფილი რეალობის მოთხოვნილებანი და მიგვანიშნოს „ნამოკერფილ თავთავეთა“ სწორედაც პირველადობაზე, და კომბაინის კვალში ჩადგომის აუცილებლობაზე.

საქართველოში სტუმრობასას 2007 წლის გაზაფხულზე ვერჯილ ნემოიანუ ლექციების ციკლს რომ გაგვაცნობდა თბილისა და ქუთაისში, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაკითხულ ლექციას გამოეხმაურებოდა ლია კუხიანიძე ესეით „ხელეური“ და მოხდენილად შეკონილ შთაბეჭდილებებს ამ ფინალური აკორდით დააგვირგვინებდა:

— ბატონები როსტომ და პაატა ჩხეიძეები „მეორადის თეორიის“ გმირები მგონია, პროგრესის კომბაინის ფეხდაფეხ რომ მიჰყებიან და შთამომავლობისათვის აუცილებლად გადასარჩებ ლიტერატურულ და კულტურულ ღირებულებებს კრეფებ. როგორც ყოველთვის, ქუთაისში მათი ეს სტუმრობაც ამის დასტურია.

ფრაზის კაფეკაური მოქნევაო და:

— „მეორადის თეორიის“ უპირველესი გმირები მგონია.

ვიდრე ვინმე თავმდაბლობის ნაკლებობას მისაყვედურებდეს, გაითვალისწინოს ფრანც კაფკას სტილური მანერის თავისებურება და ის ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც თავისთავად გვიარდება ხელთ, თუ ამ ენობრივ სტილის-ტიკას შეთვისებულხარ.

...ნეტა ვის მოაფიქრდა ეს „უმაღლესი კატეგორიის მეორადი ტანსაცმელი“, — დიდაბანს ვერ მოწყდებოდა ლევან ბრეგაძეს სარეკლამო წარწერას, რომლის ავტორებსაც კაფკას შემოქმედების ცოდნას ნამდვილად ვერ დააბრალებდი!..

### სინარჩონის სტულოგა

#### და

#### ალიოშა დევდარიანის არაივი

„ადამიანის ადამიანობა მხოლოდ მეტყველებაა. სამყაროს სამყაროობაც ასევე“.

ესეც მოხდენილი შეჯამება მიხეილ ანთაძის ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ნარკევევისა „ორიოდ სიტყვა სინქრონისტულობის პრინციპის გამო“, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს (რასაც გამოჰყევთს ვრცელ სქოლიობის) და ნაწილიცა ვრცელი კვლევისა, ერთდროულად რომ ამთლიანებს მოთხოვნის „სინქრონისტულობის პრინციპი“, ჩანახატს „კიდევ ორი ამბავი“ („რატომლაც“ რომ არ მოინდომა მოთხოვნის სიუჟეტურ ქარგაში მოქმედევა) და ის თარგმანის სიუჟეტურ

ფსიქოლოგიურ თხზულებას „სინქრონისტულობის შესახებ“ და რენატო ბარნესკის „კინორეცენზიას „ამა წლის ყველაზე „იძუმალი“ ფილმის კადრები ანუ კაპიტან ფელინის ხომალდი მიერგზავრება დაღუპვის ადგილისაკენ“. და ეს ყოველივე უნდა შეეკრა და შეეჯამებინა „ორიოდ სიტყვას“.

კვლევისათვის რა გასაკვირია ეკლექტიზმი, თვალსაჩინოებისათვის მოხმობილ მრავალფეროვან მხატვრულ სურათებს იქვე რომ ავსებს მისივე ანალიტიკური განსჯა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ფსიქოლოგიური ჩაღრმავებისათვის კი არ უნდა იყოს ეს ყოველივე თავმოყრილი, არამედ ორიგინალური ფირმის მოწმენა ვხდებით, ძალდაუტანებლად რომ შეიძლება მივაკუთვნოთ პოსტმოდერნისტული რომანის სახელიც, თუმც თვითონ ავტორი მოერი-და ამგვარ განსაზღვრებას და მემუარულ ჩანაწერთა და დამატებით მასალათა თავმოყრელის ფუნქციასაც იოლად დასჯერდა, თორებ სადმე მიგვანიშნებდა, რომ ამ მხატვრული ქმნილების კომპოზიციურ აღნაგობას საგან-გებოდ ჩაგვეირვებოდით.

ასე რომ:

„სინქრონისტულობის პრინციპი“ — როგორც ექსპერიმენტული რომანი.

ექსპერიმენტულ მხატვრულ ქარგაში კი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტია წარმოდგენილი, ფილოსოფიურ გა-აზრებათა საყრდენად რომ გადაიქცეს იმ რეალობაში, სა-დაც სამყაროს სამყარობას ხელშესახებად ვიგრძნობთ.

სინქრონისტულობის ნაცვლად შეგვიძლია ვთქავთ აგრეთვე ორი ან მეტი მოვლენის „აზრობრივი თანხვედრა“, თუკი ვიგულისხმებთ არა შემთხვევის ალბათობას, არა-მედ კიდევ რაღაც სხვას.

ეს „კიდევ რაღაც სხვაა“, ექსპერიმენტული რომანიც რომ მოიყოლა თაბ და, გარდა ამ თხზულების პირნინდად მხატვრული ანალიზისა, ჩვენც მოგვანდომებს უშუალოდ ჩვენი ბიოგრაფიიდან ან სხვათა ნამმბობებიდან ამოვკრი-ბოთ სინქრონისტული მოვლენები და მიხეილ ანთაძის მი-ერ სახელდახელოდ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში მო-ვაციოთ, შემაჯამებელ ჯგუფებად რომ ჩამოუნიკიკებია:

სკარაბეისა — დამოუკიდებელ მოვლენათა დამთხვევა; ქარნისა — კავშირი საკავაოსა და საიქიოს შორის;

ორასიო-მაგასი — საოცარი ურთიერთშეხვედრები;

მოცარტისა — საინფორმაციო ტექნოლოგიები;

გოდარდისა — სიზმრები;

იუნგისა — მკითხაობა, ჰოროსკოპები და სხვა.


ცისარტყელისა — ბუნების მოვლენები;

რელიგიისა — სასწაულები;

ისვინისკარტასი — იუმორი;

ლოგოსისა — შეხვედრები სიტყვასთან.

და პრობლემის თუნდ ზედაპირული მიმოხილვითაც გაეთვალსაჩინოებინა, რომ სინქრონისტულ მოვლენებში ფსიქიურ და ფიზიურ რეალობათა გარდა იყითხება კი-დევ ერთი, შუალობითი რეალობა — სიტყვა, როგორც სე-მანტიკური ობიექტ-სუბიექტი.



— დამკვირვებლის მიერ აღთქმული შინაარსი იმავ დროს შესაძლოა გამოვლინ-დეს რაიმე გარეგან მოვლენაშიც, ამასთან, ყოველგვარი მიზეზობრივი კავშირის გა-რეშეო, — გვარნმუნებდა გერმანელ ფსი-ქლოგი კარლ-გუსტავი იუნგი, ჯერ ზიგ-მუნდ ფრონიდის მონაფებაზე რომ სდებ-და თავს და მერე მისი მოძღვრების ამოყი-რავებაზეც არ დაიხევდა უკან... დაას, გვარნმუნებდა და საგულისხმი პერსპექ-ტივას გადაგვიშლიდა: აქედან გამომდინა-რობს, რომ ან ფსიქე არ მდებარეობს სივ-რცეში, ან რომ სივრცე მჭიდროდა დაკავ-შირებული ფსიქესთან. იგივე ითქმის ფსი-ქეს დროით (ტემპოლარული) განსაზღვ-რებისა და დროის ფსიქიური ფარდობი-თობის შესახებ. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ აღმოჩენათა დადასტურებას მე-

ტად შორსმიმავალი შედეგები უნდა მოჰყესო.

და ამ შეჯამებას მიხეილ ანთაძე თავის დასკვნასაც რომ მიადევნებდა, ისე ჩაფლობოდა ტერმინების კორი-ანტელში, ერთამად განზე გადასწევდა ტერმინთა ამ ნა-კადს და ფინალურ აკორდად აფორისტულ ფრაზებს შე-არჩევდა, რომ: ადამიანის ადამიანობა მხოლოდ მეტყვე-ლება და ასევე სამყაროს სამყაროობაც.

ამოვკრიბოთ ჩვენი ბიოგრაფიიდან თუ სხვათა ნაამ-ბობებიდანო...

ცნობიერების ნაკადი უამრავს თუ არა, საკმაო მაგა-ლით მოგანვდის, და თუნდ ამ წუთას მეც ასარჩევად გამ-ხდომია, მაგრამ ის წუთები წინაურდება, უეცრად ივანე ამირხანაშვილს რომ დავურევავდი და, მისალმების გარე-შე, პირდაპირ ამას ვეითხავდი:

— სად გაქრა ალომა დევდარიანის არქივი, ფოტო-დოკუმენტები, ხელნაწერები?

გახსოვთ ზოგა ელდარ შენგელაიას კინოფილმიდან და ზოგსაც რეზო ჭეიშვილის რომანიდან „ცისფერი მთე-ბი“, ზოგსაც ორივედან ვასო ჩორგოლაშვილის ეს ღრმა და გამჭვირვალე ქვეტექსტით დატვირთული შეკითხვა გრიშას მიმართ, ის წინასწორობას რომ დაკარგავს: წაი-ლეს, იცი თუ არა, რომ წაილეს?! შენ მე ვინ გგონივარ, სა-ით მიარაებ, ჩემი დამსახურება სათანადო არის ფიქსი-რებული, ბელადის შვიდი მადლობა მაქვს მიღებული. ამას აღარ გაპატივებ, ახლავე ზევით ავალ, იქ გავარკვი-ოთ ალიომა დევდარიანის არქივის საქმე. ახლავე ზევით ავალ!

ამ ერთ პასახშიც ხელშესახებად იკვეთება იმ ტრაგი-კული კაცის ბედისწერაც და გრიშას „დამსახურებათა“ არსიც. თუმც ამ პასაჟსა და რეზო ჭეიშვილის მხატვრულ ისტატობაზე (მსახიობთა ხელოვებაზეც!) საუბარმა შორს არ გაგვიყოლიოს, მთავარი აქ ისაა, ჩემი სახუმარი შეხმიანების პასუხად ივნებ რომ მომიგებდა: შენ აგაშენა ღმერთმა, კანალამ თავი გამისკდაო!..

მე დავიბნეოდი: ან თავი რატომ გაგისკდა კინალამ, ან მე რა გიშველე-მეტქი.

— ჩვენი ბიჭებიდან რომელმა დაგირევა და გკითხა, შენ ხომ არ გახსოვს, ვის გვარ-სახელს ამბობს ვასო ჩორგო-

ლაშვილი, მოიარებით ბრალს გრიშას რომ სდებს, თორემზანო თავს იმტვრევს და ვერა და ვეღარ გაუხსენებია.

- არცერთს არ დაუკერავს.
  - კარგი ახლა.
  - დამივერო უნდა, ხომ იცი, რომ მე არ ვიფიცები!..
  - მჯერა, რაყი ასე მეუბნები, მაგრამ... გაოგნებული კი ვარ... არა, რანაირად მაინც?!.
  - რა რანაირად, იქნებ გამარკვიო?
  - რატომ გაიხსენე ის ადგილი „ცისფერი მთებიდან“?
  - რა ვიწი, აბა!.. უკირად რალა/ჯამ წამოქარა და და-

— შენ იცი, რომ გალვიძებისთანავე ამყვა ვასოს ეს სიტყვები და ვერა და ვერ გავიხსენე, ვის არქივს ახსენებდა. ვერ გავიხსენე და ნუ გავიხსენე, ამისთანაც რა მოხდა, არა?!. რამდენი რამ ვეღარ მოგვიგონებია, მაგრამ ამეცვი-ატა და ამეცვიატა, თავს ვიტეხავ, რომელი სახელი და გვა-რი აღარ გადავსინჯე გონებაში... რაც უფრო მოვინდომე გახსენება, სულ ჩამეცეტა ცნობიერება... ეს რომანი სო-ფელში მაქვს და, ვიდრე საჯარო ბიბლიოთეკაში წავიდო-დი ამ პასაჟის მოსახებნად, ჩვენს ბიჭებს ჩამოვურეკე, ეგებ რომელიმეს ხსომებიდა. ვერავინ გაიხსენა. შენ მო-გერიდე, საქმეში იქნება ჩაფლული და ხელი არ შევუშა-ლო-მეთქი. აი, ახლა სწორედ საჯაროში გავდიოდი... მა-ინკ რატომ წამოგაგონდა ალიოშა დევდარიანი?

— რაც არ ვიცი, არ ვიცი... რაღაცამ წამომკრა-მეთქი, ხომ გითხარი!!

— აგაშენა ლმერთმა, აგაშენა!.. თორემ გაგიჟებას ალარაფერი მიკულდა.

- შენც რას აიჩინე, როცა იქნებოდა, ხომ დააზუსტებდი.
- ჩემს ნებაზე ხომ არ იყო.... ასე მომივიდა და.... არა,

ამ ეპიზოდის ადგილიც მოძებნება კარლ-გუსტავ იუნგისა და მიხეილ ანთაძის კლასიფიკაციაში და სხვა ამისთანებისაც... ისე ეგებ ამ და იმ სხვა ამისთანა ეპიზოდებითაც შეავსოს ბატონმა მიხეილმა თავისი რომანი ხელმეორე გამოცემისას. რაკილა რომანად შესხდავს და არა იდუმალებითმოსილი პრობლემის მხატვრულ და მეცნიერულ განსჯად, ამ მხრივ მისი ფორმის გამკვეთრებაზეც უფრო იზრუნოს და მთლიანობის გაძლიერებაზეც, შეავსოს, გადამუშაოს ახალი თვალთახედვით, თუმც, ცხადია, ფინალური აკორდი არ შეიცვლება, ანკი რატომ უნდა შეიცვალოს, როდესაც ადამიანის ადამიანობაც ყოველთვის მეტყველებით დადასტურდება და სამყაროს სამყარობაკ.

...ისე რა არის, არ, ეს პოსტმოდერნიზმი და მისი მხატვრული ფორმები, რამდენი რამ შეიძლება მოაქციოს თავის წიაღში, განსხვავებული ყანრის თხზულებანი, მოულოდნელად რომანადაც რომ შეიძლება წარმოდგენ.

ଭାରତୀୟ ଲେଖକୁ ଆମିନ୍

„ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!“ სამგლოვიარო ლირიკის ნიმუშია.

უოლტ უიტმენი მუხანათურად მოკლულ აბრაამ ლინ-  
კოლნსაც დაიტირებდა და უნინამძღვროდ დარჩენილ  
ამერიკასაც, რომელსაც — როგორც უკაპიტნო ხომალდს

— შესაძლოა შთათქმა დამუქრებოდა ავტედითი ტალღების მიერ და ამერიკელსაც იმგვარი განცდა შეიძყორდა, ჩვენში პარანას რომ მოლანდებოდა თავისი სამშობლო ზღვაში მოფარფატე უნიჩბო ნავად: გავალთ თუ დავიღუ-  
პებით, არავინ იცის სწორადაო. და „ო, კაპიტანი! ჩემო  
კაპიტანი!“ ამასვე მოთქვამდა: ნეტა ლინეოლთან ერთად  
დასამარდება დემოკრატიზმის მონაპოვარი თუ ის იდეა-  
ლი მაინც გადაგვირჩება და ძვირფასი ეიბს ანდერძის  
ლირსეული ალმარულებელნი გამოგვიჩნდებიან.

კიდევ სხვა ლექსითაც დაიტირებდა უიტმენი ამ ტრა-  
გედიას, მართლაც მსოფლიო ელეგიური პოეზიის შედევ-  
რით „როცა ეზოში, გაზაფხულზე“, და საერთოდაც მის  
ლირიკასა და მეტყუარულ ჩანაწერებში არაერთხელ გაი-  
ელვებდა აბრაამ ლინკოლნის ლანდი ჰეროიზმისა და  
თვითშენირვის სიმბოლოდ, თუმც ყველაზე ხელშესახე-  
ბად გლოვა მაინც ამ ლექსში გამოცხადებულა — „ო, კაპი-  
ტან! ჩემო კაპიტანი!“ — და ის შინაარსის მხრივ უფრო  
იპყრობს ხოლმე მკვლევართა თუ მთარგმნელთა ყუ-  
რადლებას, უიტმენის პოლიტიკურ შეხედულებათა, მისი  
მსოფლგანცდის დამადასტურებლად, თორემ მისი დეკ-  
ლარაციულობის გამოისობას ყველას ვერ უდივივებდა  
ცნობისწადილს; და ნიშანდობლივია, რომ ისე აამეტყვე-  
ლებდნენ ქართულად კონსტანტინე გამსახურდა თუ თა-  
მაზ ჩემნებელი „ბალახის ფოთლების“ არაერთ ნიმუშს, „ო,  
კაპიტან! ჩემო კაპიტანი!“ ამ პოეტურ ვერსიათა შორის  
არ აღმოჩნდებოდა, აღარაფერი რომ აღარ ითქვას ვახ-  
ტანგ კოტეტიშვილისა თუ ლანა ლოლობერიძის მიერ გად-  
მოტანილ რამდენიმე ლექსზე.

ის კი არა, თავიდან ზევიად გამსახურდიაც არ დაინტერესდებოდა ამ ლირიკული ნიმუშით და როდესაც „ბალანის ფოთლების“ 1966 წლის ქართულ გამოცემაში სხვა მთარგმნელთა გვერდით ისიც აღმოჩნდებოდა, მის მიერ თარგმნილ ხუთ ლექსში არ გამოერეოდა ეს სამგლოვიარო პოეტური ძეგლი.

და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ამერიკელი პო-  
ეტების ანთოლოგიური ყაიდის კრებულის მომზადებისას  
დაისაჭიროებდა მის გადმოღებასაც და... კიდევ აღმოჩნ-  
დებოდა სათავეში იმ სიისა, რომელიც ოთხი ათეული  
წლის მერე თორმეტამდეც ააღწევდა.

მთარგმნელთაგან ზოგი თვითონვე მოინადინებდა ამ ლექსის გადმოღებას, ზოგსაც საგანგებოდ დაუკვეთდა გამომცემლობა „ინტელექტი“, რათა ახალ სერიაში „ერთი შედეგრის ყველა ქართული თარგმანი“ უოლტ უიტმენის „ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანოც!“ შეეტანა და ასე შეიკვროდა წრე მედეა ზაალიშვილის, ვასილ გულეურისა, ნინო დოლიძის, დალილა ბედიანიძის, ნანა გასვიანის, პაატა შამუგას, ლელა ერნალიძის, ნატა ვარადას, სალომე ბენიძის, ქარდა ქარდუხისა და რიკალი კაკაბაძის წარმატებულ მცდელობათა მშვეობით, კრებულისათვის დართულ ბოლოსისტყვაობაში თამარ კოტრიკაძე „მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულად“ რომ შეაფასებდა. სუბიექტური აღქმის მიხედვით საუკეთესოებად მაინც დაასახელებდა ქარდა ქარდუხის, ვასილ გულეურისა და დალილა ბედიანიძის პოეტურ ვერსიებს, ხოლო ზეინა გამსახურდისას სულაც ცალკე მოიხსენიებდა, როგორც კლასიკოს მთარგმნელს.

ბოლოსიტყვაობაში არაა დავიწყებული უანა დ'არკი თუ ილია ჭავჭავაძე.

არაა დავიწყებული ინგლისელი მწერალი დეივიდ ჰერბერტ ლორენსი, ვისაც სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა უიტმენის პათეტიკა და მის „ბალახის ფოთლებს“ მიზნევდა „სასაფლაოს ნოყიერ მინაზე ამოსულ ხორციან ბალახ-ბულახად“.

არაა დავიწყებული აკუტაგავა, ტოლკიენი, ეკო თუ დიუმა, რათა მსჯელობის ნაკადში გათვალსაჩინოვდეს, რომ მოდერნიზმის მიერ ყბადაღებული, თითქოსდა ყალბი პათოსი პოსტმოდერნისტული ეპოქის ადამიანში რომანტიკულ ნოსტალგიას ამძაფრებს.

არაა დავიწყებული ამერიკული მხატვრული ფილმი „მევდარი პოეტების საზოგადოება“, რომელმაც უიტმენის ამ ლექსს მეორე სიცოცხლე მიანიჭა, რადგანაც მას ნარმოთქამენ მოსწავლეები მათი ცნობიერების გამსხველ მასწავლებელთან განმორებისას (ტრაგიკული განმორება არ იგულისხმება, ეგაა, დირექცია ყმანვილების საყვარელ პედაგოგს სკოლიდან აძევებს!); აღნიშნულია რეჟისორის გვარ-სახელიც: პიტერ უირი, და მთავარი როლის შემსრულებლისაც: რობინ უილიამს.


ამგვარი ყალბის ბოლოსიტყვაობებს თავისი სპეციფიკა აქვთ და არც სავალდებულოა და ვერც ჩაეტევა მათ ქარაბში სრული მიმოხილვა. ეს ხომ სამეცნიერო გამოკვლევა არ არის, ავტორი საკითხის ისტორიას რომ გაცყვეს. ის კი არა, ქართული უიტმენიანას ზედაპირული მიმოხილვაც ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ... აუცილებელი კი გახლდათ იმ ორი ესეის მოსხენება არა ზოგადად უოლტ უიტმენს, არამედ უშუალოდ ამ ლექსს რომ ეძღვნებოდა და გარდა პირზმინდად ლიტერატურული განსჯისა, პოლიტიკური სულისკვეთებთაც განმსჭვალულიყო.

როდესაც მხატვრული ქმნილებისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭებაზე ვსაუბრობთ, ახალი სიცოცხლის უკეთესი მინიჭებაც რა უნდა იყოს, თუ არა მისადმი მიძღვნილი საგანგებო კრიტიკულ-ესთეტიკური თხზულება თუ პოლიტიკური ესეი.

ამ ათი წლის წინათ ზედიზედ გამოქვეყნდებოდა გაზეთის — „ჩვენი მწერლობა“ — ფურცლებზე თქვენი მონამორჩილის „ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!“ და მისი გამოხმაურება, არსებითად კი დამოუკიდებელი ესეისტური თხზულება ლია კუხინიძისა „ო, კაპიტანო!.. ჯვარზე ვნებულო ჩვენო კაპიტანო!“

ორივე კრიტიკული ეტიუდი უკვირდებოდა არამარტო უიტმენის ლექსსა და მის გმირს, არამედ ამ ლექსის პირველი ქართველი მთარგმნელის ზეიად გამსახურდის ბედისწერასაც და მის ტრაგიკულ შარავანდში გააზრებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ გეზსა და მომავალს.

ამერიკელი პოეტისადმი მიძღვნილ ესეიში „მე — უოლტ უიტმანი, კოსმოსი“ ზვიად გამსახურდია ამ სამგლოვიარო ლექსსა და იმ გრანდიოზულ რეკვიემს „როცა ეზოში, გაზაფხულზე“ რომ ახსენებდა, დასძენდა:



— პოეტმა იცის, რომ როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეენირება მსხვერპლად მისი მესვეური, ეს მოასავებს ამ საქმის გამარჯვებას.

ასე პირდაპირ ამ კონცეფციას ვერ ამოიკითხავთ ამ ლექსებიდან, მაგრამ ეს ის დასკვნაა უიტმენური ხილვებისა, ზვიად გამსახურდია რომ ამოზიდავდა ზედაპირზე და თავის ბედისწერასაც მის ციაგში გახვევდა.

ეს სულიერი მემკვიდრეობა მკაფიოდაა ნარმოჩნილი ლია კუხინიძის ესეიში, რომელიც ბოლო დროის ქართული ესეისტიკის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია და არ არის ასე იოლად მისაფარებელი.

საერთოდ კი ეს ორივე კრიტიკულ-ესთეტიკური სტატია უოლტ უიტმენის ამ ლექსის „ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!“ ბიოგრაფიის ნანილია, თვითონ ამ ლექსისაც, თორემ მისი ქართული ვერსიებისა ხმო თავისთავად. და სად უნდა ჩართულიყვნენ ყველაზე ბუნებრივიად, თუ არა ამ ლექსის თორმეტი ქართული თარგმანისათვის დართულ ბოლოსტყვაობაში.

მათი მოხსენიება იგულისხმება, თუნდ ცოტა ვრცელი განსჯა და ციტატების დამონმება არც დაესაჭიროებინათ — ეს უკვე სურვალისამებრ.

მე მაინც მიამიტებულ მჯერა, რომ წერილებიც იმიტომ იწერება და წიგნებიც იმიტომ გამოიცემა, რომ მეითხველის ცოდნა და თვალსაზღირი გაამდიდროს, და არა რაღაც-რაღაცები მიაყრუოს, მიჩქმალოს, თვალს მიაფრიოს...

ხმ აღიან დააკლდებოდა ედგარ ალან პოს „ყორანის“ 21 ქართული თარგმანის გამოცემას, რომ არ დართვოდა პოეტისავე ესეი „კომპოზიციის ფილოსოფია“, ამ შედევრის შექმნის პროცესს რომ აღწერდა ხაბიჯ-ნაბიჯ?

„ინტელექტს“ ეს არც გამორჩენია, მაგრამ მთავარი ისაა, ზედმეტადაც რომ მიეჩინიათ ამ ესეის დართვა, მოხსენიებით სადმე უნდა მოეხსენიებინათ მისი არსებობა — ან ანოტაციაში, ან ბოლოსიტყვაობაში, ან კომენტარებში — როგორც „ყორანის“ ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილისა.

„ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!“ — ჩაძირულიყო ზვიად გამსახურდია უოლტ უიტმენის პოეტურ სამყაროში, ითავისებდა მის ხილვებსა და სულისკვეთებას და მის ტრაგიკულ განცდებს თავისასაც მაადევნებდა, შორეული ხმებიც რომ ჩაესმოდა, ერთმანეთში არეული, თანდათან რომ უნდა დამწერარებულიყო და გამოკვეთილიყო მარადისობას შერწყმულ სიტყვებად: დასრულდა ჩვენი მძიმე მგზავრობა, გველირსა ცის გასხივოსნება; ხომალდმა გაუძლო ლელვებს და გრიგალებს, ჩვენი სანუკვარი ასრულდა რცნებაოს...

და მოისმოდა ზარების რეკვაც.

და თვალები მისდევდნენ ხომალდის მტკიცე ქიმს.

და ფრიალებდა ალამი, სისხლით დანამუშლი ალამი ფრიალებდა!..

რობინზონ უზნაძე

## დაუფასერალი ღვაცლი 3ანო გზედლიშვილისა

(ღია ხერილი ურნალ „ჩვენი მთავრობის“ მთავარ რედაქტორს)

გავეცანით თქვენს ურნალში 2012 წლის 9 მარტს გამოქვეყნებულ რეპორტაჟს — „წევთბი, რომელიც უნდა შეაგროვო“ და მისმა ერთმა პასაჟმა ჩვენზე უარყოფითი შთაბეჭდილება დატოვა. საქართველოს ყველა შემოქმედსა და შემსრულებელს, გამორჩეულ საგუნდო მოღვაწეს, ერთადერთ ხავერდოვნ ტენირს, ყველაზე დიდ, ამაღლებულ ლოტბარს, კომპოზიტორს და პედაგოგს, იუნისკოს მიერ მსოფლიო შედევრად აღიარებულ სრულიად განსხვავებულ 40-ზე მეტი ნაწარმოებისა და სამი ბალეტის ავტორს, რომელთაგან ყველა ისევ ვანოსეულია, კოსმოსში დავანებული და სახელობითი მსოფლიო შედევრად აღიარებული ერთადერთი ქართული მუსიკალური ნაწარმოების — ჩაკრულოს ვანოსეულ ვარიანტის ავტორს, განსაკუთრებული კულტურის მქონე შემსრულებელს, დიდი კომპოზიტორის, ქართული ფოლკლორისა და მსოფლიო ფოლკლორის კლასიკოსის — ვანო მჭედლიშვილის სახელის უწებლივ დამკირებით.

ვანოსეულ ძეგლთა დაუფლება-მიტაცებისათვის ქართველ ფოლკლორისტთა შორის მიმდინარეობს დაუნდობელი, უძელავათო, ფარული თუ ლია ბრძოლა, ჭიდილი და ის კი არ იციან, რომ აბსალუტურად დახვეწილ ძეგლთა გადამუშავება-გაუმჯობესებას, რომელთა გადამუშავება-გაუმჯობესება თეორიულადაც კი შეუძლებელია, დიახ, ვანოსეული შემოქმედების გადამუშავებას ესაჭიროება ვანოზე დიდი მუსიკოსები, რომლებიც ბუნებაში არ არსებობენ, მითუმეტეს, ვანოს საავტორო ვადა ენურება 2040 წელს, რასაც ჩვენ მარად დავიცავთ.

დღესაც ძალაშია და მოქმედებს ვაჟას შეგონება — „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდა მტრიანი“, რაც ვანოს მიმართ ჩვეულებრივი მოვლენაა. ამოქმედდა 1937 წლის რეპრესიები, მოსპეს, გაანადგურეს, აღგავეს პირისაგან მისისა მიხი ჯილაურის, ძმები ზაქარია და ვანო მჭედლიშვილების რუდუნებით შექმნილი ოვითმოქმედი კაკაბეთის დიდი გუნდი, რასაც ახლდა ტრაგედია — დაპატიმრებანი, გადასახლებანი, ხოლო გუნდის უმრავლესობა კი უფრო მძიმე განსაცდელისაგან იხსნა სტალინის ფენომენალურმა მეხსიერებამ.

ბატონო რედაქტორო, ქართული ფოლკლორის ღმერთი და ღვთაება, ტიტანი და პატრიარქი, დიდი კომპოზიტორი და მსოფლიო ფოლკლორის განუმეორებელი კლასიკოსი — ვანო მჭედლიშვილი, რომელმაც შოთა რუსთაველის „ვეზენისტყაოსნის“ დარი სახელი და დიდება მოუტანა საქართველოს, დაუმსახურებლად, არამართებულად, 1937 წლის დარი დაუურაცხყოფილი, დამცირებული, ღირსება და პატივ აყრილი, აგტორობა და საკუთრება ჩამორთმეული მინასთანაა გასწორებული, გარიყული და განდევნილი ქართული ხელოვნების და ფოლკლორის სამ-

ყაროდან ერთადერთი მიზნით — ენინაალმდეგებიან ქართულ ფოლკლორში კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორობის და ინტელექტუალურ საკუთრების დამკვიდრებას — ვებარ შეძლებენ სხვისი პონორაბის მითვა-სებას, არადა ვანოს შემოქმედება ეკუთვნის ხალხს, საზოგადოებას და არა რომელმაც მოხალადეს.

ბატონო რედაქტორო, სახელმწიფოს და კულტურის ხელმძღვანელთა თვითნებობით, უურადღებობით, უსახსრობის გამო მოუვლელი და მიტოვებულია მსოფლიო ფოლკლორის კლასიკოსის საფლავი, რომელმაც თავისი განუმეორებელი შემოქმედებით თვითონ დაიდგა უდიდესი და ულამაზესი კვარცხლბეკი, საზოგადოებისგან, ფოლკლორის მესვეურთაგან მიტოვებული და გავერანებული, ეკალბარდებითა გარემოცული მაშინ, როდესაც ნებისმიერი უანრის ნებისმიერი ნაწარმოები არის თანასწორი, თანაბარულებიანი, ხოლო ფოლკლორში ავტორიბის, გამომგონებლობის, ახალი მუსიკალური ნაწარმოების შექმნა და დანერგვა კი აკრძალულია.

შეიცვალა ფორმაცია, შეიცვალა ცხოვრების წესი, შეიცვალა კანონმდებლობა, ხოლო ავტორობის აკრძალვას კი მოჰყევა თანასწორობის დაკარგვა, სამართლიანობის რღვევა, კანონის უზენაესობის მნიშვნელობის ნართმევა, სატელევიზიო სივრციდან ვანოს შემოქმედების ამოღება და ა.შ. დიახ, ვანოს არ ასახელებენ როგორც ავტორს, რითაც ავტორიატურად გვართმევენ მეტყვიდრის უფლებას.

ქართული ფოლკლორის აღორძინებისათვის, სიმშინდისათვის ქართული ფოლკლორის სიმფონიად და კლასიკად გარდა ქმნისათვის, ქართული ფოლკლორის სიძრძნის და ტაძრის აგებისათვეს, მრავალ ძეგლის, შედევრების, სამი საბალეტო სპექტაკლის შექმნისათვის, განუმეორებელი საშემსრულებლო კულტურის მიღწევისათვის და ა.შ. ქართული ფოლკლორისა და ხელოვნების კორიფეულმა — ა. მაჭავარიანმა, რ. ლალიძემ, ჯ. კახიძემ, ა. კერესელიძემ, შ. აზმაიფარაშვილმა, ა. ხორავამ, ვ. ჭაბუკიანმა, ა. ერქომაიშვილმა, ჰ. გონაშვილმა, ი. ზაქარიაძემ, კ. ჭოხონელიძემ, ე. გარაყანიძემ, ა. სარაჯიშვილმა, მ. ჩირინაშვილმა, ბ. ბარამიძემ, ნოკო სურციამ, ჯ. ბაგრატიონმა, თ. ჯანგულაშვილმა, იოსებ მჭედლიშვილმა და ა.შ.

უდიდესი განუზომელი სიდიდის მუსიკალობის, ცოდნის, პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის, ტიტანური შრომისმოყვარების, სინმინდასა და კოლორიტისთვის თავდადების, საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართული ფოლკლორის უდიდესი და განუზომელი სიყვარულის შედეგი და მაღლია ვანო მჭედლიშვილისეული ჩაკრული, გრძელი კახური მრავალურმა ბერიკაცი ვარ, დიამბეგო, თამარქალო, შენ ბიჭი

ანაგურელო, წინწყარო, კალოსპირული, გარეკახური საჭიდაო, გაფრინდი შავი მერცხალო, კახური ნანა, კახური მაყრული, კახური მგზავრული, ზამთარი, ტურფანი სხედან ჩარდახსა, უჭერი მგზავრული ვარდის კონა, არაგვისპირული მგზავრული, ქართველო ხელი ხმალს იკარ, ფარნა, შაშვიკაპაბი, მეტივური, ჭონა, ჩვენი მასპინძლის სასახლე, არაგვის ხეობაზედა, ოროველა, დაიგვიანეს, გოგო-გოგო შავთვალა, ჰეგა-ოგა, გუშინ შვიდი გურჯანელნი, სალხინო და აშ., რაც დაგვეთანხმებით სასწაულმოქმედი ხელოვანის ღვთიური, ზეციური გამობრწყნებაა, რადგან ამ დონისა და მნიშვნელობის ძეგლები თავისით არ იქმნება, ვანოს სახელით არავის არ შეუქმნია, ვანოსთვის არავის არ უბოძებია და ციდან არავის უძღვნია და არც ჩამოცვენილა, მით უმეტეს ვანოს ავტორობის სანინალმდეგო დედანი დასაბუთება არავის არ წარმოუდგენია და რაც გადამწყვეტია ოფიციალურ კვლევით და დოკუმენტაციით ვანოს შესრულებამდე ეს ძეგლები ამ ტექსტით, სახით, მელოდიით, მუსიკით არ არსებობდა.

იმ ეპოქის სახელმწიფო ანსამბლის წევრი, თვითმხილველი და უშუალო მონაწილე ანსამბლში მიმდინარე პროცესებისა — შოთა ჩაკვეტაძე წიგნში — „სიმღერამ გითხრას“ ბრძნებს: „ლექსი და სიმღერა „წინწყარო“ ყველას ხალხური პერნია და მას თუ ცნობილი ავტორი ჰყავს, ბევრს არ სიამოვნებს, ხოლო მომღერალი ამირან პავლიაშვილი კი იხსენებს: კონკურ-სის თავმჯდომარებ ჰ. გონაშვილი უბოდიშოდ დაინტუნა — დაბალი ხმა გაქვს და ანსამბლში ვერ მიგიღებთ, სხვა საქმეს უნდა მოჰკიდო ხელიო. ამ დროს ჩემთვის პროტექციაზე უარის მთემელი, აღლვებული ბიძაჩემი წამოიქრა და უიურის განუცხადა: „ამ ახალგაზრდას დიდი მომავალი აქვს. გთხოვთ ჩემი პასუხისმგებლობით ჩარიცხოთ ანსამბლში, ბოლო-ბოლო, თუ მაინც არ სართ თანახმა, მე ჩემს ხელფასზე უარს ვამბობ და მას ვუთმობ, ოღონდაც კი მიიღეთ“. დიახაც, შოთას გახსენებით ვანოსა და ჰამლეტის საუბარი მტრედების ღულუს მაგონებდა, ხოლო სიმღერა კი იადონებისა. დიახ, ბატონი შოთა ჩაკვეტაძის განცხადებით 1954-55 წლებში შალვა მშველიძის, ვ. ვაჩეჩიშვილის, მიხეილ ჩირინაშვილის, ლუდი ბაბილუს, კირილ პაჭკორიას, კირილ ვაშაკიძის, ჯანო ბაგრატიონის, სოლომონ (ბიჭიკო) გველესიანის, პოკო მურდულის შემადგენლობით შედგა „წინწყაროს“ პრეზენტაცია, სადაც ბიჭიკო გველესიანმა გამოაცხადა: „დღეს მოვისმენთ ივანე მჭედლიშვილის სიმღერას „წინწყარო“, რომელიც პირველად სრულდება, სოლისტი კი ვანოს მიერ მომზადებული ახალბედა მომღერალი ჰამლეტ გონაშვილია. დავრწმუნდი რა, რომ სიმღერა „წინწყარო“ ვანო მჭედლიშვილისა, დავინტერესდი ტექსტით, ხალხური პოეზიის ყველა ტომი გადავათვალიერე, გადავამოწმე ვახუშტი კოტეტიშვილთან, რომელიც არსად წაუკითხავს და არც მოხუცებისაგან მო-



ვანო მჭედლიშვილი

უსმენია. დიახ, როგორც წესი, კვალიფიციურ სპეციალისტებს მიერ ავტორად აღიარება-პრეზენტაცია ნანარმოებისა ხდება. ერთხელ, ხოლო იმავე ნანარმოების მიმართ განმეორებითი პრეზენტაცია ავტორის შეურაცხყოფაა.

წიგნში „სიმღერამ გითხრას“ ბატონი შ. ჩაკვეტაძე ბრძნებს: „ჩაკრულოს“ ბოლო ნანილის ტექსტი და სიმღერა ვანო მჭედლიშვილის ვარიანტია, სადაც ისეთი მუსიკალური დრამატურგია, ქართული პოეზიის ისეთი სიპრენერი რომ მოსმენისას ტანში ურუანტელი მივლის ხოლმე:

**მტერო დამჩაგრე, არ ვტირი,  
ტირილი დიაცი წესია,  
ბერჯერ ყყოფილვარ ამ დღეში,  
მაგრამ არ დამიკვნესია.**

დიახ, ამ შედევრის ავტორი ვანო მჭედლიშვილია, მაგრამ ასევე „გურული ჩაკრულოს“ ბინადარიცაა.

„წინწყაროს“ პლაგიატება ხელყვეს ვანოს მიერ ვეფხისტყაოსანში მიგრებული საოცრება — რუსთაველის მუსიკალურობის ნიშანი „და“, რაც ვანომ ბირველმა პირველად გამოყენა საკუთარ „წინწყაროში“ და ვერ შეძლეს რა ვანოსეული ჰიმნი-საგალობლის — „წინწყაროს“ მელოდიის მითვისება, ამბიციით ხელყვეს და ნაბილნეს რუსთაველის „და“ და ვანოსეული ტექსტი, რაც ამ ნანარმოების კულმინაციაა.

მუსიკათმცოდნების, მუსიკალური კრიტიკოსების, სპეციალისტების, კოლეგების, მონაფეების თვალთახედვით, ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში ვანო მრავალმხრივობით გამორჩეული შემოქმედია:

1) ვანოსნაირად ვერავინ ქმნის და მისნაირად ვერავინ ასრულებს;

2) ვანოს შემოქმედებას ვერაფერი მიუმატეს და ვერც ვერაფერი გამოაკლეს;

3) ვანოს შემოქმედებას ბომბი მრავალჯერ ესროლეს, მაგრამ ვერაფერი გამოაცალეს;

4) გემოვნებაში, ფოლკლორის სინმინდეში ვანოს ვერავინ შეედრება;

5) სიმღერა არ არის, რომ ვანოს ხელი და გონება არ ერიოს.

დღეს არაოფიციალურად ფოლკლორში ავტორობა იკრძალება მაშინ, როდესაც კანონმდებლობით კანონიერ ძალაშია, მაგრამ პატივმოყვარენი თვითონებურად კრძალავენ ბუნების მაღლით, ღვთისაგან ნაბოძებულებას მაშინ, როდესაც კანონით საავტორო ვადა ვანოს ენურება 2040 წელს, რაც ჩვენი შემოსავლების ხელყველა-მითვისებაა.

სამუშაროდ, დღესაც მოქმედებს ვაჟას შეგონება — „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგი მუდა მტრიანი“, რაც ვანოს მიმართ — ზეამაღლებული შემოქმედისათვის არახალია. დიახ, ლ. ბერიას მასრდაჭერით გაგულისტებულმა კ. პაჭკორიამ უსულებულ დასმენით, 1937 წ. რეპრესიებით დაშალა, მოსპონ, გაანადგურა, აღგავა პირისაგან მინისა

ხო ჯილდურის, ძმები ზაქარია და ვანო მჭედლიშვილების რუდუნებით შექმნილი კაკაბეთის თვითმოქმედი დიდი გუნდი, რომლის შემადგენლობასაც ამშენებდნენ საქართველოს ყველა დროის ულამაზესი და უძლიერესი პირველი და მეორე ხმა, — მიხო ჯილდური და ვანო მჭედლიშვილი, რასაც თან ახლდა ტრაგედია-დაპატიმრებანი და 11-11 წლით ციმბირში გადასახლებანი, ხოლო ყველა დანარჩენი კი უფრო დიდი განსაცდელისაგან იხსნა ა. სტალინის ფენომენალურმა მეხსიერებამ. დიახ, რათა ტრაგედია სხვა სახით არ განვითარდეს, დროა კვლავ შემოვკრათ „კაკაბეთის ზარებს“.

ვანოს განუმეორებელი ნიჭიერებით, პროფესიონალიზმით, ტიტანური ძრომისმოყვარებით შექმნილია და ქართველ ერს ძლვნად მიართვა 40-ზე მეტი, საკუთარი ტექსტებით, მელოდიებით, ლექსითა თუ სინმინდით დამშვენებული ქმნილებანი, სამი საბალეტო სპექტაკლი, განსაკუთრებული უდირადობით, ჰარმონიით, რიტმის შეგრძებით აღორძინებული ძეგლები, რომელთაგან არც ერთი არ წააგავს მეორეს და არ არის შემთხვევითი, რომ არც ერთი ვანოსეული მელოდია არ მეორდება. და არც ერთი ვანოსეული საოცრება მისნაირად არასოდეს არავის შეუსრულებას.

მართალია არ არსებობს რომელიმე მოღვანის სიდიადის დამდგენი კრიტერიუმები, რომელიმე უანრის უპირატესობანი, მაგრამ ამავე დროს არსებობენ ფალიაშვილების, ბალანჩივაძეების, ჯ. კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრები, რაც ამ დიდ მოღვანეთა აღიარებაა და ამავე დროს რაოდენ საწყენია, რომ არ არსებობს საქართველოს ყველა დროის უდიდესი მოღვანისა და შემსრულებლის, განუმეორებელი საგუნდო მოღვანის, სამი ბალეტის ავტორის, კოსმოსში დავანაზული და სახელობითი მსოფლიო შედევრად აღიარებული „ჩაკრულოს“ ვანოსეული ვარიანტის, 40-ზე მეტი მსოფლიო შედევრად აღიარებული ძეგლისა და შედევრის ავტორის, განუმეორებელი ლოგბარის, დიდი კომპოზიტორისა და მსოფლიო ფოლკლორის კლასიკის ვანო მჭედლიშვილის სახელობის ფოლკლორის მუსიკალური ცენტრი, რაც საქართველოსა და ქართველ ხალხს არ ეკადრება. დადგა უამი გაბედულად, ხმამაღლა, საქევყნოდ განვაცხადოთ — ვანო მჭედლიშვილის შემოქმედებას არ აღმატება არც ერთი დიდი ხელოვანის ნაღვანი და იმსახურებს ნებისმიერ პატივდებას.

მუსიკათმცოდნების, მუსიკის კრიტიკოსების, სპეციალისტების, კოლეგების, მონაცემების, საზოგადოების ოფიციალურ განცხადებებითა და გადმოცემებით ვანო არის ქართული ფოლკლორის სიდიადის დამდგენი კრიტერიუმი. ყველა ვანოსეულ ნაწარმობთა შემსრულებელია და დიდად სამწუხაროა, რომ 21-ე საუკუნეში გითხოვთ ავტორობის, ვანოსეული ფოლკლორის, ინტელექტუალური საკუთრების აღიარება-დამკვიდრებას, საავტორო ხელშეკრულების დადგას, ჰონორარის გადახდას. დიახ, ე.წ. „ავტორიტეტები“, მოქმედებენ რა სოციალიზმის კანონებით, ვანოს თვითონებურად უკრძალავენ ავტორობას მაშინ, როდესაც თანახმად საავტორო კანონის მე-5 მუხლისა მთელი თავისი ბრძყინვალებით ავტორობა კანონიერ ძალაშია და ყველა სხვა უანრი მოქმედებს. დიახ, „ავტორიტეტთა“ ძალისმეტვით, რათა ვანოს მაგიერ უმართებულოდ თვითონ დამკვიდრდნენ, ხელოვნურად განდევნილ ვანოს, 40-ზე მეტი ძეგლის, შედევრის, სამი ბალეტის ავტორს აღარ იცნობს ქართველი ხალხი, ახალგაზრდობა.

დიახ, ვანოს შეეძლო ქართული სიტყვის, ქართული მეტყველების, ქართული კულტურის, ქართული ზეპირსიტყვიერების, ხალხური შემოქმედებისა და სიმღერის, ქართული ენის სინმინდისა და კოლორიტის, ქართული კილო-კავის უპირობო დაცვა. დიახ, ვანო იყო ქართული საეკლესიო ცხოვრებისა და ქართული საგალობლების უბრნებინვალესი მცოდნე და ალმსრულებელი (გალობდა ქაშუეთის ტაძარში), მაგრამ ერისა და ეკლესიის მოთაყვანე, საგალობლების მომძიებელი და დამამკვიდრებელი სასტიკი რეჟიმის ზეგავლენით ჩამოაცილეს ეკლესიას და შეიძლება თავისუფლად, დიად ითქვას — „შენ ხარ ვენახის“ დარი მრავალი საგალობელი დაკარგა საქართველომ.

ვანო — გენიოსი ქართული კულტურისა და ფოლკლორისა არის მორალურ-პატრიოტულ-ზნეობრივ-ფილოსოფიური ფოლკლორის შემთხვეველი, ქართველი ხალხის ბუნების საიდუმლოს ამომცნობი, ამამეტყველებელი, ამამლერებელი, რომლისეული მუსიკალური კრედო ყველა რანგის ხელოვანის, შთაგონების წყარო და აღმაფრენაა, რომლის მელოდია მისივე ქმნილებების სულია, ხოლო ფოლკლორის ტექსტებისა და მელოდიების შეთხვა კი ვანოსთვის სულის მუსიკა და ღვთა მსახურებაა. დიახ, ვანო ერთადერთია, რომლისეულ კოსმოსში დააგანეს და ერთადერთს საქართველოში სახელობითი მსოფლიო შედევრის საპატიო წოდება მიანიჭეს.

დიახ, ვანო ერთადერთია, რომლისეულ საგუნდო მუსიკას, საგუნდო ღვანლს ვერავინ მიუახლოვდა და ვერც ვერავინ შეძლებს.

დიახ, ვანომ ვეფხისტყაოსანში პირველმა აღმოჩინა, პირველმა მიაგნო შოთა რუსთაველის მუსიკალურობის ნიშანს — „და“ და პირველმა პირველად თვითონ გამოიყენა საკუთარ პიმნ-საგალობელში — „ნინწყარო“.

დიახ, ვანო ერთადერთია, რომლის გონიერება, აზროვნება, მუსიკალობა, ხელი და შრომა ურევია იმ ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორში.

დიახ, ვანოსეული „გრძელი კახური მრავალუამიერი“ საქართველოში აღიარებულია ამ უანრის სიმღერათა გვირგვინად.

დიახ, ვანო ერთადერთია, რომლისეულ საფანდურო პოემა-სიმფონიას „სალხინის“ მამა-შვილ ვანო და ვენერა მჭედლიშვილების გარდა შემსრულებელი არასოდეს ჰყოლია, არც დღეს ჰყავს და არც ახლო მომავალში ეყოლება.

დიახ, თავისი უნიკალური ნიჭით, განუმეორებელი პროფესიონალიზმით, ფენომენალური მეხსიერებით ვანომ ააგო ქართული ფოლკლორის საბრძნის ტაძარი, სადაც წმინდანებად ჩაკრული, გრძელი კახური მრავალუამიერი, შენ ბიჭი ანაგურელო, ბერიკაცი ვარ, გაფრინდი შავო მერცხალო, ნინწყარო, კალოსპირული, ჭონა, სალხინო და ა.შ. დაამკიდრა, რომელთა სიდიდესაც ვერასოდეს საბილნავეს ვერც ერთი პლაგიატორი, დემაგოგი, ცინიკოსი, უგუნური და ვერასოდეს შესწევდება ბოროტი ძალა და ვნება.

დიახ, ვანო ერთადერთია, რომლისეულმა ნინწყაროს უნიკალურმა და განუმეორებელმა მელოდიამ ნოდარ მამისაშვილის თქმით, თვითმევლელობისაგან იხსნა დეპრესიაში მყოფი ადამიანი და ა.შ.

ვანოს განუმეორებელი შემოქმედება ქართველი კაცის, ვანოს თაყვანისმცემელთა სულისა და ხორცის, ჭირისა და ლხინის, სისხლისა და ცრემლის, სიყვარულისა და

ბედნიერების, უკვდავებისა და ზეცად ამაღლების, ჭირთა თმენის სიმბოლოა.

მადლობას ვწირავთ „რუსთავე 2“-ის უურნალისტს — ეკა გაგუას — „ავტორიტეტთა“ დაუსაბუთებელი განცხადებისა და ვანოს პირადი არქევისა და ფირფიტის — „უნიკალური ჩანაწერები — ვანო მჭედლიშვილი“ შესწავლის შემდეგ, ჩვენს კითხვაზე დამაჯერებლად გვიპასუხა — „ჩვენ ვიცავთ სიმართლეს და არა ავტორიტეტებს“ და 2007 წლის 24 თებერვალს ქართველ ერსა და მსოფლიოს მთელი დამაჯერებლობით ამცნო — „საქპატენტის“ 2006 წლის 20 იანვრის 1733 საავტორო მოწმობა კანონმდებლობის დაცვითაა შედგენილი, ვანო მჭედლიშვილია ამ მოწმობით გათვალისწინებული ძეგლებისა და შედევრების ავტორია, არავის არა აქვს იურიდიული უფლება ამ ნაწარმოებთა გადამუშავებისა, თუმცა მავანთა ძალადობით „ჩაკრულო“ და „ნინენყარო“ მაინც „გურულ ჩაკრულოდ“ და „გურულ ნინენყაროდ“ ნარმოგვიდგინეს, რაც ქართული ფოლკლორისა და დიდი კომპოზიტორის, მსოფლიო ფოლკლორის კლასიკოსის შეურაკებულება.

ვანოსეული ფოლქლორი სულის ცოცხალი სხეულია, რომელიც ისეთ სიმაღლეზეა აყვანილი — ვერც ერთი კრიტიკოსი ანდა პლაგიატი ვერ მიუახლოვდება. დიახაც, დასაშეგძია კრიტიკაც, პირუთვნელობაც, დავაც, ოლონდ საკუთარ სინდისსაც უნდა უხმონ. ვანოსეული მეორედია სუნთქვის პროცესივით ჰარმონიულია, ხოლო გაეცხვისა და გმობის უფლება აქვთ მხოლოდ მათ, ვისაც ვანო უყვარს ანდა აღმატება შემოქმედებითი პოტენციალით. დიახ, ვანოსეული ფოლქლორი არის პური ჩევენი არსობისა, დაბადებული ხალხური სულის სიღრმეებში, რომლის უზენაესი მსაჯული საზოგადოებაა და ხალხის სამართალს ვერავინ დაწინავდება.

დიახ, განოს შემოქმედებას ამოძრავებდა ღვთიური ნიჭი, უდიდესა მუსიკალობა და პროფესიონალიზმი, ფენო-მენალური მეხსიერება და მეამბოხე ტემპერამენტი, უდიდესა, განუმეორებელი ფანტაზიისა და იმპროვიზაციის უნარი, უდიდესი წესისყოფა და ფოლკლორის საოცარი სიყვარული.

ვანის ქმნილებები, მისი გონებრივი აზროვნებისა და მოქმედების სინთეზია, ინტელექტუალური გამოხატულებაა, გაცხადებულია აღმადი სახით მაშინ, როდესაც გ. უშივიშვილი გვმოძლვორავს: „ქართული ხალხური სიმღერა არ შეიძლება იყოს ერთი ადამიანის ნაზრევი და მხოლოდ მისი შემოქმედების ნაყოფი“, რაც არამართებულია.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ვანოსული ძეგლები მარა-  
დიული ხმოვანი ქრონიკა, ხალხური სიმღერისათვის და-  
მახასიათებელი კანონზომიერების განსახიერება და სინ-  
მინდის დაცვა და სრულებითაც არაა სავალდებულო მისი  
ნოტიგზი ჯადაბაზან.

გამორჩეული ნიჭიერებით, მუსიკალობით, სიმღერის ცოდნით, პროფესიონალიზმით, სათნოებით, კაცური კაცობით, თეატრალურმა საზოგადოებამ თანამშრომლობისთვის ერთდღოულად მიწნვია რუსთაველის, მარჯანიშვილის, მუსიკალური კომედიის თეატრებში, სადაც სპექტაკლებში თავადაც მონაწილეობდა და დიდი გარვების შედეგად ბრძყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მისიას. თავისი-ვე მონაწილეობით გამოავლინა მაღალი მუსიკალური მზაობა და უნიჭიერებს მსახიობთა მთელ პლეადას გადასცა

ფოლკლორის სისადავე, საიდუმლოებანი და მისნაირი პატივი და ნდობა არც ერთ ფოლკლორისტს არ რგებია.

რამდენადაც უცნაურად არ უნდა ქლერდეს, ქართული ფოლკლორის კლასიკოსი — ვანო მჭედლიშვილი არაა შეყვანილი არცერთ ქართულ ენციკლოპედიაში, არ არის მისი სახელობის ქუჩა ან გამზირი, ძეგლი, პრემია, სასწავლებელი, ქართული ფოლკლორის მუსიკალური ცენტრი, არ იმართება საიუბილეო საღამოები, არ მიმდინარეობს სატელევიზიო გადაცემები და რაც ტრაგედიაა, კვლავ განისვენებს მისთვის შეუფერებელ დილმის სასაფლაოზე მაშინ, როდესაც ვანოს მემკვიდრეობას არ აღემატება მთავრინიდაზე დაკრძალული არც ერთი ხელოვანის მემკვიდრეობა.

გ. უშიერაშვილის დავალებით, ფოლკლორის ეთერით 2010 წლის 14 იანვრის გადაცემაში — „ერთი სიმღერის ისტორია — წინწყარო“ ოთარ კაპანაძემ ამცნო ქართველ ერს და ლოკუმენტებზე დაყრდნობით ოფიციალურად დაადასტურა, რომ სიღიადის გამოისობით სადავოდ გამხდარი მსოფლიო შედევრის — „წინწყაროს“ ტექსტისა და მელოდიის ავტორი და საუკეთესო შემსრულებელი ვანო მჭედლიშვილია, რითაც მოიხსნა ყველა გაუგებრობა, თუმცა მოძალადეები დავით არჩვაძისხაირი მლიქვნელების სახით თავხეთობას მაინც აკრძალიანობს.

ჩვენი ექსკურსი თქვენ არაფერს გავაღლდებულებთ და არაფერს გთხოვთ. დიახ, ქართული ფოლკლორის ღმერ-თის, დიდი კომპოზიტორის და ფოლკლორის მსოფლიო კლასიკოსის — ვანო მჭედლიშვილის განუმეორებულმა შემოქმედებამ ხმელეთსა თუ სიცრცეში გადალახა ყველა დაბრკოლებანი და ტაილანდის საბალეტო დასის მონდო-მებით პირველად ქართული ხელოვნების ისტორიაში, ქარ-თულ ბალეტს ფუძედ დაუდო დიდი კომპოზიტორისა და ფოლკლორის მსოფლიო კლასიკოსის — ვანო მჭედლიშვი-ლის საკუთარი ქმნილებანი — ფოლკლორული მუსიკა და მელოდიები, რაც ვანოს შემოქმედების, ქართული ფოლკ-ლორის უბრნენივალესი მიღწევა, გამარჯვება და გვინდა ვირნებულოთ, სახელმწიფოს, ქველმოქმედთა და მეცენატ-თა თანადგომით მოვცვეცემა შესაძლებლობა დიდი ხელო-ვანის — ნინო ანანიაშვილის უშუალო მონაწილეობით თბილისის თეატრების სცენებზე ვიხილოთ და მოვისმი-ნოთ სამივე ბალეტის განუმეორებელი ვანოსეული მუსი-კა, რომლის დროსაც ქართული ფოლკლორის სიბრძნე, ფილოსოფია, სულისა და ხორჩის, მუსიკისა და მელოდი-

ის, ემოციისა და განცდის, სილამაზისა და სიდიადის, ქორეოგრაფიისა და პლასტიკის, ზეობისა და აღმაფრენის საერთო სახალხო ზეიმად მოგვევლინება, ხოლო შოუს მიმდევრები კი ბერძნული სიტყვის — შოუს — ანუ აფერისტობის სარკაზმს ქართულ ფოლკლორად ვეღარ შემოგვთავაზებენ.

უმაღურმა ქართველმა დიდი ილია ჭავჭავაძე ბერდანკის ტყვეით განგმირა, ხოლო დღევანდელი ამბიციური პატივმოყვარენი კი აქსიომის მტკიცებით — „ქართულ ფოლკლორში ავტორობა არ არსებობს“, „ვანოს არაფერი არ შეუქმნია — დაუმუშავებია“. მაშინ, როდესაც იუნესკოს მიერ ვანოს 40-ზე მეტი ნაწარმოები მსოფლიო შედევრადა აღიარებული, კოსმოსშია დავანებული და სამი ბალეტის ავტორია, ვანოს ცოცხლად მარხავნე, მაგრამ უკვდავი ვანო ზეცად მაღლდება, მარადიულ სიცოცხლეს პოულობს და უმაღურნი ვანოს შემოქმედებამდე ვერ მაღლდებიან, აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორს ვერ სპობენ, ვერ კლავენ, ვერც ანადგურებენ, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს კულტურა მათთვის მიუღწევადია, ფოლკლორი კი თითქმის უცხო.

განსაკუთრებული დამსახურებისათვის 1962 წლის 26 მაისს საქართველომ ვანოს გადაუხადა დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავი.

ვანოს ავტორობის დადასტურებაა ა. ერქომაიშვილის რედაქტორობით 1980-იან წლებში გამოცემული ფირფიტა — „უნიკალური ჩანაწერები — ვანო მჭედლიშვილი“, რომელშიც შესულია მარად ცოცხალი 14 ვანოსეული ძეგლი.

გ. უშიკიშვილი თათა ქვარიანისადმი 2005 წლის 16 ივლისის წერილით შეურაცხყოფს ფოლკლორს, რაც ავტორობის აკრძალვის წინაპირობაა:

ა) „ერის გამძლე მეხსიერების წყალობით, უავტოროდ თაობიდან თაობას გადაეცემოდა — ასეა დღემდე და ასე იქნება, ვიდრე მას ხალხური სიმღერა ჰქვასა;

ბ) ფოლკლორი, ქართული ხალხური სიმღერა არ შეიძლება იყოს ერთი ადამიანის ნააზრევი და მხოლოდ მისი შემოქმედების ნაყოფი;

გ) სხვა საქმეა ვარიანტი, ვარიანტულობა ხომ ფოლკლორის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია — მოთხოვნა ვანოს ავტორობაზე მოიხსენება.

ნათევამია ითხებ მჭედლიშვილის მიერ — „ჯილაურობა ვერავინ შეძლო“ და ამავე დროს ერმა უნდა იცოდეს, რომ „ასევე ვერავინ შეძლოვანო მჭედლიშვილობა“. დას, ვანო არა მარტო განუმეორებელი შემოქმედია, არამედ ჭეშმარიტი რაინდიცა — „რათა დრო არ დაეკარგა ადამიანის ტრადიციული საკითხების გადაწყვეტაზე“ — ყველას გასაოცრად უარი განაცხადა დაეკავებზა სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა.

ფირფისმანის დარად ვანოს არ ჰქონდა სპეციალური უმაღლესი განათლება და არც სახალხო არტისტის წოდება, მაგრამ ვერ დავასახელებთ კონსერვატორიადამთავრებულ სახალხო არტისტს, რომელსაც იუნესკოს აღიარებებით, ვანოზე დაიდი ნაწარმოები ექნება და ვანოზე უკეთესად ერკვევა ფოლკლორის თეორიის საკითხებში. დას, ვანოს დარი შემოქმედი იბადებიან და იზრდებიან სოფლის ორლობებში საკუთარი მინის ყივილისა და სურნელების შეცნობით და არა კონსერვატორიის კედლებში. დიახ, ვანოს ფოლკლორი უყვარდა საკუთარ თავში, ხოლო

დღევანდელ ვაიფოლელორისტებს კი საკუთარი თავი უყვართ ფოლკლორში.

რათა გაუთანაბრდნენ ვანოს სახელს, არამართებულად ავრცელებენ ხმებს, ჭორს თითქოს ქართული ფოლკლორი, ერთი დიდი ოჯახია და რომელიმე მათგანის გამოყოფა დაუშვებელია, რაც აქარა მიკერძოება და დიდი ვანოს დასკრედიტაცია მაშინ, როდესაც ვანოს შემოქმედება ხალხს, თვით ფოლკლორს, მსახურებაა და ქმნის ერის გრანდიოზულ-მონუმენტურ ძეგლებს, დატვირთულია სიმღონიშმით და ერის სიბრძნედა წარმოდგენილი:

1) დიახ, ვანო ერთადერთია, რომლისეული „ჩაკრულოს“ ვარიანტი იუნესკომ მიჩინია უნიკალურად, თვითმყოფად, აღმაფრენის წყაროდ და კოსმოსში დავავანა, ერთადერთ ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებს მიანიჭა მსოფლიო შედევრის საპატიო წოდება;

2) ვანო ერთადერთია, რომლისეულ საგუნდო შემოქმედებას ვერავინ მიუხსოვდა;

3) ვანო ერთადერთია, რომლის დამსახურება უტოლდება ვაჟას, ფიროსმანის, ფალიაშვილის, ი. ნიკოლაძის, არსუკიძის ღვაწლს;

4) ვანო ერთადერთია, რომლის შეგირდებიც იყვნენ ნ. ხურცია და მეშველიანი;

5) ვანო ერთადერთია, რომლის პირად არქივში დაცულია მის მიერ შექმნილი 32 სიმღერის ნუსხა — დაწერილი საკუთარი ხელით;

6) ვანოსეული — გრძელი კახური მრავალუამიერი აღიარებულია ამ ჟანრის გვირგვინად;

7) ვანო ერთადერთია, რომლისეული „ბერიკაცი ვარ“ მიჩნეული სიმღერა-ვედრებად;

8) ვანო შემოქმედებით სიდიადესთან არის ფოლკლორის რაინდი, გარდა გონაშვილის სოლისტად დამკვიდრებისა, ბრწყინვალედ ფლობდა კუთხის ფოლკლორს და ნიშნად კოლეგებს მონიშნებისა, არც ერთი კუთხის ფოლკლორს ოფიციალურად არ ასრულებდა;

9) ვანო ერთადერთია, რომელმაც თვითგანათლება ცოდნად გარდაქმნა და საკუთარი შედევრების სახით წმინდანები ჰყავდა;

10) ვანო ერთადერთია, რომელმაც თავისი განუმეორებელი საგანძურით სიცოცხლეშივე დაიდგა ულამაზესი კვარცხლბეკი;

11) ვანო ერთადერთია, რომლის მონაგარი გაცილებით დიადი და ამაღლებულია, ვიდრე თანამედროვე მუსიკალური ქმნილებან;

12) ვანო ერთადერთია, რომელმაც „შენ ბიჭო ანაგურელო“-ს მიუსადაგა ისეთი დასაწყისი და დასასრული, რომლის დარი ანალოგი არ მოიძებნება ქართულ სასიმღერო კულტურაში;

13) ლენინგრადის პრესით — მიხო ჯილაური კარგად მღერის, ხოლო ვანო მჭედლიშვილი კი მის სიმღერას ქარგავს, ვიოლონჩეროსავით ღუღუნებსო.

ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრმა ტაილანდის საბალეტო დას მისცა უფლება ვანოს საკუთარების — წინებაროსა და გარეკახური საჭიდოას მუსიკის გამოყენებისა მაშინ, როდესაც ნებართვის გამცემთ, საავტორო უფლებების მფლობელთან თავად არ გააჩნიათ საავტორო ხელშეკრულება და ამავე დროს არიან მესამე პირი.

\* \* \*

ვანო მჭედლიშვილსა და მის განუმეორებელ შემოქმედებას ჰყავდა და ჰყავს უამრავი თაყვანის მცემელი, დამფუასებელი, რომელთაც გაითავისეს მისი ნაღვანის სიდიადე და უძლვნეს მრავალი წიგნი, სტატია, რეცენზია, მოგონება, გახსენება, ლექსი, შეფასება და თქვენი ნებართვით შემოგთავაზებთ რამდენიმე შემოკლებულ ამონარიდს:

**გრიგოლ კოკელაძე:** „სიამოვნებით ვწერ ჩუმი, უპრეტენზით მოგვანის, საუცხოო მომღერლისა და ჩინებული ლოტბარის — ვანო მჭედლიშვილის შესახებ, რომელსაც ხალხური მუსიკის თავანკარა ნიმუშების გამომზეურებასა და გავრცელების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის, რომლისეულ უზადო კილოში შეიგრძნობა ქართველი ერის მიერ საუკუნეებით შექმნილი მუსიკალური ტრადიციების თვითმყოფადობა.

დაუვინყარია ხალხის ნიაღიდან პირველად მის მიერ გამოტანილი დიამბეგო, კალოსპირული, ნინნყარო, ალი-ლო და ა.შ.

მე, როგორც ქართველ მუსიკოსს, ვანოს ცოდნის, დაკვირვებული მუშაობის, მისი ფაქტიზი მხატვრული გემოვნების პატივის მცემელი ვიყავი, ვარ და ვიქენები“.

**კუკური ჭოხონელიძე:** „დიდი ვანო იმპროვიზაციის უდიდესი ნიჭით იყო დაჯილდობული. ვანოს იმპროვიზაცია სამი-ოთხი ბერის ცალებადობაზე კი არ იყო დამყარებული, არამედ ფრაზას შეცვლიდა, ახალ იერსახეს მისცემდა, ის კი არა, ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებს ჩამოაყალიბდა. ასეთი რანგის მოღვაწე იყო კ. მ. მჭედლიშვილი.“

„ჩაკურულო“, გრძელი კახური მრავალებამიერი, კალის-პირული, შენ ბიჭო ანაგურელო, დიამბეგო ერის გრანდიოზული, მოუმენტური ქმნილებებია. ვანოს სიმღერებს ახასიათებს სიმფონიზმი — მუსიკის უმაღლესი კატეგორია“.

**ელიშერ გარავანიძე:** „ვანო მჭედლიშვილისნაირად ბევრი არ მღერის, მისნაირად არავინ მღერის, მისნაირად ვერავინ მღერის“.

**შოთა ჩაკვეტაძე:** „ჩაკურულოს“ ბოლო ნაწილის ტექსტი და სიმღერა ვანო მჭედლიშვილის ვარიანტია, სადაც ისეთი მუსიკალური დრამატურგია და ქართული პოეზიის ისეთი სიბრძნე, რომ მისი მოსმენისას ტანში ურუანტელი მივლის ხოლმე.

1954-1955 წლებში სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო საბჭოზე, რომელსაც ესწრებოდნენ შალვა მშველიძე, გ. ცაგარეულიშვილი, მ. ჩირინიაშვილი, კირილე ვაშავიძე, ჯ. ბაგრატიონი, კ. ბაჭკორია, ლუდი ბაბლუა, პოკო მურღულია, ბიჭიკო გველესიანმა გამოაცხადა: — დღეს მოვისმენთ ლოტბარ კ. მ. მჭედლიშვილის სიმღერას „წინწყარო“ რომელიც პირველად სრულდება — სოლისტი ახალბედა ჰ. გონაშვილია“.

**ჰამლეტ გონაშვილი:** „საოცარი სიფაქიზით ცდილობდა გადმოეცა ხალხური დიდებული მუსიკა ისე, როგორც მას ესმოდა და გემოვნებაში ვანოს ვერავინ მჭედლებოდა“.

**მიხეილ ჩირინიაშვილი:** „მას, ჩუმ, უპრეტენზიო, კეთილსა და მოკრძალებულს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფუტკარივით მშრომელ ადამიანს — კ. მ. მჭედლიშვილს ერთი მიზანი ამოძრავებდა — თავისი ცოდნა-შესაძლებლობა სანთლად აენთო საქართველოსათვის“.

**თეომურაზ ჯანგულაშვილი:** „ვანო მჭედლიშვილი — ქართული ხალხური სიმღერასავით ანკარა და ალალი, გუ-

ლითადი, უანგარო, პატიოსანი, ცხოვრებაში დინჯი, საქმეში ფიცხი, ჩვენი მუსიკალური კულტურის ამაგდარი დიღოსტატი და გენიოსა:

**მდერის ვანო მჭედლიშვილი**  
და ამღერებს გარე კახეთს,  
ძველქართული ხმები ტკბილი  
მათოთოლებს და მაცახცახებს.

**ჯანსულ კახიძე:** „ახლაც კი მბურძგლავს ვანოსთან „ჩაკურულოს“ შესრულების გახსენებით“.

**ილია ზაქაიძე:** „ვანო მოკრძალებული იყო, ქართულ-კახური სიმღერა რა არის, რომ ვანოს ხელი და გონება არ ერიოს“.

**თეატრალური საზოგადოება:** „დიდი ვანოს ხალხური პოლიფონიური მუსიკა, სიმღერა გვაძლევს უფრო მეტადა მნიშვნელოვანი, ვიდრე ზაქარია ფალიაშვილისა. ვანოს ნაწარმოებები მხატვრული სახეების კომპლექსა, რამაც თავისი ობიექტური გამოხატულება პპოვა სიმღერისა და მელოდიის სახით. მისი ყველა სიმღერა თუ ჰანგი არის პიროვნული და გონებრივ-სულიერი შემოქმედების გამომხატველი ქმნილება, არსებული შეწყობილი სიტყვის, ბგერის და მათი კომბინაციის სახით“.

**გრიგოლ გრიგოლაშვილი:** „შენს ბეჯითსა და მუყაით შრომას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ხალხური მუსიკალური საუნჯის მარგალიტებს — ჩაკურულოს, ჰეგი-იოგას, სუფრულს, შაშვი-კავაბის უნიკალურ შესრულებას, მათი საუკეთესო ვარიანტების შემონახვას“.

**ბაბილაშვილი:** „თავისი ნიჭის წვრთნასთან ერთად უდიდესი გულისხმიერებითა და მონდომებით ჰკრებდა და ამუშავებდა თავის შემოქმედებით ლაპორატორიაში ხალხური ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში დავიწყებას მიცემულ, მიძინებულ ქართლ-კახურ სიმღერებს, რომლებსაც საამო ჰანგებით სულრადგმულსა და ამეტყველებას უბრუნებდა თანამედროვეობას“.

**ავთანდილ სარაჯიშვილი:** „მთელი აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერები ისეთნაირად ჩამოაყალიბა, ბომბი რომ გესროლათ, ვერაფერს გამოაცლიდით, ვერაფერს.

ვანო რომ სიმღერას დაამშავებდა, კაცი თუ დააკლებდა რამეს, თორემ ვერაფერს მიუმატებდა მას“.

**ჯემალ ჭკუასელი:** „ხელოვანი მაშინ იგრძნობა, როცა მის ნაწარმოებს უსმენ, უსმენ და კიდევ მოუსმენ, გინდა სულ უსმინო და იქ აღმოაჩენ ათას ფერს — ასეთი დიდი შემოქმედი და მოღვაწეა ვანო მჭედლიშვილი.

200 საუკეთესო შოუ დადგმული ქართულ ხალხურ სიმღერებზე და ცეკვებზე, ვერ შეედრება, ვერ გაუტოლდება ვანო მჭედლიშვილის დიად, ზღაპრულ შემოქმედებას.

არ მიწყენენ შ. მშველიძე, გრ. კოკელაძე, გრ. ჩხიოვაძე, ვ. ცაგარეიშვილი, კ. ბაჭკორია და არც მათი ახლობლები — ვანომ, რომელიც გვენდვის თავანკარა ფოლკლორს, მათზე მეტი იცოდა“.

**ვანო ჯავახიშვილი:** „ვანოს ჰქონდა უნიკალური ხმა და სმენა. სიმღერის შესრულების სიზუსტეში მისი შეფასება უტყუარი იყო. პატარა ხმა ჰქონდა, მაგრამ ისეთი ხვეულები და ჩუქურთმები, რომელთა გამორებაც შეუძლებე-

ლი იყო. ის კი არ მდეროდა, ღულუნებდა, სიმღერის თითოეულ ნიუანსს განიცდიდა, ხოლო დამუშავებისას კი არასოდეს „უკარგავდა ფუძეს, კოლორიტსა და სიწმინდეს“.

**ანზორ ერქომაიშვილი:** „განუზომელია ვანო მჭედლიშვილის ლვანლი ქართული კულტურის წინაშე. მან უდიდესი ლვანლი და ამაგი დასდო ქართლ-კახურ სიმღერებს ვანო უმთავრესი ფიგურაა, რომელმაც ქართლ-კახური სიმღერები მოძია. ვანო გვახსოვს გასაოცარი ენერგიით, სიცოცხლით, იუმორით აღსავსე, გულმოწყალე და პურადი, მეგობართა და წინაპართა დამფასებელი, არაჩვეულებრივად თბილი, ჩამი, უპრეტენზიო. ვანოს ჩანაწერები გულწრფელია, მას უნდა ვენდოთ. ვანომდე წინწყარო, კალოსპირული, არხალალი, ჰეგი-ოგა, სალხინო და სხვა სიმღერების მისეული ვარიანტი არცერთ ფონოჩანაწერში არ გვხვდება დაწყებული 1901 წლიდან ვანოს მიერ შესრულებულ ჩანაწერებამდე. ვანოს არ ჰქონდა პროფესიული უმაღლესი მუსიკალური განათლება (ლმერთს მადლობას ვწირავთ, რომ არ ჰქონდა სპეციალური განათლება, რადგან აღარ გვეყოლებოდა ქართული და მსოფლიო ფოლკლორის კლასიკოსი). მეხსიერების წყალობით, ზეპირად მან აღადგინა და დაკარგვას გადაარჩინა ჩაკურულო (ვანოსეული ვარიანტი), გარეკახური მრავალუამიერი, შემოძახილები, გარეკახური საჭიდაო და სხვები. პირადად ვანოს მიერ არის შექმნილი კალოსპირული, წინწყარო, არხალალი, ჰეგი-ოგა, სალხინო და სხვა“.

\* \* \*

ანზორ ერქომაიშვილს ვთხოვთ თქვენივე უურნალის ფურცლებზე დაუდასტუროს ქართველ ერს — დღეს იზიარებს თუ არა 1980-იან წლებში მის მიერვე გამოცემული ფირფიტის — „უნიკალური ჩანაწერები — ვანო მჭედლიშვილი“ — ანოტაციაში გადმოცემული და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1994 წლის 23 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატიის — „ხალხური სიმღერის მრამავე“ მისივე კვლევის შედეგებს, დასკვნებს, შეფასებებს და თუ არ ეთანხმება, დასაბუთებული, კანონზე დაფუძნებული მოსაზრებები პარლამენტს წარუდგინოს. დიახ, ვალდებული ვარ შევასხვნო ბატონ ანზორს, კანონმდებლობით — „ავტორობა მარადია, საკუთრება კი ხელშეუხებელი“.

დღიდ კომპოზიტორი, ქართული და მსოფლიო ფოლკლორის კლასიკოსი — ვანო მჭედლიშვილი დაიბადა 1903 წლის 10 ოქტომბერს სოფელ კაკაბეგთში — „შოშია გოლად“ წოდებულ გიორგი მჭედლიშვილის ოჯახში. ვანოს ჰყავდა აბსოლუტური სმენით დაჯილდობული, ფოლკლორსა და სიმღერაზე შევარებული 5 და-ძმა და თვითონაც ასე ჰყავდა ხელოვნებით გატაცებული 6 შვილი. გარდაიცალა 1970 წლის 12 ოქტომბერს. ბედის ირონით, ვანოს არ მიუღია უმაღლესი მუსიკალური განათლება და არც სახალხო არტისტის წინდება.

## ნერილი რეაქციება

ბატონი რედაქტორი,  
ამას წინათ გამოხმაურებას ახალშედისთვის ჩვეული ხელის კანკლიოთა და მღელვარის ვერდი და თქვენი გულისხმიერება რომ არა, ვედარ გავპედავდი შემოხმანებას. უწეულოსა და განსაკუთრებულს ვერც ამჯერად მოგნერთ, ისევ მოკრძალებული ნააზრევის გამუდავნებას შევეცდები...

**„ჩვენი მწერლობა“** ერთგულ მეოთხელს არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ავტორის შემოქმედებათ ანებივრებს, მათ შორის იმთავითვე გამორჩეული და დასამახსოვრებელი გახლდათ **ნატა ვარადას** პოეზია — ფაქიზი, სულიერებითა და მრთლმადიდებლობის წალლით აღეჭდილი ლექსიბი. ორც ამჯერად გაგვცრუებია მოლოდინი, 2012 წლის „ჩვენი მწერლობის“ №15-ში დაბეჭდილმა ციკლმა — „ნართაული ივნისის სალამობი“ — ისევ აღვაფრთოვანა. პოეტმა ამ ციკლით ქართული მითოსური სამყაროს, აფხაზური მითოსის, ვაინახური ეპონის რელიგიური ხასიათის სიმღერების, ფოლკლორული, ზღაპრულ-მითოლოგიური პერსონაჟების; აბრაკილის, ეთერის, ყამარის, ცამცუმის, მესეფის ასულთა საშუალებით ფილმუფაზია და მეტად ორიგინალური მხატვრული სინამდვილე შემოგვთავაზა.

ორიგინალურია და ადრინდელისაგან სრულიად განსხვავებული ნატა ვარადას მიერ მითო-ეპიკური სიმბოლოებით შექმნილი ციკლი. იქნებ პოეტი ზღაპრებისა და მითოსის პერსონაჟთა გასიმბოლოებით კავკასიულის სულის, დღევანდელობისა და გარდასულის მსგაბასება-განსხვავებულობის რაციონალური შეფასების ცდასაც გვთავაზობს?

ჰე, ერთო, მოგვიხედე ჩვენსა მშვიდობას, გამოითხოვე ორთა სულები სამზეოსკენ, მტკუან-მართლის მხარეზე მორიგეობა დაგვინესე, შენი სამსახური და რისხვა გვალირს...

პოეზია ამოუწურავი, უმდიდრესი მასალით სწორედ ფესვები-დან, წინაპართა საგანძურიდან საზრდოობს. ეს ლექსებიც, კავკასიელთა მრავალსაუკუნვენი ტრადიციებით, გაუფერულებული დღევანდელობის სხროად აღქმაში გვეხმრებიან და მის გამრავალფეროვნებასაც თვისისუფლად ახერხებენ. თურმე მხატვრული წარმოსახვა თამაშა და გართობაზე, თვითი ინტელექტუალურ წვრთნაზე მეტს ნიშნავს, რადგანაც ოსტატის ხელში ლექსი აღქმის გამაფრებისა და კრიტიკული სულის გამოღვიძების უნარს იძნეს:

გმირის სახელი აქვს იქეთაც, აქეთაც.  
სახელიანია, მორჩა, მინიერ სხეულს  
ხელი მოუთავა. ჭრებით გადაფრინდა სალ კლდეს და  
ედემში მისი სული გოგირდისფრად გადანითლდა...

ალბათ სწორედ ამგვარი წარსულთან მიბრუნებანი უნდა გახდეს ჩვენი გენეტიკის გამორჩეულობის, ინდივიდუალიზმის, საუკეთესო თვისებათა წარმომჩენი და მრავალსაუკუნვენი კავკასიური კულტურის მარადიულობის თავმდები. პოეტი კი ცდილობს წინაპრებს ხმა მიანცინოს, დაე „გაიხარო ათასწლოვანმა ხავსიანმა სულებმა“...

ნატა ვარადას ამ ციკლმა ისევ შეგვახსენ, რომ ფოლკლორი, მითოსი, მრავალსაუკუნვენი გამოცდილება აბსტრაქტული თეორია კი არ არის, არამედ ანტიკური რწმენისა და სიბრძნის სისტემაში მოყვანა... ეს მითოსით შებურული სამყარო ლრმაა და მრავალფეროვანი. ვფიქრობ, გარდასულის გახსენება ადამიანებს რიტუალების საზრისასა და ზეობრივ მრწამსთა ერთგულების მნიშვნელობასაც მიანიჭნებს და მათი აღსრულების გზებსაც ასწავლის.

**თეონა გოგირდიძე**  
ბათუმი

ნინო დეკანოიძე

## მრავალგულას ფერადოვნება

(ცხრა ონიანის ხსოვნის საღამო)

თქვენ უნდა იცნობდეთ ესმა ონიანს — მსატვარს, ესეისტს, პოეტს, ესთეტს. მსაზღვრელთა ამგვარ მრავალფეროვნებას თავსამკაულად ადგას ეპითეტი — ნიჭიერი.

თქვენ აუცილებლად უნდა იცნობდეთ ამ ხელოვანის დას, ქალბატონ ირიას, ექიმ-ოფთალმოლოგს, უალრესად სათუთ და მგრძნობიარე ადამიანს, ლიტერატურის, ხელოვნების დამფუძნებელს, ძალის ქართულად გულითადასა და პატრიოტს. ამგვარი ხასიათის წყალბით მუდამ ფეხიზელ მცველს ესმა ონიანის შემოქმედებისა. ეს არ გახლავთ მარტოოდენ დედმამიშვილური პასუხისმგებლობით ნაკარანხევი და, შესაბამისად, არც ნაყოფი სუბიექტური ინტერესისა. ეს სხვანაირი ერთგულებაა, სანატრელი; პრაგმატულობით დასიცხულ გარემოში ცხოველმყოფლად რომ იყვალავს გზას. და კიდევ, პირნ-მინდად ისადაგებს მწერლისეულ სენტენციას — ნიჭიერს სჭირდება გამოსარჩებამ. მითუმეტეს, ესმა ონიანს სჭირდება, წუთისოფლიდან გასულ ხელოვანს, სიცოცხლეშივე ჩრდილში მყოფებას ფილოსოფიურად რომ იყო შეგუებული.

„ჩვენი მწერლობის“ დარბაზში, ლიტერატურულ-სალონური სეზონის დასასრულს ერთ-ერთი სალამო ესმა ონიანს მიეძღვნა. ეს იყო სახელდახელოდ გადაწყვეტილი ლიტერატურული წარმოდგენა, თეატრი. სცენაც სახელდახელოდ გამოიკვეთა. შემოლაგდა სკამები მრგვალი მაგიდის გარშემო, ხოლო უფრო მიღმა, კუთხისაკენ, მარადმწვანე გვიმრის სიმშვიდეში დაბანებდნენ ესმა ონიანის ფერწერული ნამტევერები; თადარიგი და იჭირა და წინა სალამოს მოგვაბარა ისინი ქალბატონმა ირინამ; იმგვარად, თითქოს თავისი სული მოენდოს. — შედევრია სამივეო. ერთმა იაპონიაც მოიარაო. იცის უნებართვოდ ჩიტიც რომ ვერ შემოფრინდება ამ ეზოში, მაგრამ მაინც... ისე ჩიტს რაღა ნებართვა სჭირდება, მხოლოდ სიტყვამ მოიტანა.

სიტყვამ მოიტანა, რათა წინასწარ ვახსენოთ სამი მშენებელი ქალბატონი — ცისია მეტრეველი, ნინო კასრაძე, ნინო გომართელი — მსახიობები, რომლებმაც თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნებით, გულშიჩამნვდომი ხმით აუდიტორია

მთელი საათნახევრის განმავლობაში ამყოფეს ესმა ონიანის მაღალი რანგის პოზიციისა და ესეისტიკის საუფლოში. თანაც მისი მხატვრული თარგმანის ნიმუშებიც არ გამოუტოვებიათ.

მანამდე კი წესისამებრ, ღონისძიება გახსნა როსტომ ჩხეიძე: — ესმა ონიანის, მისი პოეზიის, მისი ესეების, გარკვეული კუთხით, მისი მხატვრობის დღეცაა. გავიხსენებ რამდენიმე წლის წინანდელ გამოფენას ვერაზე, უურნალ „ომეგასა“ და გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში. მაშინდელი შთაბეჭდილება საზოგადოებაზე იყო ძალიან დიდი. ეს ის დროა, როცა თანდა-თანობით მკვიდრდება ესმა ონიანის სახელი ქართულ ცონიერებაში. იყო დრო, როცა ლიტერატურულ ჟანრებსა და მიმდინარე-ობებზე იმართებოდა „პრესტიული“ საუბრება, ესმა ონიანი კული-სებში იგულისხმებოდა მხოლოდ, სტრიქონს მიღმა რჩებოდა — და აშ-ს რაღმშიც კი ძნელად ივარა-უდებოდა. ეს ჩვეულებრივი მოვ-ლენაა ხელოვანის ცხოვრებაში. კულისებიდან ხშირად წამოინევენ ხოლმე მიყრუებული სახელები, ხოლო ისინი, მანამდე რომ ავანს-ცენაზე იდგნენ, ან ფერმკრთალ-დებიან, ან საერთოდ უწინარდებიან ხოლმე. საბჭოთა ეპოქში ამ-გვარმა უსამართლობამ მწვერვალს მიაღწია. ესმა ონიანის შემოქმედება იყო ერთ-ერთი თვალ-საჩინო წმინდა იმისა, განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს ნამდვილი პოზიციის, ნამდვილი მხატვრობის მიჩქმალვა და მის ნაცვლად ბუტაფორიის წამოწევა, წახალისება. მაგრამ რაც ნამდვილია, თავის სანთელ-საკმეველს ყოველთვის პოვებს და თანდათანობით გამოჩინდა და გამომზეურდა ესმა ონიანის ლექსები, ესეები, წახატები. შესანიშნავი ალბომები გამოიცა. დღესდღეობით ესმა ონიანზე დაწერილია არაერთი საგულისხმო ესეი, ნაკვევი. მისი შემოქმედება ესმით და შეიყვარა ახალგაზრდობამ.

ძალიან დიდი ლვანლი დასდო ესმას სახელის წამონევას მისმა დამ, ირინამ. მაგრამ ეს დობის გამო არ მომხდარა. როცა უჭერ მხარს ნამდვილ ფასეულობას, საქვეყნო საქმეა და ამრიგად, ქალბატონ ირინას მიუძღვის ღვანლი ქართული კულტურის წინაშე; აღმოგვიჩინა და დაგვიბრუნა შესანიშნავი შემოქმედი.

ბატონი გოგი წერეთლის ამაგიც უნდა ვახსენოთ. მთელი სულითა და გულით იყო ჩართული, ქალბატონ ირინას-თან ერთად, ამ საშვილიშვილო საქმეში. და თუ წიგნები არ-სებობს ესმა ონიანისა, უპირველესად მათი დამსახურებაა.

როსტომ ჩხეიძემ გაიხსენა მშენებერი ღონისძიება, მიძღვნილი ესმა ონიანისადმი კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“, სადაც მსახიობებმა ნინო კასრაძემ, ნინო გომართელმა, ნინო მითაშვილმა და ცისია მეტრეველმა სიტყვის ნამდვილი ფოიერვერკი მოაწყვეს. ესმას ხელოვნების შიდა ხევულების სიბრძნე წარმოაჩინეს, ის თავისებურებანი გამოკვეთეს, რის გარეშეც შეუძლებელია გიყვარდეს მისი პოზიცია.



ცისია მეტრეველი, ნინო გომართელი, ნინო კასრაძე

მსახიობთა სანაქებოდ თქვა ისიც, რომ მათ ბევრჯერ გამოავლინეს საკუთარი თავი, როგორც განსწავლულმა და ნიჭიერმა დეკლამატორებმა; რომ ლიტერატურას სჭირდება ამდაგვარი პოპულარიზაცია.

სამადლობელ სიტყვას იტყვის **ორინა ონიანი** — ძალიან ვლელავ, ლიტერატორთა საზოგადოების წინაშე ექიმი გამოვდივარ, მაგრამ ვიცი, რომ ეს სახლი ეკუთვნის ყველას, ნამდვილი პოეზიისა და პროზის თაყვანისმცემლები იკრიბებიან აქ. ამიტომაც დიდი ხანია ნატერად მქონდა, ამ ჭერქვეშ გაუდერებულიყო ესმას შემოქმედება. როსტომმა, როგორც სჩვევია, ნატერა ნატერად აღარ დამიტოვა.

ესმა ონიანის შემოქმედება რომ შელავათს არ საჭიროებს, ეს ორიოდე ფრაზით განმარტა: ის არ არის მხატვარი, რომელიც ლექსებს წერდა და პირიქით, პოეტი, რომელიც ხატავდა. ის არის მხატვარი ესმა ონიანი.

ის არის პოეტი ესმა ონიანი.

უზომო მადლიერება და სიყვარული გამოხატა აგრეთვე მსახიობების მისამართით. ესმა ონიანის შესანიშნავი მკითხველები არიანო — დასძინა. თვითონ დაამუშავეს და მოიფიქრეს კომპოზიციურად, როგორ მოეტანათ თქვენამდე ესმას შემოქმედებაო.

ეს იყო და ეს, ასპარეზი დაეთმოთ მსახიობებს, რომელთაც სამახსოვრო დღე აჩუქეს მსმენელს.

დასახუისისთვის ყველაზე პატარა, უნაზესი და მრავლისმთქმელი ლექსი შეერჩიათ. ნინო კასრაძემ, ვიდრე წაიკითხავდა, ალნიშნა: ასე გვგონია ეს პოეტური სტრიქონები ჩვენ დაგვიტოვა როგორც გზავნილი, ასე გვგონია სწორედ ძალიან ფაქტი, გულითად ადამიანს შეუძლია იგრძნოს ესმა ონიანის პოეზიაო.

### ყვავილი ყვავილად ვარ ნახსენები და პური პურად.

**ჩაკირული ვარ და უსახო, ცრუ ბრძენთათვის ანდა  
ბრიყვთათვის.**

**მხოლოდ ჭეშმარიტო ვეჩვენები  
მრავალფერი და მრავალგულა.**

აზრის სიღრმე, ფრაზის სინატრიფე და სიზუსტე ხმიანობდა დარბაზში. მსახიობებმა წაიკითხეს ფრაგმენტები ესმა ონიანის ესეებიდან, ხოლო სალალობო რკალის ლექსებიდან „მეფე ვასუშტისა და ბაბუა ვეზირის ამბები“ ჩერეფა იუმორი, ირონიაც დაუფარავი; ან კიდევ:

**არ მეკადრება ესმას**

**სიბრაზით ენის ლესვა —**

**არ მიძღვავენ? გადავწერ,**

**მომირმევია ესა:**

**ნაკლები ბიჭები იყვნენ**

**ხელით თუ წერდნენ ლექსა?**

ასე გასრულდა ის საღამოც: რაღაცნაირად ზეიმური, რაღაცნაირად პათეტიკური, დამაფიქრებლად თუ სევდიანი განწყობის მომნიჭებელი.

**P.S.** სულ ბოლოს, როცა მადლობის სათქმელად მიეახლენ მსახიობებს მსმენელი და ერთგულ დას, ქალბატონი ირინასაც ულოცავდნენ არაჩვეულებრივ საღამოს (რაღადაგიმალოთ და ძალიან მიყვარს ხალისიანთა და თუნდაც წუთიერად ბედნიერთა ყურისგდება), გავიფიქრე, უკვე მერამდენედ, რა ცოტა პყოფნის ადამიანს და რომ სხვისთვის სიხარულის მინიჭების უნარი არის დიდი ნიჭი.

მარინე ტურავა

## გაიცილო ასხოული

(ლაშა იმადაშვილის  
„ჰალალი თბილისშრი ამჩავი“)

შურნალ „ჩვენი მწერლობის“ წლევანდელ ორ წლიერში (10,11) დაიბეჭდა ლაშა იმედაშვილის „ჰალალი თბილისშური ამბავი“, „მხატვრულ-დოკუმენტური პროზის კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუში, მეცხრამეტე საუკუნის დედაქალაქის სინამდვილეს, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ყოფას რომ გვიცოცხლებს. თითქმის ორი საუკუნის წინანდელი ამბები თვითმხილველის სიზუსტითა და ოსტატობით არის აღნერილი და ამ უანრის მოყვარულებსაც დიდ სიამოვნებასაც პირდება, თუმცა არა მხოლოდ მათ.

„დრონი იცვალნენ“, ნერდა გრიგოლ ორბელიანი და სწორედ ამ პროცესს აღნერს ლაშა იმედაშვილი, ქართველების მიერ ყველანაირი უცხოურის უაპელაციო მიღებასა და გათავისებას, საკუთარის უპატიცეცეულობას, ახალი თბილისის დაბადებას — რუსული სინამდვილის თანაზიარებით განსხვავებულ ქალაქად რომ ყალიბდებოდა. ამიტომაც ამ ნანარმოებს, როგორც ნამდვილ ლიტერატურას შეეფერება — არა მხოლოდ შემეცნებითი ხასიათი აქვს და არა მხოლოდ დოკუმენტური პროზის კონტურები...

სხვადასხვა ამბავს — თბილისშურ დროსტარებას, ამშების მიტან-მოტანას, გლოვისა და ქორწილის რიტუალს, სადალაქოებსა და სალაბორებს, ყავისა და ჩიას სმას, ჩაცმისა და გადადგილების კულტურას... ოპერის შენობის დაწვა და ურნალისის სამსონ ბალახაშვილის სახე კრავს, იმდროინდელ ეკრინპაში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის გარშემო დატრიალებული ამბები ერთგარი ღვედისა თუ ღერძის ფუნქციას ასრულებს. „ჰალალი თბილისშური ამბავი“ კომპოზიციურად შეკრული და გააზრებული ნანარმოებია, ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ჭეშმარიტი მხატვრული ნარატივისათვის დამახასიათებელი ფინალი — მოულოდნებორიცა და ოსტატურიც. მწერალი თითქმის არაფერს არ აფასებს, არსად აშეკარად არ ჩანს მისი პოზიცია, მაგრამ მსატრულ-დოკუმენტურ უანრში შეუძლებელია სტრიქონებს შორის, ქეცექსტურად მაინც არ გამოკრთეს ავტორი, მისი დამიკაიდულება, მისი პოზიცია. ვეიქრობ, რომ ამ ტექსტში სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა შეფარულიც და დაშიფრულიც...

ლინისა და დროსტარების მოყვარულ ქართველებს ხშირად წამოგვაძებდნენ — ვაჭრობა რა თქვენი საქმეა, ღმერთს სხვა შენო და მარიფათი მოუცია თქვენთვისო. არა-და ლაშა იმედაშვილი დარწმუნებულია, რომ ამას მტერი გვინერგავდა, გამუდმებით გვიჩიჩინებდა, რომელსაც ჩვენი გაზარმაცება და უსაქმეურობა აძლევდა ხელს. იმავე მტრის წყალობით დაინერგა ჩვენში ქრთამიცა და აღებ-მიცემობაც, რუსებმა ჩიას სმასთან ერთად რომ შეაყვარეს ჩვენს წინაპრებს.

„ვორონცოვს ჯერ კიდევ პეტერბურგში, ასეთი რამ უთქვამს, კავკასიაში მშვიდობიანობა მაშინ ჩამოვარდება, როცა მთებში ჩვენი სამოვარი გაჩნდება“ მიხეილ ვორონცოვი ერთგულად ემსახურებოდა კავკასიის რუსეთის იმპერიასთან სრული შერწყმის საქმეს, მაგრამ ამას აკეთებდა მოქნილად, უპირატესად კულტურულ ღონისძიებით: მის დროს ალდგა ქართული თეატრი, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა. ადგილობრივ თავადაზნაურთა შვილებს გზავნიდა რუსეთის სასწავლებლებში, მიხეილ ვორონცოვი მეფის უერთგულესი მსახური იყო. სხვა მოხელეებისაგან გამოირჩეოდა გამჭრიანი გონებით, განათლებითა და გარკვეული ლიბერალიზმით. ე.წ. „თავად ვორონცოვის არქივში“

შემონახული მე-19 საუკუნის საქართველოს მდგომარეობის ამსახველი ცნობები. მისი სახე რამდენჯერმე გაკრთება თხზულებაში. მიუხედავად ვორონცოვის დიდი სურვილისა, საქართველოს მთებში სამოვარის გაჩენას აღსრულება არ ენტა, სამაგიეროდ, ქართველთა საუკეთესო შვილები ემსახურებოდნენ რუსულ სახელმწიფოს და მათი ქვეყნის სამსახურში ლევდნენ წუთისოფელის...

ქართულ სახელმწიფოზე ოცნებას კი მხოლოდ 1832 წლის შექმულების მონაწილენი ბედავდნენ, „თბილისურ ამბავში“ ყავახანებში მათი შეკრება და საათობით გამართული კამათია დახატული — საქართველოს ჭირ-ვარამზე, სილარიბეზე, თავადების დაუსრულებელ შუღლსა და დავაზე... მაშინ, როდესაც მათი თანამემამულენი რუსულად იწყებდნენ საუბარს, წერას, ჭორების მოყოლას, ჩატამას, ქოშებს ბაშმაკებით ცვლიდნენ, ღვინის ნაცვლად ჩაის სვამდნენ... ისინი შეთქმულებას აწყობდნენ, გრძნობდნენ, რომ ქართული ენა და კულტურა, იდენტობა იყარებოდა, თუმცა არცერთი მათგანი არ ყოფილა რუსეთიდან შემოსული პროგრესის, განათლების წინააღმდეგი. სწორედ ამგვარი მოაზროვნებით შეწუხებულმა რუსულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო საოპერო თეატრი აეშენებინა, რომ ქართველთა ყურადღება აქითკენ შემოებრუნებინა, გართობისა და დროსტარებისათვის მიეკურო...“

საოპერო თეატრის მშენებლობას, ოდესიდან მოწვეულ არქიტექტორ სუჯილერის პროექტს, თეატრის უძირიფასეს მოწყობილობასა და აქსესუარებს, საფრანგეთიდან ჩამოყვანილ დეკორატორებსა და მათ მიერ შვიდასკაციანი დარბაზის გამართვას მწერალი საგანგებოდ აღნერს. „ეს ერთადერთი თეატრია, რომლის შიგა სამკაული აგებული და მორთულია მავრიტანული სტილით, უდავოდ და უეჭველად ნარმოადგენს ერთ-ერთს ყველაზე უფრო ელეგანტურს, მოხდენილს, ყველაზე უფრო ნარმტაც სათეატრო ნაგებობას, რაც კი შეუძლიან ნარმოიდგინოს ადამიანმა“ — წერდა მაშინდელი პარიზული პრესა. თბილისის ოპერა-


ში წარმოდგენის სანახავად ჩამოსული უცხოელი სტუმრები, მათ შორის — დიდი შამილის ლეგენდარული, მაგრამ რუსეთის მიერ გადაბირებული ნაიბი, ჰაჯი მურადიც ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ჩვენი დედაქალაქიც იმთავითვე მთელი კავკასიის კულტურულ ცენტრად მოიაზრებოდა. ეს კავკად ჩანს ამ ნანარმოებიდანაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი სიყვარული თბილისის ერთ-ერთი უკანასკნელი საზანდარის სათარას მიმართ, საპატიმროში დამზყდებული ალექსანდრე ორბელიანის სურვილი, ილია ჭავჭავაძის მიერ საოპერო წარმოდგენის ჩაშლა, მისი დამოკიდებულება სომხებისადმი — არაერთ მნიშვნელოვან ამბავს გვიყვება მწერალი. კიდევ ერთხელ გააშიშვლებს ქართული რომანტიზმისა და ზოგადად ჩვენი ლიტერატურის ყველაზე ორსახოვან წარმომადგენელს გრიგორ მრბელიანს — საქონლის გატვირების გამო ავლაბარში საპროტესტოდ შეკრებილ ხალხს რუსის ჯარი რომ შეუსია. დეტალურად გვიყვება ალექსანდრე ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილის ამბავს, იმდროინდელი თბილისის არაერთ კოლორიტს, ცნობილ პიროვნებას, მოქეიფეა და დარდიმანდს გვიხატავს.

ლაშა იმედაშვილი იმედინევნით აღწერს მაშინდელი საქართველოს მმართველობის სისტემას, სახელმწიფო აპარატს, ძალისმიერ სტრუქტურებს, თბილისის ცხოვრების წესს — დილიდან დაღამებამდე.

განსაუკრებულ ყურადღებას იძყორბს სასამართლო პროცესი — ქართველი სტალრების სასტიკი დასჯა გერმანელი ზეცერის მკველელობისა და თეატრის შენობის დაწვის გამო. მთელი ქალაქი გრძნობს, რომ ოპერის დაწვა ვილაცის მიერ კარგად დაიგეგმა და უბრალო მუშები აქ არაფერ შუაში არიან, მაგრამ, როგორც ყველა დროში, აქაც დიდ კაცთან პატარა კაცი სამართალს ვერ პოულობს. მიუხედავად იდეისა და მიზანდასახული მოქმედებისა, დოტაციაზე მყოფი ოპერის თეატრი დიდი ტვირთი აღმოჩნდა და მისი მოშორება ასე გადაწყვიტეს...

ნანარმოებში აღწერილი თითოეული ამბავი თუ ეპიზოდი შეიძლება რამდენიმე რომანს დაედოს საფუძვლად, პირველწყაროდ იქცეს. ამ მხრივ განსაუკრებულია მეოცე საუკუნის რუსი მომღერლის თეოდორ შალიაშინის ბიოგრაფია. ძლიერი და მოქნილი ბასისა და მომაჯადობებული სასცენო თამაშის წყალობით, იგი ოპერის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს შემსრულებლად იქცა. მას ხშირად მიეწერება ხელოვნების ამ დარგში ბუნებრივი თამაშის დამკიდრება. ლაშა იმედაშვილი მისი დაბადების ისტორიას გვიყვება — ცოტა დაუჯერებელს, ცოტა ლიტერატურულს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფაქტებზე დამყარებულს. უბრალო მექუდის ფინანს მელნიკოვა-მაისტრენკოს უკანონო ვაჟი, რიგით პოლიციელს ივანე შალიაშინს უშვილებია, ეს ცნობილი მომღერალი თბილისში დაბადებულა და ამ ქალაქში



ლაშა იმედაშვილი

საკმაოდ დიდი სამეცნიერო ჰუმანიტარული მისი საოცარი ხმა და ტალანტი თბილისში აღმოჩენია ვინმე უსატოვს.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი, სამსონ ბალახაშვილის ნამდვილი უურნალისტური ალლო და პროფესიონალიზმი. მემლაპის ამბის მოსმენის შემდეგ იგი უურნალისტურ გამოძიებას იწყებს, ყველა მხარის პოზიციასა და მოსაზრებას სწავლობს და მხოლოდ ამის შემდეგ აპირებს სტატიის დანერას. მისი პროფესიონალიზმი დღესაც შესამურია, როცა არაერთი შეუმომებელი და ყურმოკრული ამბავი თუ ჭორი, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ხვდება პერიოდული პრესის ფურცლებსა თუ ელექტრონულ მედიაში...

ყურადღებას იქცევს ლაშა იმედაშვილის ენა — მდიდარი, მოქნილი, ძველი სიტყვების გაცოცხლებას და გამოყენებას, დაბრუნებასაც რომ ისახავს მიზნად — „ბადიო, კონით, ფიცრით, ნემსკავით, საფიჩხურით, ოჩხით იჭერდნენ მეთევზები თევზებს და პატრონებთან მიჰკონდათ“, „თბილისში საქმე ასარჩევადაც კი იყო: მურასა, საგარეჯო, პირგაჭრილი, კაკალა, შოთის პური“, „იცვლებოდა კაცების სამოსაც, ჩაკეცილმა ქუდმა გზა დაუთმო კატილოქს, ჩოხა, ქულაჯა, ყურთმაჯიანი შეცვალა მუნდირმა და კოსტუმმა“, „თბილისში რამდენიმე აბანო იყო მეტ-ნაცვლებად განთქმული: მეფე ირაკლის, იგივე დარის, მეითარი, სიონის, ბებუთის, მელიქანთ, ციხის, ვინალის, გრილი და სხვა“, „მხლებელი ქალები — გამდელი, პირის ფარუში, მედოშავე, მოლარე, გამდლის მოახლე“, „მხლებელი კაცები — შათირი, მერიქიფე, მზარეული, თუშმალი, ხაბაზი, მოლარე, ფარეში, ზენდარი, სუფრაჯი“, „ლიდურებებში თოქმაჩები წითელი სპილენის ფურცლებიდან ქვაბებს ამზადებდნენ... მენალები, დერციები, ჭონები ისხდნენ, ყვიროდნენ, პერავდნენ...“ დღეს ამ ხელობათა უმრავლესობას სტილისტი ჰქვია. ძველ თბილისში კი ყველას თავისი სახელი ჰქონდა, მენიუსაც საჭმელთა რუკად მოიხსენიებდნენ.

დრო იცვლება, იცვლება ლექსიკაც, დღეს ჩიხთითა და ჩიხტკიკით არ დავდივართ, ამ სიტყვებითაც ბევრმა მნიშვნელობა და ფუნქცია დაკარგა, მაგრამ მაინც შეიძლება ბევრი მათგანის დაბრუნება სამეცნიერო მიმოქცევაში, რადგან უკვე ინგლისური ენის გავლენის საფრთხის წინაშე ვდგავართ და ამ საფრთხის დაძლევა უძველესი ქართული სიტყვების გაცოცხლებითაც შეიძლება. ყოველთვის მომწონდა ჰოლანდიულთა სიჯიუტე და საკუთარი ენის სიყვარული — საერთაშორისო სიტყვებიც რომ არ გააჭაჭანეს — აეროპორტიდან დაწყებული კომპიუტერული ტერმინოლოგიით დამთავრებული ყველა სიტყვა ჰოლანდიური აქვთ და ეს სრულიად არ უშლით ხელს ნამდვილ ევროპელებად მოიაზრებოდნენ. ჩვენც მხოლოდ მაშინ ვიქცევით ევროპის განუყოფელ ნანილად, როცა ინგლისურ ენასა და მანერებს კა არ შევითვისებთ, არამედ ჩვენი ენითა და კულტურით, ჩვენი თავისებურებებით და თვითმყოფადობით გავხდებით ევროპულად მოაზროვნები. ამისთვის არ არის საკარისი მხოლოდ ქართული წიგნების თარგმანა, ქართული მიღწევების გატანა საზღვარგარეთ, საჭიროა ახლობერი აზროვნება.

„ჰალალმა თბილისურმა ამბავმა“, მეცხრამეტყ საუკუნის თბილისში დაბრუნებაში ამგადარი ფიქრები და სატკივარი აღმიძრა, „რაღაც უცეპარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბზა“. დარწმუნებული ვარ, ასეთი განცდა ექნება ყველა მკითხველს, რომელიც ნამდვილმა ლიტერატურამ წარსულსა და მომავალზე, თავისი ქვეყნის სატკივარზე უნდა ჩააფიქროს, სხვა „ნესტარითა“ უნდა დაჩვლიტოს... ჭეშმარიტ ქართულ სახელმწიფოზე აზრმა და სურვილმა უნდა შეიძლოს...

ძალიან უნდა გიყვარდეს შენი ქალაქი, რომ ასეთი რუდუნებით წერდე მასზე, ამდენი საარქიტო მასალა, უურნალი თუ გაზეთი, ქრონიკა თუ აფიშა... შეაგროვო, შეკრიბო და ამდენი ისტორია აასხა მძივით, გულდასმით, ყურადღებით, მისხალ-მისხალ, ააკონინო ერთ ქარგად, ერთ სიუჟეტად... „ჰალალ თბილისურ ამბად.“

## ეკა ბუჯიაშვილი

# ის ერთი ადგილი გაყურებელთა დარბაზში

□

## გვანცა კანდელაკის გზის დასაწყისი

რაც თავი ახსოვს, იცოდა, რომ მსახიობი უნდა ყოფილიყო.

მამას უნდოდა ასე.

ჯერ იყო და თვითონ აპარებდა თეატრალურზე, მაგრამ... არ მიიღეს და თავისი აუხდენელი ოცნების განხორციელებას ახლა შვილში ხედავდა.

— შენ მსახიობი უნდა გამოხვიდეო, — ეუბნებოდა ბავშვობიდანვე.

მსახიობი რომ უნდა გამოსულიყო, კი იცოდა გვანცა კანდელაკმა, მაგრამ რას ნიშნავდა ეს მითებით შებურვილი მსახიობობა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

— გაიზრდები და მიხვდებიო, — ეუბნებოდა მამა.

გაიზარდა და მიხვდა, რომ ის ჯადოსნური სამყარო, რომელზეც ბავშვობიდან ესაუბრებოდნენ, ჩვეულებრივ მართლაც არა ჰგავდა, და არც მთლად ია-ვარდით იყო მოფენილი, თუმცა ამ ყველაფერზე ახლა თვითონ გვანცა კანდელაკი მოგვითხრობს:

\* \* \*

იყო ისეთი დრო, როცა გადავითიქრე მსახიობობა.

უურნალისტობა მინდოდა.

ახლა რომ ვფიქრობ, ეს უფრო შინაგანი პროტესტი იყო. ბავშვობიდან ვცდილობდი, შენიშვნა არ მიმელო. ჩემთვის სამყარო ორად იყოფოდა: ეს შეიძლებოდა, ის — არა. მე უნდა ვყოფილიყვავი კარგი, ისეთი, როგორიც მშობლებს უნდოდათ... და ერთ დღეს რატომძაც ვიფიქრე: ხომ შეიძლება რაღაც მეც არ მინდოდეს-მეოქი, და გადავწყვიტე, ეს „რაღაც“ ყოფილიყო მსახიობობა.

პირველი შეხვედრა სცენასთან, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი გზა, ასე მოხდა:

სკოლებს შორის „კა-ვე-ენი“ ტარდებოდა და მეც შემარჩიეს. მახსოვეს, ე.წ. „მედიკების სახლში“ დაგვიძახეს. შენობაში რომ შევედი, სრული

სიბრძნელე იყო. სადღაც შორიდან მოდიოდა სინათლე. ამ შუქს გავყევი, გავყევი და... რომ მოვიხედე, აღმოვაჩინე — სცენაზე ვიდექი. სადღაც სიბრძნელეში სკამების რიგებიც გავარჩიე. ირგვლივ სიჩუმე იყო. მიკროფონთან მივედი და...

მე არ ვიცოდი, რა ხდებოდა ამ სიბრძნელის მიღმა, მაგრამ მქონდა განცდა, რომ ყველაფერს იმ უცნობი, იდუმალი სამყაროსთვის ვაკეთებდი.

ამ შემთხვევიდან წლებმა გაიარა.

მე ვიდექი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზეც.

რუსთაველის თეატრის სცენაზეც ვიდექი, მაგრამ... ასეთი განცდა ამ სიმძაფრით აღარასოდეს მქონია.

შინ მისულმა მამას ვუთხარი: — მე გადავწყიდე: მსახიობობა მინდა-მეტქი.

იმ წელიწადს გაიხსნა კინომსახიობის ფაკულტეტი. რეზო ჩხეიძეს უნდა აეყვნა ჯგუფი და ვიფიქრე, რომ აქ უნდა მეცადა ბედი. დავდიოდით კონსულტაციებზე. მამამ თქვა: მე მოგამზადებო, და დავიწყეთ მეცადინეობა.

ეს იყო ყველაზე რთული და საშინელი ორი კვირა.

არც ვჭამდით, არც ვსვამდით. შევარჩიეთ პროგრამა, რაც უნდა წამეკითხა, დილიდან გვიან დამემდე ვმუშაობდით.

მამამ დაიუინა, რომ ვაჟა-ფშაველას „ია“ უნდა წამეკითხა. არადა ბავშვობიდანვე მქონდა წინააღმდეგობის განცდა: რატომ უნდა მეთამაშა წითელქუდა, რატომ უნდა ვყოფილიყვავი სულ ნაზი, სუსტი და დაუცველი... და ახლაც, მინდოდა თუ არა, „ია“ უნდა წამეკითხა, ლექსებთან ერთად.

ერთ-ერთ კონსულტაციაზე მისულს შემდგომში ჩემმა პედაგოგმა მკითხა:

— ვისთან ემზადებით?

— არავისთან მეტქი, — ავიჩეჩ მხრები.

— არა, აშეარად ემზადები, — ჩამეკითხა ისევ.

— მე თვითონ ვმეცადინეობ... უფრო სწორად, მამა მამზადებს-მეტქი.

რა თქმა უნდა, არ დამიჯერეს!

\* \* \*

კიდევ კარგი დაიუინა, „ია“ უნდა წაიკითხოო.

მახსოვს, იმან გამომაფხიზლა, ტექსტი რომ დამთავრდა. სიტყვები აღარ მქონდა და პირველი, რაც დავინახე, იყო ბატონი რეზოს ჩაფიქრებული სახე.

ავლელდი. ვიფიქრე, ალბათ საშინლად წავიკითხე-მეტქი.

არაფერი მახსოვდა. მხოლოდ მერე, როცა ჯგუფში ამიყვანეს, მივხვდი, რომ მოსწონებიათ.

შემდეგ დაიწყო ოთხწლიანი „ეპოპეა“ თეატრისა და კინოს ინსტიტუტში.

ხანგრძლივი რეპეტიციები, რომლის დროსაც შესაძლოა საათები გასულიყო ისე, რომ ბატონი რეზო ჩუმად მჯდარიყო და ხმა არ ამოელო.

ეს იყო ძალიან დიდი დაძაბულობისა და მოლოდინის პროცესი.

წლები რომ გავიდა, მივხვდი, რომ ის თურმე ამითაც გვასწავლიდა — გვცოდნოდა მოთმინება, ლოდინი, არ დაგვარგვოდა საკუთარი თავის რჩება, და საკუთარი თავის ფლობის უნარი.

ხანდახან თითებს ბადესავით გადააჯვარედინებდა და ისე გვიყურებდა — თითქოს კადრში გვსვამდა — აინტერესებდა, როგორები ვიყავით. ვიდრე გავიგებდი, რომ ეს მხოლოდ ინტერესი იყო, ჩემი მემართებოდა.

ერთხელ რაღაც მიზეზთა გამო ცოტა გაბრაზებული მივედი რეპეტიციაზე. არჩილ სულაკაურის „მტრედებს“ ვდგამდით. რეპეტიციებს კი გავდიოდით, მაგრამ რაღაც ისე არ იყო, რაღაც აკლდა ჩემს სახეს. იმ დღეს კი ყველაფერი სხვანაირად ვითამაშე — ისე არა, როგორც ბატონი რეზო მუპნებოდა. რაღაცნაირი პროტესტის გრძნობა მქონდა თითქოს — როდემდე უნდა მეკეთებინა ერთი და იგივე დაუსრულებლად.

და ბატონმა რეზომ ჩვენს მეორე პედაგოგს თემურ ფალავანდიშვილს გადაულაპარაკა:

— როგორც იქნა, გაიხსნა ეს ბავშვი!

ამ შემთხვევამ ბევრი რამ განსაზღვრა ჩემს წარმოდგენაში, უმთავრესად კი ის, თუ როგორი უნდა იყო სცენაზე.

მესამე პედაგოგი, რომლისგანაც ასევე ბევრი რამ ვისწავლება და რომელმაც ყველაფერი ამოაყირავა ჩემს ცნობიერებაში, მურმან ჯინორია გახლავთ. ის მხატვრულ კითხვას გვასწავლიდა. ჩვენ წლების განმავლობაში ბატონი რეზოს ხელში ვყალიბდებოდით და მისი ხელწერა ყველას გვეტყობოდა, მურმან ჯინორია კი თითქოს გარედან შემოიწრა, სათითაოდ დაგვანგრია და თავიდან აგვაშენა — სულ სხვანაირად, და თუ იყამდე მქონდა წარმოდგენა, რომ მხოლოდ ჯულიეტას თუ ვითამაშებდი, ბატონმა მურმანმა გამომიცხადა:

— არა, შენ ოფელია ხარ, ჯულიეტა რა შეაშია შენთან!

მახსოვს, მაშინ დავდებით წარმოდგენა, რომელშიც სხვადასხვა წანარმოებიდან უნდა წაგვეკითხა წანყვეტები. მე იფელია ვითამაშე.

ბატონმა რეზომ რომ გვნახა, ორი დღე ჩაფიქრებული დადიოდა და მივხვდი, რომ სრულიად სხვა თვალით დაგვინახა.

ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი.



გვანცა კანდელაკი

\* \* \*

რეზო ჩხეიძე „კოლომბას“ დგმდა და თამარ სხირტლა-  
ძესთან და გუჯა ბურდულთან ერთად მონწია ლეო ანთაძეც.

მერე ეს სპექტაკლი გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ  
შედგა, მაგრამ ჩემთვის ის რეპეტიციები იყო ნამდვილი  
მასტერელასი. ლეო ანთაძე კი დიდნილად განსაზღვრა  
ჩემი შემდგომი განვითარება.

ერთხელ მან მომიტანა პიესა — მილერის „ყველა ჩემი  
შვილია“. წაიკითხეო, — მითხრა, — და აზრი გამიზიარეო.

მომენთისა, ბატონ ლეოსაც ვუთხარი, რასაც ვფიქრობ-  
დი. ფსიქოლოგიური პიესაა, სათქმელიც ისეთი იყო... რო-  
გორ უყვართ ადამიანებს კონფორმიზმი და როგორ მოქმე-  
დებს ეს მათზე.

— კარგიო... კარგიო... დიდი მადლობაო.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ. დამავიწყდა კიდეც ეს  
ამბავი და ერთ დღეს ისევ მირეკავს ბატონი ლეო:

— ამ პიესის დადგმას ვაპირებ და ენის როლი შენ უნდა  
ითამაშო.

ეს იყო პირველი შემოთავაზება სცენაზე და, შესაბამი-  
სად, ძალიან ემოციურიც ჩემთვის. სულ სხვაა, როცა რე-  
ჟისორი დგამს სპექტაკლს და სრულიად სხვანაირად აკე-  
თებს ამას მსახიობი.

თავისუფალ თეატრში დაიდგა.

მერე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზეც გადავიტა-  
ნეთ ეს სპექტაკლი.

სწორედ იქ მნახა ლევან ნულაძემ. ის იმ დროს „ქაქუცა  
ჩოლოყაშვილზე“ მუშაობდა და ერთ-ერთ როლზე მიმიწ-  
ვია (გლეხის გოგო ვითამაშე), რომელიც სცენარში არ იყო),  
„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ დღემდე ერთ-ერთ უსაყვარლეს  
სპექტაკლად რჩება ჩემთვის.

მერე კი ნინო ბურდულმა დადგა პიესა „მაყურებელთა  
დარბაზები“, რომელიც ძალიან ცოტა ხანს ვითამაშეთ  
მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

შემდეგ იყო გოგი ქავთარაძის „გიორგი მაზნიაშვილი“.  
თუმცა უფრო მთავარი ჯერ ნინ იყო, ოლონდ ვიდრე ამას  
გიამბობდეთ, უნდა გითხრათ, რომ არის ასეთი რეჟისორი  
ნინო შოთაძე, რომელიც ძალიან იშვიათად დგამს — მხო-  
ლოდ მშინ, როცა სათქმელი აქვს — და ძალიან საინტერე-  
სოდ, რაც დღეს მეტად დასაჯასებელია, რადგან არ ვიცი,  
მე მეჩვენება თუ მართლაც ასეა, ადამიანები იოლი გზით  
სიარულს მიეჩივინენ. ყველა ცდილობს, სირთულეს თავი  
აარიდოს. ალბათ დროა აჩქარებული ან ცხოვრებაა ძალი-  
ან გართულებული... მაგრამ, ასეა თუ ისე, ნამდვილი ხე-  
ლოვანი იოლ გამოსავალზე არასოდეს იფიქრებს.

ნინო შოთაძეც სწორედ ასეთ გამონაკლისთა შორისაა.  
და აი, ეს რეჟისორი ერთ დღეს მირეკავს და...

\* \* \*

გაიგლის დრო და ამ ყველაფრის შესახებ ასე ვიხუმრებ:

— ეს ის შემთხვევა იყო, როცა თეთრი რაში ჩამოგიქ-  
როლებს, შენ შემოხტომასაც მოასწრებ და მერე...

მერე ის სულ სხვა მხარეს გაფრინდება.

იმ წუთას კი, ნინომ რომ დამირეკა და მითხრა, რომ  
აპირებდა დაედგა პიესა, რომელშიც მე მთავაზობდა  
უსინათლო, ყრუ და მუნჯი გოგოს როლს, ძალიან შევშინ-  
დი და დავიბენი:

— კი მაგრამ, თუ უსინათლოა, ყრუ და მუნჯი, მე რა  
უნდა ვითამაშო-მეთქი?!

უცნაური ის იყო, რომ ამ როლზე ორმა ადამიანმა —  
თვითონ ქალბატონმა ნინომ და ჩემმა პარტნიორმა სცენა-  
ზე აკაცი ხიდაშელმა — ერთმანეთისგან დამოუკიდებლად  
შემარჩიეს.

დიდხანს ვფიქრობდი, რა უნდა მექნა.

ბოლოს ასეთი პირობით დავთანხმდი: დაგვეწყო რეპე-  
ტიციები, მოგვესინჯა, რა გამოვიდოდა. არ მქონდა ჩემი  
თავის იმედი, რადგან არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა.

— შენ შეძლებ! — მამხევებდა რეჟისორი.

დავინწყეთ რეპეტიციები.

არა ჩევეულებრივი რეპეტიციები.

ჯერ უბრალოდ ვისხედით და ვსუუბრობდით როლზე.

მერე ვიფიქრე, რომ საჭირო იყო მენახა, როგორ იქცე-  
ოდნენ უსინათლოები, როგორი იყო მათი ემოციები, ბლას-  
ტიკა, ალქმა სამყროსის... და როცა ეს ყველაფერი ვნახე,  
მთავარი, რასაც მივხვდი, იყო ის, რომ მათ აქვთ საოცარი  
უნარი სიცოცხლისა, სიცოცხლის ისეთი სიყვარული, რო-  
გორიც ჩევეულებრივ ადამიანებს არ გაგვაჩინია.

სწორედ იქ გავაცნობიერე, რომ მე ნამდვილად არ აღ-  
ვიქვამდი სამყაროს ასე მძაფრად.

მე ვერ ვხედავდი მას ისეთი სიცხადით, როგორითაც  
ბრმები ხედავდნენ.

მე არ მქონდა ისეთი სურვილი მისი შეცნობისა — აი,  
თუნდაც ყვავილის დაყნოსვისა — როგორიც მათ.

და ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მაშინ მივხვდი,  
იყო ის, რომ მე სწორედ ეს სურვილი უნდა მეთამაშა.

მერე ვიფიქრე, რომ საჭირო იყო მცოდნოდა მუნჯების  
ჟესტიკულაციაც და დავინახე ის, რომ თუ ერთ-ერთი შეგ-  
რნება მანც არ აქვს ადამიანს, ის სრულიად სხვაგვარად  
აღიქვამს სამყაროს.

ეს სხვაგვარი ალქმაც უნდა მეთამაშა.

რეპეტიციები დავინწყეთ იქიდან, როგორ შეიძლება  
მოძრაობდეს პატარა ბავშვი, რომელიც ეს-ესაა გამოა-  
ხელს თვალს, ეს-ესაა სწავლობს საუბარს და სიარულს.

პირველად ოფელიას როლზე ვიმუშავე ასე — როცა  
სხვა აღარაფერი მახსოვდა, სასცენო კოსტიუმით დავდი-  
ოდი ქუჩაში, რომ უკეთ გამეთავისებინა ყველაფერი.

მერე ვის ამ როლზე მუშაობისას მოხდა — დავდიო-  
დი ქუჩაში და ვცდილობდი წარმომედგინა, რომ მხოლოდ  
მესმოდა და ვერ ვხედავდი. შინ თვალებახვეული ვმოძრა-  
ობდი და აღმოვაჩინე, რომ შეიძლება დაიმახსოვრო ავე-  
ჯის განლაგება და ირი მშვიდად.

მერე რეპეტიციებში აკაცი ხიდაშელიც ჩაერთო. ძალი-  
ან საჭირო შენიშვნები მომცა, ოლონდ ისე მოზომილად,  
ვერენებოდი, იქნებ კიდევ მირჩიოთ რამე-მეთქი. ძალიან  
მერიდებოდა მისი. როცა შემოდიოდა, ფეხზე ვდგებოდი.  
ერთხელ, მახსოვდა, რამდენჯერმე დავემშვიდობე. მაშინ ის  
შემობრუნდა და მითხრა:

— მოდი ასე მოვიქცეთ: მე შენთვის ვიქნები მეგობა-  
რიც, მამაც, ძმაც... ოლონდ ასე დაძაბული ნუ იქნებიო.

ასეთი პარტნიორი სცენაზე, სხვა რომ არაფერი  
ვთქვათ, დიდი კომფორტი და ბედნიერება...

და როცა ის კარგი პარტნიორი მომართულია, რომ  
შენც კარგი იყო, ეს კიდევ სხვა რამეა.

იშვიათი რამ, რომელიც მეც მხვდა წილად.

\* \* \*

— ამ სპექტაკლში — „ნათელი ბნელში“ — მართლაც ძალიან დიდი გარდასახვა ხდება სცენაზე — ყრუ, ბრმა და მუნჯი გოგონა უნდა გარდაიქმნას სრულყოფილ ქმნილებად და ეს ყველაფერი ძალზე ხელშესახებად ხდება მაყურებლის თვალინი. როცა აკავი ხიდაშელი ჩნდება სცენაზე, მისი შემოსვლა ისეთი სახასიათოა, ისეთი ემოციური და შთამბეჭდავია, ფიქრობ, რომ წარმოუდგენლად ძნელი იქნება ასეთ მსახიობს ლირსეული პარტიინობა გაუნიო... და თქვენ ამას ახერხებთ — თითქმის ტოლს არ უდებთ მას და მაყურებელი მონმე ხდება თქვენი გმირის სრული მეტამორფოზისა.

ვფიქრობ, ამაზე უნდა დაიწეროს, ეს სპექტაკლი უნდა შეფასდეს სათანადოდ კრიტიკოსების მიერ...

— „ნათელი ბნელში“ ორი წლის წინათ დაიდგა და მაშინდელ თეატრალურ სივრცეში ერთ-ერთი წარმატებული სპექტაკლი იყო, თუმცა ახტეტელის თეატრს მაყურებელი, ცოტა არ იყოს, უჯირს. თანაც ეს ყველაფერი მძიმე ჰერიოდს დაემთხვა: თეატრში ხელმძღვანელობა შეიცვალა, სპექტაკლი იშვიათად ინიშნებოდა, ვინმეს რომ ეკითხა, ზუსტად ვერც ვეტყოდი, როდის შეიძლებოდა ის ენახა. ამან დიდწილად განასაზღვრა ის, რომ „ნათელი ბნელში“ იმ რაოდენობის მაყურებელმა ვერ ნახა, რამხელა ინტერესიც იყო მის მიმართ.

— სხვა სცენაზე რომ გადაგეტანათ, იქნებ უფრო პოპულარული ყოფილიყო...

— რა გითხრათ... იმას კი ხშირად ვფიქრობ, რომ ჩემი თეთრი რაში სულ სხვა მხარეს გაფრინდა. თუმცა... ამ სპექტაკლმა ბევრად განაპირობა ჩემი ყოფნა ახმეტელის თეატრში — მერე ნუგზარ ლორთექიფანიძემ დადგა შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, სადაც ლურა ვითამაშე.

ახმეტელის თეატრში ასევე ვიმუშავე სოსონ წემსაძესთან, მალხაზ ასლამაზიშვილთან, ხათუნა ბედელაძესა და დიმიტრი ლვითისაშვილთან.

საერთოდ, „ნათელი ბნელის“ მერე ძალიან მეშინოდა სხვა როლების. იცით, არის სიმაღლე, რომლის მიღწევის შემდეგაც ქვემოთ ჩამოსვლის უფლება არ გაქვს. თუ მეტს ვერ შეიძლებ, ეს მაინც უნდა შეინარჩუნო. მერე მითხრეს კომპეტენტურმა ადამიანებმა, გამოცდილმა მსახიობებმა: ასეთი როლი შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ შესარულო და ამის გამო რომ აღარაფერი ითამაშო, არ გამოვაო...

— კრიტიკას როგორ ხდებით ხოლმე?

— არის რაღაც, რაც სცენაზე შეიძლება ითამაშო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მაგრამ საკუთარ თავს ვერ მოატყუებ.

შენ ყოველთვის იცი, ბოლომდე დაიხარჯე თუ არა იმ დღეს. დამთავრდება სპექტაკლი, წახვალ საგრიმოროში, დარჩები საკუთარ თავთან ბარტო და მიხდები, რომ რაღაც დააკელი ამ ყველაფერს, შენი შესაძლებლობანი ბოლომდე არ გამოიყენე. ხდება ასეთი რამებიც.

ამიტომ ჯანსაღი კრიტიკა ჩემთვის ძალიან საჭირო რამა. ყოველთვის ყველა როლი არ გამოგივა, და უნდა შეგძლოს მარცხის აღარებაც.

პირადად მე არასოდეს მწყინს, როცა ჩემი კოლეგა და პარტნიორი (და არა, ვთქვათ, რეჟისორი) მაძლევს შენიშვნას. პირიქით, სულ ვეუბნები მათ, რომ თუკი შემიძლია რა-მე უკეთ გავაკეთო, აუცილებლად მითხრან.

— თქვენ რეჟისორებზე საუბრობდით, არადა, კონფორმიზმი და იოლი გზით სიარულის სურვილი რომ ახსენეთ, არცთუ იშვიათად მსახიობებშიც შეიმჩნევა. საინტერესოა, თუ გამოარჩევდით თქვენს თაობაში რომელიმე მსახიობს თვალის ნიჭითა და პროფესიონალიზმით?

— როლუ სათქმელია.

იცით დღეს როგორი ტენდენცია? ერთხელ ერთმა მეგობარმა ერთ-ერთი მსახიობის შესახებ ასეთი რამ თქვა:

— ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ ეს ბიჭი ნიფერია.

რაღაცნაირად ასე ხდება ხოლმე: უნდა „გადაწყდეს“, რაღაც წრეში უნდა გაღიარონ, რომ ნიჭიერი ხარ, იქნება ეს, საერთოდ, საზოგადოება, კონკრეტული ადამიანი თუ გარევული სნობური წრე. ოღონდ... რამდენად ჯანსაღია ეს აღიარება, სხვა საქმე.

არიან ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები, მაგალითად, თუმანიშვილის თეატრში, თავისუფალ თეატრში, მაგრამ ისევ და ისევ იმის გამო, რომ რეჟისორები ზედაპირულად უდგებიან რაღაცებს, ეს ადამიანები ხან ჩანან, ხან — არა. არის როლები, რომლებშიც ისინი ბრწყინვენ, მაგრამ ზოგჯერ ვერ ახერხებენ თავიანთ შესაძლებლობათა ბოლომდე გამოვლენას.

— როგორც ჩანს, წარმატება მხოლოდ ნიჭზე არ არის დამოკიდებული.

— იცით, მხოლოდ ნიჭის ხარჯზე შეიძლება რამდენიმე როლი ითამაშო, მაღალ დონეს კი პროფესიონალიზმიც სჭირდება, რაც მუდმივი მუშაობისა და გამოცდილების შედეგია და ძნელი მისაღწევია.

— მითუმეტეს დღეს, როცა ბევრი რამ არეულია ჩვენს ყოფაში.

— რაც თავი მახსოვეს, სულ გარდამავალ დროში ვცხოვრობ და სულ ვფიქრობ, ნეტა როდის გათენდება ის დღე, როცა ასეთი არასტაბილურობის განცდა აღარ მექნება-მეთქი.

რას იზამ, შენს დროს ადამიანი ვერ ირჩევ. ეს შენი ბედისწერაა.

ან უნდა შეეგულ ამასა, ან კიდევ წახვიდე აქედან.

ჩემთვის კი... საქართველოდან წასვლა, აქაურობას დათმობა წარმოუდგენელია.

— ახალ როლებზე თუ მუშაობთ?

— კინოში ორ ახალ სერიალზე იწყება მუშაობა, ჯერ-ჯერობით მხოლოდ პროექტებია. რაც შეეხება თეატრს, ახმეტელის თეატრში დიმიტრი ლვითისაშვილი დგამს და-თო ტურაშვილის პიესას „შავი კეტები“.

გარდა ამისა კიდევ ერთ საინტერესო რეჟისორთან მომინია მუშაობა: საბა ბაზობოდ თავისი სადიპლომონ სპექტაკლზე, დოსტიცესკის „თეორ ლამებზე“ მუშაობს — ძალიან საინტერესოდ. სულ ვფიქრობ, რომ თუ ეს სპექტაკლი არ შედგება, რეპეტიციების პროცესი მაინც ისეთია — რომ შემოგილანუბენ და გამოგაფხიზლებენ. „თეორ ლამებზე“ მუშაობისას მივცვდი, რომ სერიალების რიტმის გამო რაღაცებს გადავერწივ და ისევ მოვიკინებე ძალა ფორმის შესანარჩუნებლად.

ყოველდღიური რიტმი, სამწუხაროდ, ისეთი რამაა, ხანდახან აღარ ფიქრობ იმაზე, რომ ზოგ რამეს ზედაპირულად აკეთებ, მაგრამ ხან ასეც ხდება — ღამით მესიზმრება, რომ ტექსტი მავინდება და ვიტანჯები.

არის რაღაც, რაც მაინც არ მასვენებს.

პროფესიული სინდისი ალბათ.

\* \* \*

მეოთხე კურსზე ვიყავით, ლევან ანჯაფარიძემ ოთხნი რომ შეგვარჩია მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის „არის ასეთი ქეყყანა“.

სინჯებზე კინოსტუდიაში დაგვიპარეს.

ოთხივე დაგვამტკიცეს.

მახსოვს, კინოსტუდიის ეზოდან რომ გამოვედით, ძლიერ ვიკავებდით ემოციებს — ეს ხომ ჩვენი პირველი კინოროლი იყო — და როგორც კი გამოვცდით ღობეს, ოთხივემ ერთად ვიყვირეთ სიხარულისგან, ის კი აღარ გაგეხსენებია, რომ ჩვენს ყვირილს ღობის მიღმაც გაიგონებდნენ.

ხურდები შევაკონიწერთ. ერთი ბოთლი შამპანური მოგვივიდა და ჩვენს მეგობართან აღვინიშნეთ პირველი წარმატება.

მერე სერიალში — „ყავა და ლუდი“ — ვითამაშე ინვალიდი გოგონას როლი. შემდეგ მოჰყვა საზაფხულო პროექტი „გუნდაურები“... და აი, სწორედ მამინ იყო, რომ მეგონა სარეცხი მანქანაში შემაგდეს და დამატრიალეს, რადგან სრულიად სხვა გარემოში, სხვა რიტმას და სივრცეში აღმოჩნდი.

მერე პატარა როლი შევასრულე „შუა ქალაქში“, შემდეგ კი იყო ეპიზოდური როლი სერიალში „ალუბლების ქუჩაშა“.

როცა სერიალში მუშაობაზე თანხმდები, გინდა თუ არ გინდა, დათმობები გინევს, რადგან არსებობს ფინანსური დაინტერესება, გარდა ამისა ფიქრობ, რომ მაყურებელი მარტო თეატრის სცენაზე არ უნდა გხედავდეს — სამწუხაროდ, მსახიობის პოპულარობას პევრად განსაზღვრავს ტელევიზია, რადგან ეკრანს მეტი მაყურებელი ჰყავს.

ერთხელ მაღაზიაში მკითხა გამყიდველმა: თქვენ ახმეტელის თეატრში არ თამაშობთ? და ახლაც მსახიოვს, როგორ გამიხარდა, სცენიდან რომ მიცნეს და არა ეკრანიდან.

თუმცა ეს უნდა გაიარო, რომ იცოდე, რას ნიშნავს კინო, მუშაობა სწრაფ ტემპებში — როცა შეიძლება ისე გადაღილონ ფილმში, რომ საკუთარი პერსონაჟის აღქმაც ვერ მოასწრო. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ იგრძნო განსხვავება თეატრსა და კინოს შორის. ბოლოს და ბოლოს, ბევრი რამ მუშაობის ასეთი პრინციპიდან შეიძლება „ნამდვილ“ — არა კომერციული დამზადებულებით გადაღებულ ფილმშიც გამოგადგეს. ასეთი იყო ჩემთვის რეზონებიდან „ქრისტეს საფლავზე ანთებული სანთელი“, რომელიც ჯერ არ გამოსულა ეკრანებზე. პრემიერა კი გაიმართა, მაგრამ ფილმი ქართულადაა გასახმოვანებელი. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს „ნამდვილ“ კინოში მუშაობა. ეს კიდევ სხვა რამა მსახიობისათვის.

აი, სერიალში კი ზედაპირულად გიხსნიან როლს, დანარჩენი შენ უნდა გააკეთო. თუმცა, მე თუ მკითხავთ, რთული სწორედ ზედაპირული როლის თამაშია, ძალიან ყალბი და ხელოვნური რომ არ გამოვიდეს. თანაც საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ ამ პროდუქციით გეცნობა და ვალდებული ხარ, ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად კარგ დონეზე განახორციელო. ამიტომ ვცდილობ, რამდენადაც შესაძლებელია ორ-სამ საათში, დასამასხსოვრებელი სახე შევქმნა, თუმცა ეს ყოველთვის ერთნაირი წარმატებით ვერ ხერხდება.

მართალია, ვიცით უცხოური მაღალი დონის სერიალე-

ბიც, მაგრამ ამას კიდევ სხვა გამოცდილება სჭირდება. ჩვენთან ახლა დაიწყო ეს ყველაფერი, ძალიან დიდი ჩავარდნის მერე კინოში, და სულ ვამბობ, რომ მაინც კარგია — როგორც ბავშვი ვერ გაივლის სწორი ნაბიჯებით, როცა ფეხს იდგამს, ისეა აქაც. უნდა წაიქცეს, უნდა ეტკინოს, უნდა ინვინის ბევრი რამ, რომ სიარული ისწავლოს. მოვა დრო, ქართული სერიალიც გაივლის მტკიცე ნაბიჯებით ოღონდ ეგ არის, გული გწყდება, რომ ეს ახლა არ ხდება.

დრო გადის...

შენი დრო!

და შეიძლება ვერც მოესწრო ამ ყველაფერს.

მაგრამ არაუშავს, მთავარია — იყოს, და როცა იქნება, ხომ იქნება!

\* \* \*

ის ყოველთვის ყველა სპექტაკლს ესწრებოდა — მთლიანად ჩართული ჩემს მუშაობაში და ძალიან კრიტიკული.

შესაქებს მოზომილად შემიქებდა, ნაკლზე მკაცრად მიმითითებდა.

ამის გამო ხშირად ვკამათობდით.

— შენგან მსახიობი არ გამოვაო, — მსაყვედურობდა.

— რატომ-მეთქი? — რომ ვეკითხებოდი, — საკუთარ თავზე არ მუშაობო, მპასუხობდა.

ამიტომ მუდმივად დამტკიცების რეზუმში ვიყავი. ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ ასე არ იყო და მოუთმენლად ველოდი ხოლმე მის მოსვლას პრემიერაზე.

„ნათელი ბნელში“ რომ ნახა, შინ მოსულს მითხრა:

— მე დღეს დავიკერე, რომ შენ ნამდვილი მსახიობი ხარ.

ეს იყო ყველაზე დიდი შეფასება ჩემთვის.

მას მერე აღარ უთქვამს: შინაც იმუშავეო.

უკვე მენდო... როგორც მსახიობს.

ერთადერთი სპექტაკლი, რომლის პრემიერაზეც არ მოვიდა, „გიორგი მაზნაშვილი“ იყო, რადგან მხოლოდ პრემიერის წინა დღეს გაუმბილე, რომ ერთ ადგილას რაღაცას ვერ ვიგებდი, რაღაცას ისე ვერ ვაკეთებდი, როგორც საჭირო იყო და... ენყინა.

თუმცა, დარწმუნებული ვარ, ის ჩუმად მაინც მოვიდოდა და მნიხავდა ამ როლში.

ბოლო სპექტაკლი, რომელსაც მამა დაესწრო, „ვერა-გობა და სიყვარული“ იყო. ძალიან კმაყოფილი დარჩენა. გაზაფხულზე ეს სპექტაკლი ჩავაბარეთ, ზაფხულში კი მამა გარდაიცვალა.

ოქტომბერში სეზონი რომ გავხსენით და „ვერა-გობა და სიყვარული“ ნახა აკაკი სიდაშელმა, გაკვირვებულს უკითხავ:

— რა სჭირს ამ გოგოსო?

ძალიან გამიჭირდა თამაში.

არ ვიცოდი, ვისთვის უნდა მეთამაშა;

ვისთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ ნამდვილი მსახიობი ვიყავი;

ის ერთი ადგილი დარბაზში ხომ ცარიელი იყო...

მაგრამ ახლა ნელ-ნელა ვიკრებ ძალას, რადგან ვიცი, რომ მამას ენდომებოდა მისი არყოფნის მერეც ისე გამეგრძელებინა სცენაზე დეგომა, როგორც მას უნდოდა.

ხანდახან მგონია, რომ ის ისევ მიყურებს...

## გურამ ყორანაშვილი

# როგორ იცირება ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია

საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის (საერთო რედაქტორი მარიამ ლორთქიფანიძე) მეორე და მესამე ტომები მიზნად ისახავს ქართული ფეოდალიზმის ისტორიის თხრობას (ახ.წ. IV საუკუნიდან მოყოლებული რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე). შეგახსენებთ, რომ იგივე თემატიკა გადმოიცემოდა თითქმის ამავე ავტორების მიერ 2006 და 2008 წლებში დაპეტდილ ორტომეულში.

საერთოდ, საკითხის შესწავლაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენი ისტორიოგრაფიის კორიფემ, ივანე ჯავახიშვილმა, მაგრამ ამ მიმართულებით ბევრი რამ დარჩა გასაზრებელი. ვერ ვიტყვილით, რომ აღნიშნულის მხრივ საბჭოურმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, დაფუძნებულმა ე.წ. მარქის სტულ-ლენინურ ფილოსოფიაზე, დიდ წარმატებებს მიაღწია. რასაკვირველია, შესაბამის საისტორიო წყაროთა შესწავლისა და ცალკეული პრობლემების დამუშავების თვალსაზრისით, ბევრი რამ იქნა გაკეთებული. მაგრამ ზედაპირულმა, ყალბმა ზოგადსოციოლოგიურმა და ისტორიოსოფიულმა მიდგომებმა ამჯერადაც უარყოფითად იჩინა თავი. სხვათა შორის, 2006-08 წლებში დაპეტდილ ორტომეულის შესავალში აღნიშნული იყო, რომ ჩვენს შესაბამის ისტორიულ პროცესს განხილავდნენ ეკონომიკურ-სოციალური ფორმაციებისა და ცივილიზაციური მიდგომებით, ე.ი. ავთენტური მარქსიზმისა და არნოლდ ტონინბის კონცეფციების სინთეზის საფუძველზე. დიდად სამწუხაროდ, მსგავსი აღიარება ოდენ ლიტონ სიტყვებად დარჩა. ამჯერად ოთხტომეულში ამასაც კი ვერ ვხედავთ. თუმცა II ტომის 140-ე გვერდზე აღნიშნულია: „ზოგადქართული კულტურა, რომელიც დაფუძნებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს, იქრის მძღვარ სოციალურ-ეკონომიკურ ბაზისზე, 160-ე გვერდზე ფიგურირებს „პოლიტიკური ზედნაშენი“, 149-ზე — სანარმოო ძალები. ამასთანავე ვკითხულობთ იმასაც, რომ „ქართლის ცხოვრება“ იყო ფეოდალური საქართველოს ცივილიზაციის მნიშვნელოვანი იდეურ-პოლიტიკური ბაზისი (ტ. II, გვ.459). ასე რომ, მეთოდოლოგიის მხრივ, ოთხტომეულის მეორე და მესამე ტომებშიც სრულ უმნებას ვაწყდებით.

სიძნელეები კი უამრავი გახსლავთ, თუნდაც ფეოდალიზმის როგორც ისტორიული ეტაპის კანონმდებრების გაგებაში. საბჭოური თვალსაზრისით აღნიშნული ეკონომიკურ-სოციალური ფორმაცია საკმაოდ უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენდა ეკროპსა, აზასა და ყოველ შემთხვევაში ჩრდილოეთ აფრიკაში. რაკი მსგავსი თეორიული წარმოდგენა ისტორიულ სინამდვილეს ხშირად ადეკვატურად ვერ ასახავდა, დაისვა საკითხი ფეოდალიზმის ტიპოლოგიის შესახებ. ბევრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთის დიდ ქვეყნებში ე.წ. შუა საუკუნეების მანძილზე ადგილი ჰქონდა სახელმწიფოებრივ ფეოდალიზმის. თუ ასეა, მაშინ სწორი ყოფილა „მარადიული ფეოდალიზმის“ თვალსაზრისი, რასაც დასავლური საისტორიო აზროვნება დიდი ხნის წინათ ამტკიცებდა. ჩვენს სინამდვი-

ლეში წიგნ ბერძენიშვილი და გიორგი მელიქიშვილი აღიარებდნენ ბარბაროსულ ფეოდალიზმს.

აღნიშნული სიძნელისათვის თავი ვერ გაურთმევიათ ოთხტომეულის ავტორებსაც. წიგნში ვკითხულობთ: „ფეოდალიზმი სახელმწიფოებრივი ფორმითაც არსებობდა, როდესაც სრულიადაც არ იყო საჭირო და აუცილებელი მეთემეთავის პირადი თავისუფლების წართმევა და მათი საკუთრების ექსპორტირაცია (ტ. II, გვ. 164), თითქოს საქართველოში არსებული მთისა და ბარის ურთიერთობა ფეოდალიზმის ამავე ტოპს განასახიერებდა. III ტომში აღნიშნულია ფეოდალური ურთიერთობების ეკონომიკული მოდელი (გვ. 5). ისე, შესაბამის ადგილას ფეოდალიზმის ძირითადი წიშანთვისებანი სწორად, ე.წ. საღი აზრით არის გადმოცემული, მაგრამ არაა ხაზგასმული გარემოება, რომ საქართველოში, აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნისაგან განსხვავებით, ფეოდალიზმი ნამდვილად (სახელმწიფოებრივი და ბარბაროსულის ეპითეტების გარეშე) განვითარდა. ამ მომენტის გაგება-გააზრებით ქართულ მეცნიერებას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ეკონომიკულ მედიევისტიკაში. არ უნდა დაველოდოთ, რომ ამას აღასარებენ ეკროპელი ისტორიკოსები.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საკითხი გააზრებულ იქნეს ის ეკონომიკური დონე, რა პირობებშიც წარმოიქმნა და განვითარდა ქართული ფეოდალიზმი. სიმონ ჯანაშიას, ასვე წიგნ ბერძენიშვილის შეხედულებით, შესაბამის პერიოდში, IV-V საუკუნეებიდან მოკიდებული, ხდებოდა სანარმოო ძალების შემდგომი განვითარება. ცხადია, ამგვარი წარმოდგენა გამომდინარებდა არსებული საბჭოური საისტორიო მსოფლმხედველობიდან და არა ფაქტებიდან. მაგრამ საისტორიო ჭეშმარიტება გახლავთ, რომ დასავლეთ ეკროპის სამხრეთ, უზინ განვითარებულ ნაწილში ფეოდალიზმის თავდაპირველი განვითარება მოხდა სწორედ სანარმოო ძალების, რეგრესის, მათ შერის მოსახლეობის შემცირების, ძველი ცივილიზაციისა და ბარბაროსის სინთეზის საფულეოზე. ამ მხრივ, შემდგომ განვითარებას ადგილი ჰქონდა ისტორიის საპილოზე გამოსულ ახალ ხალხებში.

კითხვა ისმის: რა ვითარებას ვხედავთ ამ მხრივ ძველ საქართველოში (ქართლში, ეგრისში)? „საქართველოს ისტორიის ნარივევების“ მეორე ტომში სწორედ სანარმოო ძალების სტაგნაციისა და რეგრესზეც კი ლაპარაკა. რა თქმა უნდა, საკითხი უნდა წყდებოდეს წინასწარული, აპრილულ სქემის გარეშე — შესაბამისი სისტორიის წყნარებისა და არქეოლოგური მასალების შესწავლით. საკითხს სწორედ ასეთი მიდგომა მოჰყენდა ნათელს. ყოველ შემთხვევაში შეიძლებოდა დასაბუთებულიყო ისეთი სახლები, როგორიც არის წყლის წინასწარებისა და მეაბრეშუმების გავრცელება. ამათზე მხოლოდ XII საუკუნესთან დაკავშირებით არის საუბარი.

ოთხტომეულის II ტომში კვლავ ძველებული თვალსაზრისია გატარებული, საუბარია საზოგადოების შემდგომ ეკონომიკურ აღმავლობაზე. თუმცა უზინდელ, ოდენ ფრაზებით,

ასევე ფეოდალური რევოლუციის თვალსაზრისით, მსჯელობას აქ ვერ ვხვდებით. ამას ეთმობა თხრობა იმ პერიოდისა (VIII-X საუკუნეები), როდესაც საქართველოს გაერთიანება გახდა შესაძლებელი. იგივე მეორდება ე.წ. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდის მიმართაც, რომელსაც ჩვენში გაბატონებული აზრით XI-XII საუკუნეებში ჰქონდა ადგილი.

საერთოდ, ხომ უცილობელი ფაქტია, რომ ე.წ. ტრადიციულ საზოგადოებაში ნეოლითური რევოლუციისა და რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრცელების მაგალითების გამოკლებით, ეკონომიკის თვალსაჩინო აღმავლობის ძიება გაძნელებულია (ამას ხაზი გაუსვა გიორგი მელიქიშვილმა). ალნიშნულმა სიძნელემ, (ცხადია, თავი იჩინა IV-XII საუკუნეების საქართველოს მაგალითზეც).

გიორგი მელიქიშვილმავე თავის 1973 წელს გამოსულ წიგნში, რომელიც ქართული ფეოდალიზმის განვითარებასა და საქართველოს გაერთიანების საკითხს ხება, წამოაყენა ჩვენი აზრით, საფუძვლიანი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ XI-XII საუკუნეების საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის ტოტალური არსებობის ხელადებითი, კატეგორიული მტკიცება არსებით კორექტივს საჭიროებს. ასე იყო ქართლში, ტაო-კლარჯეთში, მაგრამ აფხაზეთსა და კახეთში, ავტორის აზრით, ეგრის-ლაზიკაშიც, მსგავსი სიტუაცია გამოირიცხებოდა. მართლაც, ყოველ შემთხვევაში, პირველ ორ მხარეში ადგილი ჰქონდა ე.წ. ადრეკლასობრივი საზოგადოებრივი არსებობას. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ აფხაზეთისა და შემდგომ მთელი დასავლეთ საქართველოს, ხოლო მეორე მხრივ, კახეთის (ფარავი მნიშვნელობით) გაერთიანება მოხდა ალნიშნულ საზოგადოებრივ საფეხურზე მდგომი აფხაზებისა და წნანარების აქტურობით. ცნობილია ისიც, თუ რა როლი ითამაშეს მათ ტაო-კლარჯეთთან ერთად, საქართველოს გაერთიანებაში. დღევანდელ ქართველ ისტორიკოსთა უმეტესობას კი მიაჩინა, რომ აღნიშნული დიდი მოვლენა უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური აღმავლობით იყო გამოწვეული. ზოგადი ფრაზების გარდა, კერძოდ, II ტრმში მითითებულია IX-X საუკუნეებში მძიმე გუთნის გავრცელება. მაგრამ იგანე ჯავახიშვილის აზრით, ამ ფაქტი XII ს-ში ჰქონდა ადგილი. ამასვე ადასტურებს აღმოსავლეთ საქართველოში გუთნეულთან დაკავშირებული ტერმინის „დღის მინის“ გაჩერა XIII საუკუნეში.

ალნიშნული მომენტი წიგნის ავტორების, მათ შორის, საერთო რედაქტორის, მხედველობის (უფრო სწორად: აზროვნების) მიღმა რჩება. მათ, ნიკო ბერძენიშვილის დარად, მტკიცედ სწავლი ისიც, რომ XII საუკუნიდან მოკიდებული საქართველო თითქმის მთელი ექვსი საუკუნის განმვლობაში გამოუვალ ჩიხში იმყოფებოდა. განა არ მოვიდა დრო, მით უმეტეს, გიორგი მელიქიშვილის ზემოაღნიშნული მცდელობის შემდგომ, რათა საქართველოს შესაბამისი ისტორიული სიტუაცია ახლებულად იქნას გაზრებული?

ყოველივე ზემოთქმული წარმოაჩენს აუცილებლობას იმისა, რომ მეთოდოლოგის (ნამდვილი!) გარეშე ისტორიულ პროცესი სწორად, გამართულად ვერ გაცნობიერდება. დიდად სამწუხაროდ, მთელი ათეული წლების განმავლობაში ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გაგება ქართველ ისტორიკოსებს, რუსი კოლეგებისაგან განსხვავებით, გაუჭირდათ...

ცხადია, ავტორები ვერ ახერხებენ ყოველთვის მისდიონ წინასწარ შემუშავებულ წარმოდგენებს და იძულებული

ხდებიან ანგარიში გაუწიონ ისტორიის ჯიუტ ფაქტებს. კერძოდ, ე.წ. დიდი ომის პერიოდს ეგრისში (ლაზიკაში) „არ შეიძლება შედეგად ეგრისის ეკონომიკური დაცემა და პოლიტიკური დასუსტება არ მოჰყოლოდა“ (ტომი II, გვ. 110). იგივეს ვიტყვით არაბობის დროინდელ ქართლის ვითარებაზეც: „არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც“ (იქვე, გვ. 135). სახელდობრ, ამ დროს აქ დაცარიელდა ვრცელი ადგილები, რომლებიც შემდგომში ყივჩაყებმა დაასახლეს (იქვე, გვ. 388). მეორე ტრმის 153-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ საერთოდ ფეოდალიზმის დროს შენიშნებამ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სუსტი განვითარება.

ლაპარაკობენ ქალაქების ფართოდ გავრცელებაზე ფეოდალურ საქართველოში და ამავდროულად თვით თბილისის მიმართაც კი წიგნში ასეა აღნიშნული: სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქალაქი ძირითადად თვითონ ამარაგებდა თავის მოსახლეობას (იქვე, გვ. 280). უფრო კონკრეტულად, „ქალაქში დიდი რაოდენობით იყო ბაღები, ბოსტნები, ის გარშემორტყმული იყო სასოფლო-სამეურნეო საგარეულებით. თბილისს ირგვლივ ერტყა მდიდარ მოქალაქეთა (!) ქალაქებარეთა სასახლეები, ვენახები, ბაღები, ბოსტნები, საძოვრები (იქვე). თუ ასე იყო თითქოსდა ასიათასიან (I ათასნეულის ბოლოს) თბილისში, როგორც ეს წიგნშია ნაგარაუდევი (იქვე), მაშინ საკითხავია თუ როგორი ქალაქი გახდათ თვით თბილისი, რომლის უზარმაზარი მოსახლეობა (იმ ეპოქის მასშტაბებით) სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თვითონვე იკავიყოფილებდა მოთხოვნილებებს. თუმცა ამავე გვერდზე აღნიშნული: „ასევე ახლომახლ სოფლებიდნ მრავალრიცხვანი და მრავალფეროვანი საქონლის შემოტანა“, მაგრამ ლოგიკას ამით მოევლება. მოსასალმებელია, რომ XII საუკუნის თბილისის ეკონომიკური სინამდვილის მიმართ ამგვარი აზრი არ ფიგურირებს.

ლოგიკასთან ასევე მწყრალად არის მტკიცება იმისა, რომ თუმცა დავით აღმაშენებლის ზეობისას მონეტების წინამდევრების შედგენილობით ხუთჯერ იკლო, მაგრამ მიუხედავად ამისა XII საუკუნის საქართველოში ფულის კურსი კვლავაც მტკიცე ყოფილი (ტ. II, გვ. 439). ფეოდალიზმის თითქოსდა უმაღლესი დონის მიღწევის მიუხედავად დავით IV „უძლური იყო გზა გადაედობა, დაემუხხუჭებინა ფეოდალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავება“ (იქვე, გვ. 373).

საქართველოს ხელახალ ცენტრალიზაციაზე, რაც გიორგი V ბრწყინვალის დროს მოხდა, ლაპარაკია III ტრმში. კარგია, რომ ავტორები ამ გარემოებას არ ხსნიან ეკონომიკური წინავლით, მაგრამ ეს ხომ ენინააღმდეგება საერთო ქართველ ისტორიკოსთა მოსაზრებას ქვეყნის გაერთიანებაში ეკონომიკური ფაქტორის გადამზუდებული მხილების თაობაზე?

თითქოს ფეოდალიზმი თავისი არსით გამორიცხავდა თვითმებურობელიბის არსებობას (აბსოლუტიზმი სხვაგვარ ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველზე განვითარდა), მაგრამ ავტორები იძულებული არიან ეს აღიარონ.

III ტრმში გიორგი სააკადის პრობლემა კვლავ უწინდელი (ნ. ბერძენიშვილისეული) თვალსაზრისით არის განხილული.

კვლავაც ვიმეორებთ, რომ ხშირად წიგნში არაა მითითებული გამოთქმული აზრების ავტორები, მას ამჯერადაც არ ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

განხილულ ტომებში სხვა მრავალ, უფრო ნაკლები ხასიათის შეცდომებსაც ვაწყდებით. ამათგან მხოლოდ ნაწილზე მოგახსენებთ. მეორე ტომში (ისევე, როგორც პირველში) ფიგურირებს „ტერასული სტრუქტურა“ (გვ. 7, 460), რაც გაუგებრობას იწვევს (წვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ტერიტორიული სტრუქტურა). ანდა რას უნდა ნიშნავდეს ცალკე პარაგრაფის ასეთი დასათაურება: „ეგრისის სამეფოს შინაური სტრუქტურა“ (გვ. 39)? თუ მე-17 გვერდზე ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად ნაჩვენებია 326 წელი, სხვაგან (იხ. გვ. 313) ასეთად აღნიშნულია IV საუკუნის 30-იანი წლები, ძველი ბერძნული ენის ოდავ მცოდნესათვისაც კი მიუტევებელია დანეროს (ან თქვას): „ლიმიტროფული ზონა“ (გვ. 62). ქართლი ენის დღეს დადგენილი ნორმის მიხედვით „მანცდამაინც არ შეიძლება იხმრებოდეს მნიშვნელობით, ყოველ შემთხვევაში“ (იხ. გვ. 75, 97, 137, 146). ფრიად უხერხულია „მეფის გვარი“ ვთქვათ ან დაუწეროთ (გვ. 146), უპრინი გახლავთ, „საგვარეულოს“ ხმარება. ასევე უხერხულია „ლოკალური თითქოს შეჯახება“ (გვ. 98), „მონისა და ტყვის ვაჭრობა“ (გვ. 99), ასევე თურქთა კაგანატის მიმართ „თურქეთის“ ხმარება (გვ. 119).

133-ე გვერდზე ვკითხულობთ: „კეისარი იუსტინიანე 705-711 წლებში ცდილობს დიდალი ფულით მოისყიდოს გადამთილი ალანები“. ჯერ ერთი, აქ მითითებულ უნდა იქნას იუსტინიანე II. მეორე, ნუთუ სხენებულ პირს სახელდობრ, აღნიშნულ 6 წელინას პერნდა მსგავსი მცდელობა? ალათ ავტორი ამ შემთხვევაში მისი ზეობის წლებს გულისხმობს. მაგრამ ცნობილი ფაქტია, რომ იუსტინიანე II 685-95 წლებში იყო იმპერატორი (შემდგომ იყო ხელმეორედ აღზევდა).

საერთოდ, უმეტეს შემთხვევებში, მათ შორის საქართველოში, მინაზე კერძო საკუთრება არ განვითარებულა პირველი ფორმით საზოგადოების დაშლის შედეგად, როგორც ეს არის აღნიშნული წიგნში (ტ. II, გვ. 145). 163-ე გვერდზეც ხომ ვკითხულობთ: „სავარაუდოა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში არსებული სათემო მინათმფლობელობა ქართლის ბარში განიხილებოდა როგორც სახელმწიფო საკუთრება. მით უმეტეს ასე უნდა ყოფილიყო მთასთან „დაკავშირებით“. თურმე ხანარეთი VI საუკუნიდან ნალკის საეპისკოპოსოში შედიოდა (გვ. 170). ცხადია, უნდა იყოს „წილების“ (ისე, რა შუაშია ხანარების გენეტიკა? გვ. 170). ასევე, „კევერტას“ მაგიერ (გვ. 173) უნდა იყოს კევერა. გაუგებარია მსჯელობა: „გართულდა და გაიზარდა მმართველობის ბიუროკრატიზმი და მისი აპარატი“ (გვ. 226). რა, განა შიდა ქართლი, და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველო დასავლეთ ნაწილს მხოლოდ სურამის უღელტეხილით უკავშირდებოდა? (გვ. 236).

275-ე გვერდზე შირვანი ქალაქთა შორის არის დასახელებული. 289-ე გვერდზე აღნიშნულია „ეპისტოლეთა წიგნები“ — უნდა იყოს „სამოციქულო“. სამართლებრივი კულტურის საკითხი, აგრეთვე სასამართლო შესაბამისი ეპოქის სულიერ კულტურაში განიხილება (გვ. 319-23). ასევე პოლიტიკური, მეფის ხელისუფლების იდეოლოგიის შემთხვევაშიც (გვ. 341-47). 323-ე გვერდზე გვხვდება „მანიქერობი“, რაც, ცხადია, არასწორია. ორივე ტომში ხან „სამხრეთ კავკასია“ და ხანაც „ამიერკავკასია“ იხსენიება (ბევრგან). რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვით, რომ წიგნში ხან „ალაბანეთია“ ნახმარი და ხან „ალვანეთი“. რასაკვირველია, აქ ენობრივი ნორმის (ასევე ქართული მსოფლმხედველობიდან

მომდინარე ტრადიციის) დაცვა გვმართებს „ამიერკავკასიის“ სასარგებლოდ. უხეში შეცდომაა „უბის მონასტერი“ (გვ. 330). წიგნში აღნიშნულია, რომ გრიგოლ ხანძთელის ცნობილი თხეულება დანერილია X საუკუნის შუა წლებში, კონკრეტულად — 950 წელს (გვ. 344). საბედნიეროდ, ვიცით ზუსტი თარიღი — 951 წელი. „ბულგარელების“ ნაცვლად (გვ. 190) უნდა იყოს „ბულგარები“. 340-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ საქართველო ადრეშუასაუკუნეებში პოლიტიკურად არ ყოფილა გაერთიანებული, მაგრამ ვახტანგ გორგასლის ზეობაზე თხრობისას საპირისპიროს ვეგბულობთ.

II ტომის 351-ე გვერდზე ფიგურირებს „ბიზანტიის იმპერატორი ნიკოლოზ III“, მაშინ, როდესაც ამგვარი სახელმწიფო დების იმპერატორებს ეს სახელმწიფო არ იცნობს. თუ გულისხმობდნენ „ნიკიფორები“, ამითაც საქმეს არაფერი არ ეშველება, რამეთუ მოცემულ კონტექსტში იმპერატორი რომანიზ III ზეობდა. რაკი სიტყვამ მოიტანა, ბიზანტიილი იმპერატორი, „თეოდოსის“ ფორმით კი არ უნდა მოვისხვიოთ (გვ. 28, 36), არამედ — „თეოდოსიოსით“. დედოფლის სახელი შორენა კი არ იყო (გვ. 351), არამედ — ბორენა.

კონკრეტულად რა ტერიტორიები უნდა იგულისხმებოდეს „ორისპირში“ (გვ. 359, ენობრივადაც რომ მოიკოჭლებს), „ქართლის ჭალაში“ (გვ. 362), „ქსნისპირა ადგილებში“ (გვ. 364). რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში „წიგნის მკითხველები“ (გვ. 377)? ჩანს, აქ ნაგულისხმევია „მედავითნები“. დადაცად საეჭვოა, რომ ჩვენს „ოქროს ხანაში“ გრემში „უმალესი სწავლების ცენტრი“, აკადემია არსებულიყოს (გვ. 449). უმართებულობა გამოთქმა, „საქრისტიანო ლიტერატურა“ (გვ. 457), „კონცეპტურად“ (გვ. 459) კონცეპტუალურის მაგიერ. როგორ უნდა დაზუსტდეს „ტექნიკა და მექანიკა“ (ტ. III, გვ. 5)? მცდარია აზრი, თითქოს თურქებმა „დაიმორჩილეს ასტრასინი“ (იქვე, გვ. 7). რაკი „ხვარაზმელებს“ ვხმარობთ (გვ. 26, 28, 30), მაშინ ხომ „ხვარაზმშა-ჰიც“ (და არა ხორცმშაჰი) უნდა ვიხმაროთ.

III ტომის 53-ე გვერდზე ქართველთა ერთ-ერთი ბრძოლის ადგილად იხსენიება გაურკვეველი მდებარეობის „შინდარის გორა“. მაგრამ ხომ გარკვეულია, რომ ეს მოხდა ან თანამედროვე ხაშურში მდებარე ყოფილი სოფელი შინდარა. უხერხულია გამოთქმა, რომ კასტელის ქართული გამოცემა (ბეჭან გიორგაძისული) „1977 წლით თარიღდება“ (იქვე, გვ. 282). თუ კახეთის მეფეების სახელწიფოება ხშირად „ლევანის“ ფორმით ფიგურირებს, 280-ე გვერდზე „ლევანია“. ასევე უხერხულია „ქართლ-კახელთა მეფეები“ (გვ. 163). აშკარა გაზიადება გახლავთ თქმა მიმსა, რომ XVIII საუკუნეში „საქართველოს მეურნეობა ზოგჯერ მონინავე ქვეყნებსაც კი უტოლდებოდა“ (გვ. 394).

395-ე გვერდზე ნახსენებია „მჭადიჯვარის (ნიახურის)“ ომი. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ მჭადიჯვარის (თითქოსდა დუშების მიღამოებში) ბრძოლას (არა ომს!) ადგილი ჰქონდა 1754 წელს და იგი დროითაც და სივრცითაც დამორჩილი იყო ნიახურის ბრძოლიდან. თანაც მკითხველი ვერ გაიგებს თუ ეს უკანასკნელი სახელდიდობრ 1800 თუ 1801 წელს მოხდა. XVIII საუკუნის კულტურაზე თხრობისას ლაპარაკია „სამართლებრივ-პოლიტიკურ აზრზეც“ (გვ. 491-92). წიგნში (II ტომში) ვხვდებით საბჭოურ ევფემიზმსაც „დალესტურული ფეოდალების“ სახით და ა.შ. ყოველ შემთვევაში აღნიშნული სახის შეცდომებს მაინც, სათანადო რედაქტირებისას, ადგილად მოვლებიდა?

ასეთი გახლავთ ჩვენეული მოსაზრებანი „საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის“ ॥ და III ტომების თაობაზე. ღირს გახსნებად, რომ თავის დროზე (1970-80 წწ.) „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის გამოსვლისას რამდენიმე ტომი მაინც იქცა ფართო განხილვის საგნად. ამჟამად კი ამას ვერ ვხედავთ. როგორც უნდა იყოს, ავტორებს შეუძლიათ გვიპასუხონ ცნობილი ლათინური გამოთქმით: *Feci quod potui, faciant meliora potentes* (გავაკეთე რაც შემეძლო, ვისაც შეუძლია, უკეთესად გააკეთოს). ასე რომ, საქმე იდენ წიგნის კრიტიკული განხილვა როდით, არამედ მასზე უკეთესის დაწერა, რაც ყოველ შემთხვევაში ჩვენი ისტორიული პროცესის ცალკეული პრობლემების ახლებური გაფეხ-გაზრებით მაინც უნდა დაიწყოს.

### ჩვენი ვოსტი

**ბატონი როსტომ,**  
სულ ახლახან გამომცემლობამ — „სვეტი“ — გამოსცა ტერენტი გრანტლისადმი მიძღვნილი კრებული „დიდი ტერენტი გრანელი“. რომელშიც ორმოცხვე მეტი ავტორია წარმოდგენილი. სარჩევში მითითებული არ არის, მაგრამ 315-ე გვერდზე დაბეჭდილია, ასევე თავის დროზე ვერდაფასებული შესანიშნავი პოეტისა და მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის (გარდაცვალების შემდეგ) ესმა ონიანის ტექსტი, რომელიც ასე-თი სახით არ არის ავტორისეული.

საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ტერენტი გრანელი მიჩუმათებული იყო, ესმა ონიანმა შესანიშნავი ესეი და ლექსი „ტერენტი გრანელი“ მიუძღვნა მას. კრებულის ავტორებს თუ სურდათ ესეის დაბეჭდვა, ტექსტი, რასაკვირველია, უცვლელად უნდა დაეტოვებინათ. ამის ნაცვლად კრებულში დაბეჭდილია ამ ესეიდან თვითონებურად ამოკრეფილი და გადა-ადგილებული ფრაგმენტებისა და ცალკეული ფრაზების, შემცვლელი სიტყვების კომბინაციით შეკრინებული ტექსტი, რამაც შეცვალა და დაამახინჯა ესეის სახეც და სილამაზეც. სიტყვა „ძალმოსილება“ შეცვლილია სიტყვით „ძალმომრება“ (2-ჯერ). აზრს ცვლის აგრეთვე სიტყვა „დაფუძნებულობა“ „დაუფუძნებულობის“ ნაცვლად. კორექტული შეცდომების რაოდენობამ კი ყოველგვი მოლოდინს გადააჭარბა: „უგრძნობი არესი“, „ეფუძნება“, „შემოქმედლებითა“, „ნდახვა — გახსენება“ და სხვა.

ეს არის უნდა ართვო ჩარევა მწერლის ტექსტში.

აქ დარღვეულია ის საავტორო უფლება, რომლის დარღვევის თაობაზე თვითონ შემდგენლები გვაფრთხილებენ წიგნის ბოლო გვერდზე: „საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით“.

ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო ტერენტი გრანტლისადმი მიძღვნილ წიგნში, ასეთი რამ არ უნდა ეკადრებინათ შესანიშნავი პოეტისა და მხატვრის ეს-მა ონიანისათვისაც.

### ირინა მირიანი

### ნინო ვახანია

## უფალი — უცილავ მესამედ

პროზაიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, ლექტორი — ასე გავაცნობს მოკლე წინათქმა კობა ცხაკაიას, ავტორს უზრნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-14-15 ნომრებში დაბეჭდილი პიესისა „3=2+1“. ეს „არითმეტიკული“ სათაური იღნავ კი შეაცბუნებს და დააპნევს პოეტურ სათაურებს მიჩვეულ მეითხველს, თუმცა ინტერესაც უფრო გაუღვიძებს. რას უნდა ნიშნავდეს და რაში დასჭირდა ავტორს 3=. პიესა სამი ნაწილისგან, სამი სცენისგან შედგება, თითოეულ სურათში (სცენაში) სამი პერსონაჟი მონაწილეობს; მეორე და მესამე გამოსვლებში (ე.ო. ყოველ მომდევნოში) ჩვენთვის უკვე ნაცნობ რო პერსონაჟს მესამე, ჯერაც უცნობი ემატება ხოლმე. მიმიხვდებით — ამ გამოთვლა-ანგარიშისკენ სათაურმა მიბიძებს; ჩაგელიმებათ კიდეც — რა გულტბრყვილო გაგებაა მწერლის ჩანაფიქრისა. მაგრამ ეს ხომ არც არის საერთოდ რაიმეს ახსნის მცდელობაც კი. შემოქმედების იღუმალებასთან ან რა მოსატანა მათემატიკური სიცხადე და სიზუსტე? აბა მაში იქნებ სამებაზე მიგვანიშნებს ავტორი, ერთარსებაზე, იქნებ მისტიკური ან რელიგიური შეფერილობისაა ეს 2+1. აკე უფალმა ბრძანა, სადაც ორია ჩემი სახელით, მეც მათთან ვარო... ვნახოთ.

მოქმედება ყოფითი, ყოველდღიური, ჩვეულებრივი ამბით იწყება. თხუთმეტი წლის გოგონა კარაქიან პურს ჭამს, როცა ოთახში დედამისი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი შემოვათავის ახალ მამაკაცთან ერთად (მამაკაცი რა, 16-18 წლის ბიჭია). ეს შინდაბრუნება, მაცაცოს (გოგონას) დამალვა და წყვილის საუბარი ეგბ მთლად ჩვეულებრივი მოვლენა, ჩვენი ყოფის მახასიათებელი დეტალი და სიმბოლო არც იყოს, მაგრამ დრამატიზმისა და მითუმეტეს ტრაგიზმისაგან ძალიან შორსაა. აი შემდეგ კი ძაბავს ავტორი სიტუაციას და მისი ნებით კინალამ ინცესტის შემსწრენი ვხდებათ. კიდევ კარგი — კინალამ. მხარზე ხალით იცნო დედამ შევლი, რომელიც დაბადების მერე არ ენახა. ცნობილია, XX საუკუნის ჩვენს მწერლობაში ინცესტის ჩვენება საბჭოთა წყობილების ამაზრზენ ბოროტებაზე მინიშნებას ისახავდა მიზნად. ის სისტემა, საბედნიეროდ, კარგა ხანია აღარ არსებობს, მაგრამ დაუბრუნდა კი გაუკულმართებულ, ღმერთსმოკლებულ საზოგადოებას იმედი, რწმენა, სასოება, სიყვარული? აჭრილი, არეული, ასტურდული ყოფიერების ანარეკლია ეს პასაჟი კობა ცხაკაიას დრამატურგიულ ნანარმოებში. თუმცა, რაკი შეზარავ ტრაგედიას გადავრჩით, იქვე სინათლის, სინმინდის, ლეთის იმედიც ჩნდება. შემთხვევით არ არის ნახსენები სიტყვა „სასო“. ვიგებთ, რომ წლების წინათ ამ სიტყვამ დიდი როლი ითამაშა ქალის ცხოვრებაში. როცა იგი და ბიჭის მამა ექვებდნენ პასუხს შეკითხვაზე: „რა გვესაჭიროება ბედნერებისათვის?“ მოულოდნელად, მარჩიელობისას, ნეიმანის ლექსიკონში, 361-ე გვერდზე გადააწყდნენ სიტყვას „სასო — რწმენა“. ასეთი შემთხვევითობებით გვესაუბრება ხოლმე სამყარო, მოსალოდნელი მოულოდნელობებით მიგვანიშნებს უზენაესი შემოქმედი სავალ გზაზე. მხოლოდ ჩვენ, მის

ენას გადაჩეულებმა, შეიძლება ვერ გავიგოთ, ვერ მივხვდეთ, ვერ დავინახოთ ცხადი მინიშნებანი.

ვინ გვეტყვის, ვინ აგვისტის, ვინ გაგვაგებინებს, რა არის კეთილი და რა — ბოროტი, რა არის სიმართლე და რა — სიცრუე, რა არის კარგი და რა — ცუდი. ერთისათვის სასარგებლო და სასიკეთო მეორისათვის შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. ამიტომ უწევს ადამიანს მუდამ ფხიზლად ყოფნა („ასე არ დამჭირდებოდა სულ მუდამ ყოფნა ფხიზლადაო“, — ოცნებობდა ვაჟა). ამ მრავალგვარ, მრავალწნახნაგა სამყაროში არაფერია ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, განსაზღვრული და შეუცვლელი. სიმართლეში შეიძლება დაარღიოს სიცრუეს სიმშვიდე და მღელვარება რაა, ტრაგედიაც დაატრიალოს. რთული, არა მარტო ფილოსოფიური, არამედ ცხოვრებისეული საკითხების (ცხოვრების დეტალების, როგორც პიესაშია) შემეცნებას იწყებს ახალგაზრდა თორნიკე. იგი ყველა შეკითხვაზე ამომზურავ პასუხს მოელის, მაგრამ მამას, სასულიერო პირს, მამა დოდოს, თავადაც ეჭვითა და გაურკვევლობით აღვსილს, ერთადერთი პასუხი აქვს: „დმერთი უნდა ირმშუნ და ზიდო ჯვარივით“. შეუძლებელია, რომ ყველაფერზე გარკვეული, ზუსტი, უცდომელი პასუხი ჰქონდეს ვინმეს, მაგრამ ისიც შეუძლებელია, რომ ქვეყნად არ არსებობდეს ნამდვილი, ჭრმარიტი, უცვლელი ფასეულობაზე და საყოველთაო ფარდობითობასა და მოძრაობაში, სამყაროს ღელვატორტმანში რაიმე მყარი საყრდენი, ხელჩასაჭიდი არ არსებობდეს.

ამბის ლოგიკური განვითარება მოითხოვს, ისევ აღმოჩნდეს თორნიკე განსაცდელის წინაშე.

დედასთან სარეცლის გაზიარებას გადარჩენილი ახლა მამას სთხოვს პასუხს და მოსაცალავადაც იმეტებს (ანტიკური ტრაგედიების მიხედვით მამის მოკვლას უნდა მოჰყევს დედის ცოლად შერთვა). ვასხენოთ ახლა აქ ფრონიდი და გავყვეთ ფსიქოანალიზის გზას? მე მაინც მგონია, რომ ავტორის სურვილია, სატირულად წარმოსახოს ჩვენი დრო, მოდერნისტული ნიშნებით აღეჭდოს ნანარმოები და მკითხველთან ერთად ეძებოს ხსნა ანუ ღმერთი. ან იქნებ არც ჰქონია ასეთი სურვილი?

პიესაში დამაჯერებლადაა დახატული ხასიათები, პერსონაჟები, სიტუაციები, რაც კარგი ნანარმოებისთვის სრულიად საემარისია. მე ვიზიარებ აზრს, რომ მხატვრული ნანარმოები მანამ არის მშვენიერი, სანამ იდუმალებითაა სავსე და ახსნა-გაანალიზება მას რაღაც ხიბლს აუცილებლად აკლებს. მაგრამ თუ მოკიდებ ამ საქმეს ხელს, ახსნა, სასურველია, იყოს ნათელი და გასაგები და არა ბუნდოვანი და მხოლოდ მინიშნებათა შემცველი. და ახლა მაშინებს ჩემეული აღქმა პიესისა — ვაითუ ცალსახად ვხედავ და სტრიქონებს შორის ნაგულისხმევ მრავალშრიან სათქმელს ვერ ვამ-

ჩნევ... მაგრამ მამშვიდებს ფიქრი, რომ ქვეყნად სრულყოფილი არაფერია და მითუმეტეს ამ პატარა გამოხმაურებას ვერ დავაკისრებთ ამხელა მისიას. ამიტომ განვაგრძობ.

თორნიკეს დედა, ოლიკო, მედავია და საარსებო ფულს სწორედ ამით, სხეულის გაყიდვით შოულობს. ამ საქმიანობას აშკარად, უსირცხვილოდ, თვით საკუთარი, წამოზრდილი გოგონასგან დაუფარავადაც ეწევა. ზედმეტ სახელად კლეოპატრას ეძახიან და თორნიკე მისთვის ორმოცდამერთე მამაკაც უნდა გახდეს (ცინიკურად კიდეც ითვლის კაცების რაოდენობას). ასეთი ქალისგან რა ზნეობას, რის სულიერ სიფაქიზებს, რომელ

სინაზესა და სიყვარულს უნდა ელოდეს ადამიანი? თავით ფეხებამდე წუმპეშია ჩაფლული და ეს არც ანუსებს. ისე ჩანს, თითქოს სიამოვნებს კიდეც... მაგრამ სწორედ მან, უზინე ქალმა უნდა გაგვახსენოს, რომ არსებობს ხელშუხებელი სიწმინდები: დედაშვილობა და სიყვარული. ნძების წინათ შეუყვარდა მამაკაცი, რომელთანაც მხოლოდ გარიგება, ხელშეკრულება აკავშირებდა — გაუჩინა თორნიკე, სამაგიერდ მიიღო დაპირებული თანხა და ამის შემდეგ სამუდამოდ უნდა დაევინებონა ერთიც და მეორეც. თორნიკეს სხვა დედა ზრდიდა, რომელსაც არ მოუკლია მისთვის სითბო და ალერს. შვილმაც სიყვარულით გადაუხადა სამაგიერო. სხვათა შორის, სულისშემძვრელად განიცადა დედის გარდაცვალება. ოლიკომ კი თურმე ვერც თავისი პირველი სიყვარული დაივინება და ვერც უფროსი შეიღილი. ძნელბედობის უამს ის კოლირებული სიტყვა „სასო“ ახსენდებოდა, მან და თორნიკეს მამამ ერთად რომ მონახეს ლექსიკონში. ამ გაუცნობიერებელმა რწმენამ იხსნა,

დმერთმა არ განირა და შვილი აპოვნინა. მიუხედავად უხეში, ვულგარული ქცევისა და მეტყველებისა, იგი მაინც ახერხებს დედური სინაზისა და ზრუნვის გამოვლენას (ფატმანიც ხომ „ედედა“ თავისიგან შეყვარებულ ავთანდილს), ეპიზოდურად, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც. ოღონდ ეს ისეთი ფრაგმენტია, მომავლის წარმოსადგენად და დროის გასამთლიანებლად რომ გიბიძებს, განგანყობს ადამიანს და იმედის საფუძველსაც გიქმნის. მკითხველს თავიდან აძრნუნებს ოლიკოს აღვირხესნილობა, მერე კი, თანადათან, როცა მის სახეზე ხნ სიხარული, ხნ აღტაცება, ხნ სიყვარული და ხნაც ბავშვური გულუბრყვილობა გამოისახება, სიმპათითა და თანაგრძნობით იმსჭვალება ამ პერსონაჟის მიმართ.

პიესის მთავარი მოქმედი პირი მამა დოდოა — სუფთა, ბრძენი, კეთილი, სათნო, ლამის სიცრცხლეშვივე წმინდანად აღიარებული მღვდელი. არადა, ისიც ადამიანია, მასაც მრავალთა მსგავსად, ზიგზაგებით უვლია, საბოლოოდ კი იქამდე მისულა, რომ განწმენდილა და ამაღლებულა მაინცდამაინც მას უნდა დაუპირისპირდეს შეიღილი, აუჯანყდეს, იარაღიც შემართოს მის წინააღმდეგ („უძლები შვილის“ პარადიგმა). გა-



კობა ცხაკაია

უძლებს მამა? მონახავს შვილთან ურთიერთობაში ოქროს შეუალედს? ილიას პეტრესი არ იყოს („სარჩობელაზედ“), მასაც შეეძლო ეკითხა, მე რა შეუაში ვარო. ერთი მხრივ, მამის შეგონებანი გაღიზიანებული თორნიკესთვის მხოლოდ ლაქ-ლაქია, მეორე მხრივ, ძალით, უხეშად შვილის დამორჩილების მცდელობა შესაძლოა საბედისნეროდ დამთავრდეს ორივეს-თვის. მამა დოდო სასულიერო პირიც რომ არ იყოს, ბუნებით მოძღვარია, მასწავლებელი, დიდი ფსიქოლოგი. შვილთან კა-მათისას თავი ლირსეულად უჭირავს, შესაშურ ტაქტს ამჟ-ლავნებს, ზუსტად თავის დროზე არც მოზომილად დამოძღვ-რს აკლებს და ისევ ზუსტად საჭირო დროს — არც სილის განვნის ერიდება. არ არის ეს მღვდელი ცხოვრებას მოწვე-ტილი, საზოგადოებისაგან განზიე გამდგარი, ოდენ ლოცვებ-ში ჩაფლული და მუდამ სამოთხის მომლოდინე. მას მიწაზე მყარად უდგას ფეხი — ყველანაირი ხერხითა და მეთოდით ცდილობს ადამიანთა სულების გადარჩენას. არაფერზე იტყ-ვის, რომ მისი საჯემ არ არის, მას არ ეხება. ამ თვისებებით ერთგვარად ილიას „გლაბის ნაამბობის“ მღვდელსაც გვაგო-ნებს (მიუხედავად მათ შორის დიდი განსხვავებისა).

სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მნიშ-ვნელოვანი ეპიზოდი ბოლო, მესამე სცენაშია აღნიერილი. მამა დოდო დიდი ძალისხმეულით მოახერხებს თვითმკვლელობაზე ხელი აადებინოს ორმოციოდე წლის ქალს. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ეს ქალი ლტოლვილია, სექტანტი და იმედი აქვს, სექტა დაეხმარება უდედოდ დარჩე-ნილ ბავშვებს... მთავარი ისა, რომ მასთან სახურავზე ასულ მღვდელს უწევს თამაში, გარდაქმნა, იმის ლაპარაკი, რისიც არ სჯერა, თავის იმად მოჩვენება, რაც არ არის. ისევ ბენვის სიდზე გადის მამა დოდო, როგორც შვილთან საუბრის დროს. ერთი ნაბჭვის გადაცდომა ან იქთ, ან აქეთ და წყალში ჩაეყ-რება ყველა ცდა. ამაღლებული და ღვთის სათხო საუბარი ვერ შეაცვლევინებს სექტანტ ეკლატონს გადაწყვეტილებას, რაიმეს მოთხოვნა და ბრძანება ხომ სრულიად უსარგებლოა ასეთ დროს და მამა დოდოც იძულებულია, გულგრილ, ეგო-ისტ, მატყუარა, გაიძევრა კაცად მოაჩვენოს თავი. ოჯახის, შვილის შეურაცხყოფით დაემუქრის, იარაღიც გამოიყონს (როგორც გაირკვევა, სათამაშო), ოლონდ თუ გამუდავნდა მი-სი სიყალე, ქალს ვეღარაფერი იხსნის. ღვთის ნებითა და შე-ნევნით შეძლო მამა დოდომ შეუძლებელი. ფსიქოლოგის სი-ზუსტით, მოძღვრის მაღლითაა აღტეჭდილი მისი ყოველი სიტყვა. ადამიანის სიყვარულია მოახერხა ბოროტების სიკე-თედ, სიცრუის სიმართლედ, ავის კარგად ქცევა. გადარჩა ნი-ნოს დედა — ფიზიკურადაც და სულიერადაც. ასე გაიცნო თორნიკები „ცხოვრების დეტალებზე“, რომელთა მსვლელობა-ში თვითონაც მიიღო მცირეოდენი მონაწილეობა.

ჰაგიოგრაფიულ და საერთოდ, ღვთისმაძიებლობის თე-მაზე დაწერილ ნანარმოებთაგან ეს პიესა მკვეთრად განსხ-ვავდება თავისი სტილით, თუმცა მიზანი შემოქმედებისა ხომ მუდამ ერთი და იგივე ყოფილა. ოთარ ჩხეიძე ბრძანებ-და: „რო უნდა შეგძრას ხელოვნებაში, ესაა უძველესი და მა-რადიული, რახან რო ესაა საფუძველი სულიერი განწმენდი-სა და ამაღლებისა“, — და ხელოვნების იდეალსაც ამაღლე-ბასა და ამაღლებულისადმი სწრაფვაში ხედავდა.

მამა დოდოს ლოცვა ანათებს პიესის ფინალს. და თუ მკითხველს თანაზიარობის განცდა გაუჩნდება, უფლის სიტყვებიც ცხადად ჩაესმის — სადაც ორია ჩემი სახელით, მეც მათ შორის ვარ.

## სოფო წულაია

# „და ხერხემალზე გადათვლილი ეალები“

(პატო ჯავახიშვილის „რღვევა“)

პოეზია ბერძნულად ნიშნავს „ვქმნი“, ანუ — „ვარ შემოქ-მედი“, ვქმნი სამყაროს, სადაც საგნებს, გრძნობებს, მოვლე-ნებს ჩემეული წერიგის მიხედვით ვალაგებ, ჩემეული ინ-ტერპრეტაციით ვუკავშირებ და ვმიჯდნავ ერთმანეთისგან და რადგან მაქვს სრულ თავისუფლება, ზოგჯერ ვპეტავ, ცოტა წავითამაში და ყველაფერი ერთმანეთში ისე ავურიო, სიუჟეტი იმ რეცეპტით „გამოვაცხო“, ანუ სიტყვებისა და საგნების ის თანმიმდევრობა გამოიყენო, რომელთა ჯამი რეალურ ცხოვრებაში არაფერს უდრის, პოეზიაში კი გარკ-ვეული ძალით (რაში მდგომარეობს ამ ძალის არის, რთული განსასაზღვრია), თანაგნუცდას, უმოციას იწვევს, გარკვეულ რაციონალურ ასოციაციებსაც, რადგან პოეზია მხოლოდ მწერლის შინაგანი სამყაროს გამოხატულება და ადამიანის სურვილი კი არ არის, დაამტკიცოს, რომ საკუთარ სამყარო-ში ყველაფერ შეუძლია დაუშვას, არამედ, გარკვეული აზ-რის ერთგვარი ხორცებსამა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში, რაც უნდა აბსურდულ და არალოგიკურ ტექსტთან გვქონ-დეს საქმე, ინტუიციურად თუ ტექსტის არქიტექტონიკადან გამომდინარე, საყოველთაოდ მიღებული სიმბოლოების გა-შიფრის ხარჯზე თუ პოეტის მიახლოებითი ფინქტიპის შექმნის საშუალებით, ვხვდებით. ზოგჯერ შეიძლება არას-წორი ინტერპრეტაცია მივცეთ ამა თუ იმ შინაარსის ფორ-მას, მაგრამ ჩემი აზრით, არ არსებობს პოეზია მხოლოდ რიტმისა, რითმასა და მეტრში, ლექსი რაც უნდა დემატერია-ლიზებული, დაფანტული, ფორმაზე ორიენტირებული და ნარატივდაკარგული იყოს, ატარებს გარკვეულ აზრს, თუნ-დაც აზრს იმისა, რომ არაფერი გამოხატოს, უბრალოდ იარ-სებოს ფორმასა და სივრცეში... ამდენად, მოსაზრება, რომ პოეზია პროზის ენაზე არ ითარგმნება, მის შინაარსზე საუ-ბარი არასწორი მიღვომაა და მწერლისთვის არ შეიძლება კითხვის დასმა, რისი თქმა სურდა, არასწორად მიმაჩნია. ბუ-ნებრივია, არსებობს შედარებით რთული და მარტივი ტექს-ტები, მაგრამ, სავარაუდოდ, სამყაროს შემოქმედის არსა და კანონზომიერებაში ჩანვდომასა რთული და არა პოეტისა, რომელსაც ისევე სტკივა და განიცდის, როგორც თითოეუ-ლი ჩვენებანი. ბუნებრივია ისიც, რომ ალქმა ინდივიდუალუ-რია, ემოციები — განსხვავებული. მაგალითისთვის: ბევრს ხიბავს პოეტიკა, ბევრსაც ალიზიანებს, ასე რომ, შეთან-მების მიღწევა რთულიცაა და ნაკლებ მნიშვნელოვანიც, მთავარია, არ ვგქონდეს სკეპტიკური დამოკიდებულება, რომ ტექსტიში ისევე შეიძლება „დაიკარგო“, როგორც უცხო ენის სიტყვებში იკარგები, მაშინ, როდესაც არცერთი სიტყ-ვა არ არის შენთვის ნაცნობი და მათი ვერბალური მოსმენის

თუ ვიზუალური აღქმის დროს არ იწვევს საგნებისა თუ მოვლენების ასოციაციებს, უბრალოდ გესმის ან ხედაც.

ეს შესაძლი ერთგარი თავის გამართლებაცაა, რადგან მინდა ავხსნა, როგორ აღვიქვი კატო ჯავახიშვილის ლექსი “რღვევა” და როგორ დაუჭერებდებარე იგი გარკვეულ ტექსტს, რომლის დაქმარებითაც ჩემთვის აღქმა მთლიანობაში მოხდა და არა ფრაგმენტულად — ცალკეულ ფრაზებზე დაკვირვებით. შევეცდები ავხსნა, რა იყოს ეს „გასაღები“. ბარებ იმასაც დავამატებ, რომ არ მაქს ამბიცია, ზუსტად გამოვიცნო ავტორის აზრები და განცდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ერთი თაობისა ვართ და, შესაძლოა, ბევრი რამ საერთოც იყოს ჩვენს სატკივრში. მინდა აქცენტი გავაკეთო იმაზე, რამაც ჩემთვის ლექსის წაკითხვა ბევრად სასიამოვნო და საინტერესო გახადა; შედარებით მარტივით დავიწყებ — რაზეა, ჩემი აზრით, ლექსი: „რღვევაში“ აღწერილია ადამიანის რღვევის, მისი მოლექულებად და ატომებად დაშლის წინა პროცესი. როგორც ვიცით, მყარი სხეულების დაშლა საგნების დარბილებით, მათთვის მყარი ფორმის დაკარგვით იწყება. ამ დროს სხეულები ელასტიკურები, წელვადები, დაგრაგნილები, გადაგრეხილები, სახენაშლილები არიან, დარბილებული სხეულისგან კი ნებისმიერი რამ შეიძლება გამოძერნო. აზრი კონცეპტუალურადაა გაშლილი რამდენიმე სტრიქონში, მაგრამ ყველაზე მძაფრად, ალბათ, აქ:



კატო ჯავახიშვილი

რღვევაა, ჩემო.

ფეხქვეშ მინა ისე რბილია,  
ჰლასტელინივით ამეკრო და თავადვე ვძერწავ,  
ჩენი გვამებით ამოვსებულ გამოქვაბულებს,  
სადაც ეს მუნჯი მოლოდინი ჭრაქივით ბჟუჟავს,  
გარეთ ქარები მოგონებებს კვლავ აქაფებრნ.  
შენ სულ გგონია, რომ ტერფებით ჩამითრევს მინა  
მე კვლავ ვაცილებ შიშველ ტერფებს პირგახსნილ  
დღეებს

...

ხელებგაშლილი.  
რღვევაა, ჩემო.

ამ ყველაფერის საკუთარი სიტყვებით ფორმულირების, საკუთარი ინტერპრეტაციით გაზრდების შემდეგ, ჩნდება მეორე ხაზი ნარატივში, რომელსაც შენით თვითონ თხზავ და რომელიც პირველისგან ლოგიკურად გამომდინარებს: როდის იწყება საგნების დაშლა, დარბილება, რღვევა? როცა ორი ადამიანი (საგანი) ერთ მთლიანობად გადაქცევისკენ ისწრაფის. მყარი სხეულები ხომ თავიანთი სიხისტის გამო ერთმანეთში ძალიან იშვიათად აღწევნენ? (როგორც წესი, მათ რეაქციაში შესვლას დიდი დრო სჭირდება). ისიც ლოგიკურია, რომ დაშლის, ანუ გარდაქმნის პროცესი საკმოად მტკიცეულია, როგორც წესი, ამ დროს საგნის გამოწვა, გამობრძმედა, ზედმეტი ნივთიერებებისგან (ემოციებისა და ფიქრებისგან)

გათავისუფლება, ანუ მისი გარდაქმნა მიმდინარეობს, ამ დროს, შესაძლოა, საგანმა (ადამიანმა) დაკარგოს თავისი პირველადი სახე, გარეგნული მშვენიერება... და როგორც წესი, ვინც სუსტია, ის „თვალებს ხუჭავს“, რომ არ უყუროს, როგორ იცვლება, რბილდება, „მახინჯდება“ მეორე.

შენ სულ გგონია, რომ სხეულით ჩამითრევს მინა და ხელს იფარებ თვალებზე, რომ არ დაინახო, როგორ ვაცილებ შიშველ ტერფებს პირგახსნილ

დღეებს,  
ტანზე ფერშეცვლილ მოგონებებს  
რომ აქაფებენ  
და ამ მუხლამდე გადარჩილი,  
დასვრილი კაბით,  
ალაგ გახსნილი თასმებით და  
საღილებით,  
ყველა მდედრისგან წაუბილნავ  
ადგილებს ვეძებ.

მერე კი, როცა პლასტელინივით დარბილებული სხეულები ერთმანეთში შეირევა, იმდენად, რომ მათი ცალკალე გადარჩევა (როგორც ირჩევა იფქლი და ღვარძლი) წარმოუდგენელია, იმიტომ რომ, თუ ღვარძლმა იფქლისგან ვერაფერი აიღო, ვერაფრით შეერთო მას, აქ ერთს მეორის „სუნთქვა დაბრალდება“, იმ მიზეზით, რომ საქმე ორ კი არა, ერთ არსებასთან გვაქვს, რომელმაც „უსინდისოდ“ მიისაკუთრა ორივეს თვისებები:

ერთხელ, იცოდე ჩემი სუნთქვა დაგბრალდება და  
პირგახსნილ სევდას ვერასოდეს ვერ შეიხორცებ.

მინდა ისიც ალვინშნო, რითი ვიხელმძღვანელე, როცა ლექსი ასე ალვიქვი, ანუ აზრთა ასეთ სისტემას დაუქემდებარე: გამახსენდა ერთ-ერთი ფსიქოლოგის მოსაზრება, რომელიც შეეცადა აეხსნა, რატომ არბილებდა საღვადორ დალი თავის ნახატებში საგნებს: მისი აზრით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ შემოქმედს დარბილებული საგნების საკუთარ სხეულში მიღება, ყველაფრის „შექმა“ სურდა და ეს განპირობებული იყო პირადი ტრაგედიით (ადრეულ ასაკში ტყუბისცალ ძმის დაკარგვით), ამიტომაც ტკივილის კომპენსირება საგნების „შექმით“ მოხდა, ანუ შემოქმედი სინაკულის შევსებას ამ სახით შეეცადა.

მე დავამატებდი: მას უნდოდა უფრო ღრმად ჩაწედომიდა თითოეული საგნის არსა და მნიშვნელობას, საკუთარ სხეულში მიეღო, შეეგრძნო და მერე გამოხეატა საგნები.

ორი ადამიანის ერთმანეთში გავლაც, იდეურად, ალბათ, ამ ფარულ სურვილს უკავშირდება. და „და ხერხმალზე გადათვლილი მალები“, რომელიც ჯერ ისევ მკვრივია, თითქოს, აფერხებს ამ პროცესს, მაგრამ მთავარია, რომ რღვევა უკვე დაწყებულია და შემოქმედი სულ მაღალ საკუთარი თავიდან დაინახავს მეორე ადამიანს, რომელიც მთლიანობის განუყოფელი ნაწილი გახდება.

თამარ ყალიბიავა

## ଶେଷାଖତଣ୍ଡିଲେ ଗାନ୍ଧାରାସାନ୍ଦେଶବରୀ

## (საქართველოს გიორგი სააკაპენი)

**როსტომ ჩეხიძემ** პირველად ოცი წლის წინათ სცადა საბჭოურ მითოსში გახვეული გიორგი სააკაძის გაყალბებული ბიოგრაფიის აღდგენა თავისი ნამდვილი სახით. ბრალდებების, ცილისწამებათა ნიაღვარში ცდილობდა მიჩქმალული ისტორიული ქრონიკების დღის სინათლეზე ამოტანას, სტალინისაგან თავს მოხვეული გმირის ჭეშმარიტი პორტრეტი გათავისუფლებული საქართველოს პირობებში მაინც რომ აღდგენილიყო.

ცრუ გმირის მხილება მოხერხდა, ისტორიული სინამდვილისათვის თვალის გასწორება — ვერა. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ვერც დღეს ეთმობა საბჭოთა იმპერატორისაგან განადიდებული, მიეკით ჭიაურელის ფილმის პერსონაჟი. რაც მთავარია, ახალგაზრდებსაც თითქოს დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევენ და დამოუკიდებლად აკეთებინებენ არჩევანს, მაგრამ თბილისის ცენტრს და კასპში აღმართული ძეგლების მეშვეობით, ისევ ყალბ გმირს ახვევენ თავს. გამოვიდა და უკვე მეორე ტირა-ჟით ვრცელდება საქართველოს ისტორიის ოთხტომეტული და გიორგი საკაძას შესახებ კველაფერი ისევ ისე წერია. ჩანს, არაფერი გადაგიფასებია, ისევ საბჭოთა მითოსის პერსონაჟებს ვეთაყვანებით.

როსტომ ჩეხიძის მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახალგაზრდებთან შეხვედრაცაა. წლების წინათ დაწყებული ეს ტრადიცია მწერალს არაერთგზის მოუსხენიების მისთვის დიდი სიამოცხვების მიმნიჭებულ საქმიანობად. ბიოგრაფიას ამჯერად თბილისის 24-ე საჯარო სკოლას ესტუმრა. მოსწავლეებთან საუბრის თემად არამარტო ისტორიისთვის, არამედ ზეობრივი თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი — გიორგი სააკაძის ადგილი ისტორიაში, მისი შედასება — აირჩია.

ისტორიული სინამდვილის აღსადგენად მწერალმა ვრცელი ექსკურსი შესთავაზა მსმენელებს. არც იმ სამწუ-ხარო ფაქტის გამომწვევ მიზეზთა ახსნა გამორჩენია, დღე-საც დიდი ხნის წინათ გადასაფასებელ ლირებულებებს რომ მობდაუჭებია საზოგადოება. მსჯელობისას უმთავრესი — ისტორიული სინამდვილე გამოიკვეთა, რომელიც მოსწავლეებს გიორგი სააკაძის ორი, ისტორიული და მითოსური, პორტრეტის გასამიჯნად უნდა სცოდნოდათ: ისტორიული — XVII საუკუნის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, და მეორე — საბჭოური მითოსის პერსონაჟი, იოსებ სტალინის მიერ შექმნილი გიორგი სააკაძე.

ნია საქართველოდან ნასვლა და იძულებული იყო შემოსეოდა ყიზილბაშებთან ერთად, ეს იძულებითი და მოჩვენებითი ნაბიჯი იყო, რადგანაც სააკადე მაშინაც კი, როცა თავის ხალხს არცევდა, გულში ამ ხალხისადმი სიყვარულით იყო ანთებული. სტალინი ამტკიცებს: შეიძლება ადამიანი აღზევდეს მისი ქვეყნის მოწინააღმდეგე სახელმწიფოს კარზე და აკეთოს პეკარად თავისი ქვეყნის სანინააღმდეგო, ფარულად კი — სასარგებლო საქმე. გიორგი სააკაძის ახლებური ბიოგრაფია და ფილმიც, რომელიც მიხეილ ჭავაურელმა გადაიღო, ამ მოდელით შეიქმნა. სტალინს პირადად ჰქონდა წაკითხული რამდენიმე სცენარი და ის ბიოგრაფია შეარჩია, ანა ანტონოვსკაიასა და ბორის ჩირნის მიერ შეთხული, რომელიც საბჭოთა ეპოქისათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო.

მისი გმირობა რომ ერწმუნათ, გიორგი სააკაძის ბიოგრა-  
ფიიდან რამდენიმე ეპიზოდი ამოშალეს, ზოგიც — შეცვალეს.  
ისტორიის წიგნებში ჩაინტერა ყალბი ბიოგრაფია, რომელიც  
მის პიროვნებას არა მთელი სისრულით, არამედ ცალმხრივად  
წარმოგვიდგენდა. მიზემალა ყველა უარყოფითი აზრი გი-  
ორგი სააკაძეზე. ის საქართველოს სიმბოლოდ განზოგადდა  
— ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებულ კაცად მიიჩნეოდა  
და გადაფარა ყველა სხვა გმირი საქართველოს ისტორიაში.

ივანე ჯავახშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია ამზადებდნენ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს. ნიკო ბერძენიშვილს მოუმზადებია მონაკვეთი, რომელიც გიორგი სააკაძეს ეხებოდა, მაგრამ სტალინის მითოთებით ამოულია გარკვეული ეპიზოდები. როცა ასპირანტებს ივანე ჯავახიშვილისათვის უკითხავთ, რას იტყვით გიორგი სააკაძეზე, მეცნიერს უთქვამს, ვერც კარგს ვიტყვი და ვერც ავსო. ავს ვერ იტყვის იმიტომ, რომ აკრძალულია, კარგს არ იტყვის იმიტომ, რომ არ არის კარგი აზრისა. ივანე ჯავახიშვილის ამ ფრაზაში განზოგადდა საქართველოს ნამდვილი ისტორიის მცოდნე ადამიანთა დამოკიდებულება.

გიორგი სააკაძე დაბალი წარმოშობისა არ ყოფილა. იგი დიდგვაროვანი აზიური და მეორე თაობის ქალაქის თავი იყო. ძლიერი ფეოდალი, კარგა სტრატეგი, კარგი მეინარი, ენერგიული, ძალიან რისკიანი — თავზე ხელალებული. უამრავ ბრძოლაში მონაწილეობდა და ყველაგან გმირად წარმოსდგებოდა. აღსანიშვანია ტაშის კარის ბრძოლა, რომელიც მცირერიცხოვნი რაზმით მოიგო. ამ ბრძოლამ გაუთქვა სახელი. ამის შემდეგ მის დას ცოლად ირთავს ლუარსაბ II. იზრდება მისი გავლენა, ხდება დაპირისპირება — შიდა ბრძოლა სატეოორ კარზე.

შიხეილ ჭაურელის გახმაურებული ფილმის გავლენით შადიმან ბარათაშვილის სახელი გააგივდა ყოველგვარ ბოროტებასთან, უბედურებასთან. ტერმინი — შადიმანობა — შეიქმნა იუდობის მსაგვასი. არადა, შადიმანი ლურსაბ II-ის — წმინდანად შერაცხული მეფის — გამზრდელია. სწორედ შადიმანია ამხილა გიორგი სააკაძის ძალაუფლებისადმი განუსაზღვრელი სწრაფვა, რომელიც შემდგომ დადასტურდა კიდევაც: თუ პირველკაცობას ვერ მიაღწევდა, შეიქმნა ყვილა და ყვილაში შენირა ამ მიზნისათვის.

XVII საუკუნეში საფრანგეთში არ მომზდარა რევოლუცია და ჩვენშიც არავის მოუკიდოდა აზრად მეცე დაემხო, მაგრამ საკაძეს სხვა მიზანი ჰქონდა: **ლუარსაბ II-ს** უნდა ექვევა, მმართველი თვითონ ყოფილიყო... 7-წლიანი ტყვეობის შემდეგ, ლუარსაბ II უშუალოდ გიორგი სააკაძის ჩავინებით მოუკლავს **შაპ-აბასს**. არ შეიძლება ადამიანი, რომელიც გასვრილია წმინდანის სისხლში, გმირი იყოს. მოგვიანებით იგივე გაიმუროა: ძალაუფლების მოსაპოვებ-

ლად — თეიმურაზ I-ს აუჯანყდა. ბაზალეთის ოში თეიმურაზ I-მა გაიმარჯვა. გაუმართლებელია ღვთივეურთხეული ხელისუფალის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ უმძიმეს ცოდვებს ემატება საქართველოში ორი მაოხებელი ექსპედიცია. სტალინის ჩარევით მიჩქმალული პირველი ექსპედიცია, რომელიც გიორგი სააკაძის ჩაგონებით ზამთარში დაუგეგმავს შაჰაბას და ერთბაშად მოუოხერებია ქვეყანა. მეორე: შემოსეულმა ყიზილაშებმა, რომელსაც კვლავ გიორგი სააკაძე მოუძღვდა, თბილისში შემოსვალმდე ისტორიული კახეთის (დღევანდელზე ორჯერ დიდი) ტერიტორია მოახერეს.

ბაზალეთის ოში დამარცხებული სააკაძე ისმალეთში გაიქცა, რათა კიდევ ერთხელ ეძია შური საქართველოზე. ისმალეთში დაუპირისპირდა დიდ ვაზირს, თავის გადასარჩენად, პატარა გუნდით, საქართველოსკენ გამოიქცა, მაგრამ შეისყრეს და მხლებლებთან ერთად ალეპის ციხეში თავი მოჰკვეთეს. ამ თემაზეა დაწერილი **ლევან გოთუანი** მოთხოვბა „უგზო ქარავანი“, სადაც გიორგი სააკაძის პორტრეტიც ბორეგტურად არის გამოხატული.

გიორგი სააკაძის დაცვაში იმყოფებოდა მისი შევილიშვილი, **როსტომ ჩხეიძის უშუალო წინაპარი — ბეჟან ჩხეიძე**. მისთვის თავის მოკვეთი გარდუვალი იყო და როცა მამამისმა, **გორგასალ ჩხეიძემ** ეს ამბავი შეიტყო, ალეპოში ჩავიდა, მოქრთამა მცველები — ხომ ადამიანების გარკვეული რაოდენობა უნდა დასჯილიყო სიკვდილით და დაითანხმა, რომ შვილის მაგივრად თვითონ შეეშვათ საკანში. ბეჟანი გამოპარეს და მამამისს, გორგასალს, თავი მოჰკვეთეს.

\* \* \*

გიორგი სააკაძეზე მუდამ იყო აზრთა სხვადასხვაობა. ერთნი გმირად მიიჩნევდნენ, მეორენი — მოღალატედ. იგი ტრაგიკულ გმირად ნარმოსდება, ტრაგიკულ პერსონაჟად, თავისი ნაკლით, თავისი დამსახურებით. ამას ამპობდა ილია ჭავჭავაძე. აკავი ნერეთელი უფრო მეაცრი იყო და პირდაპირ მოლალატეს უწოდებდა. **კონსტანტინე გამ-სახურდიამ** საბჭოთა რეპრესიებისას, როცა აკრძალული იყო გიორგი სააკაძის აუგად სხენება, გაპედა და საჯაროდ განაცხადა: ეროვნული გმირები ლუარსაბ II და თეიმურაზ I არიან და არა რენებატი და კონდოტიერი სააკაძეო.

გრიგოლ რობაძინება აღფორთვანებული ყოფილა გიორგი სააკაძით, რადგანაც მწერალი ძლიერ პიროვნებას განიხილავდა სიეთისა და პოროტების მიღმა. ეს ის გმირია, ვინც არ შეეპუა ლუარსაბ II-ს, თეიმურაზ I-ს და თვით შაჰაბასას, ვინც აზანზარებდა არა მარტო აღმოსავლეთს, არამედ დასავლეთსაც შაჰაბასას შვიდი უძლიერესი სარდალი ჰყავდა, რომლებმაც ქვეყნები დაუპყრეს, და ამ შვიდი სარდლიდან სააკაძემ ზოგი შაჰსვე მოაკვლევნა, ზოგი თავისი ხელით მოკლა. ადამიანზე ეს თვისებები მოქმედებს და ყურადღებას ალარ აქცევს მის ზენობრივ მხარეს, მაგრამ ვალდებული ვართ ვიცოდეთ ყოველი ადამიანის სრული და მიუკერძოებელი ბიოგრაფია, მიკერძოების გარეშე და მხოლოდ ამის შემდეგ ვიმსჯელოთ. მარტყოფის აჯანყებაში ქართველთა გა-



მარჯვება გიორგი სააკაძის ლვანლმა განსაზღვრა. ოლონდ უნდა ვიცოდეთ, რომ მაიც საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად მოაწყო იგი. ასეა თუ ისე, ეს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი იყო და გარკვეულწილად უფასდება კიდევაც სააკაძეს.

საბჭოთა ეპოქისთვის მისაღები იყო სააკაძის გაორებული სახე. როცა საქართველოში არ იდგა დავით ალმაშენბლისა თუ თამარ მეფის ქეგლები, გიორგი სააკაძის ორ ძეგლი დადგა ედუარდ შევარდნაძემ — ერთი კასპში, მეორე თბილისში. მისთვის ეს სანიშულში პიროვნებაა, ვის ბიოგრაფიაც გამოიყენა ხალხისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად და იმის სამტკიცებლად, რომ შეიძლება შენდამი მტრული ქვეყნის კარზე აღზევდე და აშკარად მტრული საქმეები აკეთო, ფარულად კი — კეთილი. არადა, ყოვლად შეუძლებელია ადამიანმა ახდილად აკეთოს ბოროტი საქმე და ფარულად კეთილი. ვინც ახდილად ბოროტს აკეთებს, ფარულად უარეს ბოროტებას სჩადის. ვერ დანინაურდები შენი ქვეყნის მტრის კარზე, თუ საკუთარ ქვეყანას არ გაყიდო.

ამ პორბლემის მიუკერძოებელ განსჯას თავს უყრის **როსტომ ჩხეიძის წიგნი „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“**, რომელიც წლების მანძილზე იწერებოდა და ლიტერატურულ-ისტორიული ესეებისა და პოლემიკური წერილების სახითაა ნარმდგენილი. პოლემიკის მიზეზი ის იყო, რომ ერთონ გულწრფელად მიიჩნევდნენ სააკაძეს ეროვნულ გმირად, სხვანი საბჭოური ისტორიის ინერციით ცდილობდნენ ემტკიცებინათ მასი იდეალურობა. გაზეთების ფურცლებზე გამართული პოლემიკა იმანაც განსაზღვრა, რომ 90-იან წლებში ედუარდ შევარდნაძე იყო ხელისუფლების სათავეში და, როცა გიორგი სააკაძეს აქებდნენ, მოიარებით ხოტბას ასხამდნენ ედუარდ შევარდნაძესაც...

თუ პიროვნება გაიხსინა, ის ეროვნული გმირი ვერ იქნება. ასეთი ადამიანი ტრაგიკული პიროვნებაა, ვისაც სამშობლოს წინაშე ღვანლიც შეიძლება მიუძლოდეს, მაგრამ გმირი უნდა იყოს იდეალური. რაც უნდა გაილაშებოს, თავისი ქვეყნის წინააღმდეგ არ უნდა გაილაშეროს... წმინდანის სისხლში გასვრილი ადამიანი გმირი ვერ იქნება...

როგორც ხდება ხოლმე, ლექცია ამჯერადაც ბევრი შეკითხვის, გულისტკივილისა და პორბლემის გახმიანების მიზეზი შეიქნება. პირველ ყოვლისა, ის აბსურდული ყოფა ამხილა, საბჭოთა სისტემის მოქმედის მიუხედავად ყალბი ისტორიის ტყვეობაში რომ ამყოფებს ქართველ ხალხს. ცრუეგმირთა მხილების ფონზე ნამდგილ გმირებს სწორედ როსტომ ჩხეიძე უბრუნებს მომავალ თაობებს და ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ შეახსენებს. **ალექსანდრე რობელიანის ანდერძს:** ვალდებული ვართ ისე დავხატოთ ყველაფერი, როგორც სინამდვილებია. მე ჩემი გვარისაც არავინ დამინდვია... თუ ვკინდა რომ სახელმწიფო ვიყოთ, ქვეყნა ვიყოთ, მოვალეონ ვართ ყველაფერი დაგინახოთ ისე, როგორც სინადვილეში იყო. არც შევალამაზოთ და არც მოვაკლოთ არაფერი.

მას აქვს უფლება სხვებსაც შეახსენოს ეს ძეირფასი სიტყვები, რადგანაც მის მოღვანეობას ამ ანდერძის აღსრულების სულისკვეთება ნარმართავს.

გოდერძი ჯობაძე პირველკურსელია: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საპუნქტის მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტრული მეცნიერების განყოფილების სტუდენტი.

1993 წლის 16 სექტემბერს დაბადა ხაშურში. იქვე დაამთავრა ქალაქის მესამე საჯარო სკოლა. ძალიან კარგი მკითხველი და ყურადღებიანი მსმენელია. პევრს ფიქრობს წაკითხულსა და განაგონზე. დინჯი, ჩუმი და აუჩქარებელია სადაც დღეებში; გართობაც იზიდავს და სპორტსაც დიდ დროს უთმობს, მაგრამ ყველაზე მეტად წერა უყვარს: მოთხოვებსაც თხზავს და ქართველ პროზაიკოსთა შემოქმედებასაც აფასებს თავისებურად, საინტერესოდ. წიგნისა და ფეხბურთის აზარტის ერთინობა იგრძნობა გოდერძი ჯობაძის ამ მცირე რეცენზიაშიც, რომელიც ავტორმა კოტე ჯანდიზის „კონკიას ლამეს“ მიუძღვნა. ვისურვებდი, არასოდეს განელებოდეს კითხვისა და თამაშის სიყვარული ჩემს უმცროს მეგობარსა და მოსწავლეს.

თავარ პარბარაძე

### გოდერძი ჯობაძე

## ნიგნების მაღაზიასთან ნავიპრალი

დიალოგმა, რომელიც ერთ-ერთი სეირნობისას ჩემმა გონიერამ, ჩემდა უნდაურად, მოიპარა, უწავაურად დამაფიქტორა, დამაინტერესა და წერა მომანდომა.

- ორი ბიჭი საუბრობდა წიგნების მაღაზიასთან:
- რა არი ეგა, რა წიგნი იყიდე?
  - ჯანდიერი...
  - სათაური არ აქვს?
  - „კონკიას ლამე“.
  - ჰე... კიდე ვერ გაიზარდე?!

რასაც ველიდი, ზუსტად ის თქვა. ზღაპარი ეგონა და რა ენა?! ამიტომაც დავინტერესდი, რა იმალებოდა ამ სათაურის მიღმა. აშკარაა, რომ ავტორის მიერ თავისი მოთხოვების კრებულის სათაურად „კონკიას ლამეს“ შერჩევა მარკეტინგული გეგმებითა და იმედებით არ ყოფილა განპირობებული, რადგან ეს სათაური, ჩემი აზრით, სულაც არ უნდა იყოს ფინანსურად მომენტინი საზოგადოებაში, რომელიც წიგნს საკრძნებლად დაშორდა. ავტორი უპირატესობას ანიჭებს წიგნის ლიტერატურულ მნიშვნელობას: ხელოვნება და ბიზნესი... თითქოს სათაურშივე გაიმიჯონ ეს ორი ცნება და ეს მიჯნა მძლავრ საპროფესიო შეძახილად იქცა ფინანსურ იმპრიაში ჩათრეული თანამედროვე ქართული მწერლობის დასაცავად.

ვიფიქრე, ამ წიგნში აუცილებლად ვიპოვნიდი იმ ესთეტიკურ საპროფესიო პათოსს, რომელიც სათაურმა ჩამინერება. დიდი იმედი მქონდა, რომ აუცილებლად წავანებული დავტორის თანხმობას. მგონი, მომიღინი გამიმართლდა...

ეს წიგნი სულაც არ იყო ზღაპარების კრებული, როგორც იმ ბიჭმა დაასკვნა. აქ დავინახა ორიგინალური წერის მანერა, ადამიანური გრძნობების ტრაგიზმის სათუთა აღნერა, დეტექტიური უანისათვის დამახასიათებელი მიმზიდველობა და ადამიანის სამყაროზე დამოკიდებულების მხატვრული ანალიზი.

წინათგრძნობა „კონკიას ლამეში“ გამიმართლდა. შევხვდი, ერთი შეხედვით, იდუმალ პერსონაჟებს, რომელთა შინაგანი სამყაროს მიმართ ინტერესს მაგიური სახელების მქონე მთები ამძაფრებენ. ისინი, სულიერი პერსონაჟებივით, გარკვეულ ხასიათს უქმნიან მოთხოვებას და სიმბოლურ ხაზად გასდევენ მთელ სიუჟეტს. „ალებსთა, ფშეგიშა, აცეტუკი“ — ეს უწავა-

რი, წარმართული შელოცვის მსგავსი, სიტყვები უეცრად, ერთმანეთის მიყოლებით, ამოტივიცივდნენ მოლოდინით დაქანცული ქალის გონიერაში.

„ალებსთა, ფშეგიშა, აცეტუკი...“ ამ მთების სახელები პრიველად მამისგან გაიგონ.

რაც შეეხება ავტორის თანხმობას, ბიზნესსა და ხელოვნების გამოყვანას, ეს თემა მთავარ პერსონაჟები განსხვაულდა, მხოლოდ ოდანავ უფრო განსხვავებულად, ვიდრე ჩემმა წინათგრძნობამ დამიხატა.

მოთხოვების მთავარი გმირი მამა-შვილია, რომელთაც



მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტი აკავშირებთ. მამის თავისებური მცდელობის მიუხედავად, მაინც არ მყარდება მათ შორის სულიერი კავშირი, რადგანაც შვილი მთლიანად შეცყრობილია ესთეტიკური სიამოვნებით, ჩაფლულია ხელოვნების საოცარ სამყაროში; ამის გამო იყალბებს სამყაროს აღქმის პერსონალურ ტაქტიკას, რომლის კრედიტი მატერიალურ ღრებულებათა სულიერი საზომებით შეფასება. თითქოს მამაც ამ ესთეტიკურ ქსელშია გახვეული, მაგრამ იგი პირიქით იქცევა. უნდა, ეს ცველაფერი „სწორად“ გამოიყენოს ქალიშვილმა; ხელოვნების სხვადასხვა დარგის საუკეთესო წარმომადგენლების დახმარებით, მას უქმნის შესაბამის გარემოს, რათა ასეთმა ფსიქოლოგიურმა „სათბურმა“ მათებატიკური საზუსტით მატერიალური შედეგი მოუტანოს მას. ეს არის ადამიანი, რომელიც ყველანაირი წარმოსახვის მატერიალიზებას ცდილობს, თუმცა ეს არ წინავს, რომ ვერ ხვდება ხელოვნების არსა, ვერ იღებს ისეთ სიამოვნებას, როგორსაც, მისი აზრით, ყალბი პათოსის მქონე ეგოისტი შემოქმედინ აღნევენ. მამა კარგად ხედავს ხელოვნების დამანგრევების დასაცავად. „აქედან ვამჩნევ, როგორ ტრალებენ შენ გარშემო მოტები ეს პოეტები, არტისტები და მხატვრები, როგორ გწებებან, როგორც პეპლები იასამანს და ცდილობენ გაგაბრუონ...“ აქედან გამომდინარე, ცხადდება მისი სურვილი: შექმნას ისეთი ბუნებრივი ტრანსფორმატორი, რომელიც ხელოვანთა მუშაობის აპსტრაქტულ შედეგს მატერიად გარდაქმნის. ესეც ავტორის სულიერი თანხმობა ჩემს წინათგრძნობაზე... წიგნის სათაურის ქართველ მკითხველზე ზეგავლენის ჩემ მიერ წარმოდგენილი მორალი აშკარად უპირისპირდება ამ პერსონაჟების ცხოვრების სულიერ კრედიტს.

გადის დრო. თხრობა შორეული წარსულიდან მეტაცრ აწ-  
მყოფე გადმოდის. შვილი უკევე თვითონვეება მშობელი; ცხოვ-  
რობს ისე, როგორც გადაწყვიტა, და შვილთან ისეთი ურ-  
თიერთობა აქვს, როგორიც არ ჰქონია მამასთან. მას ხომ  
მხოლოდ ერთი, მამაშვილური საუბრის, გამორჩევა შეუძ-  
ლია მთელი განვლილი შაბლონური ცხოვრების რიტმიდან:  
„მათ შორის არასდროს ყოფილა განსაკუთრებული სითბო  
და 1980 წლის 25 სექტემბერს შემდგარი ლაპარაკი, მგონი,  
ერთადერთი იყო, რის გახსენებაც შეეძლო”. თითქოს მამის  
გაფრთხილება ახდა კიდეც; ის ხომ „სისხლამდე ტუჩდაჭ-  
მული უცდიდა” ფრანგული ხელოვნების სპეციალისტ  
ქმარს; ელოდა და ნუხდა... ერთადერთი გამოსავალი, რაც  
მოიფიქრა, თავისი ტავილის ურჩი შვილისთვის ნააბობ  
ზღაპარში ჩაღვრა იყო. იგი ზღაპრის გმირი გახდა, რომლის  
ფინალი მასზე იყო დამოკიდებული. ქალიშვილის ცხოვრე-  
ბა გახდა იმგვარი, როგორისაც მამის ეშინოდა. ის ახლა რე-  
ალობას შეფეხებული კონკია, რომელიც იმდენად არის  
ილუზით მოცული, რომ ეს რეალობა ზღაპრის ბუტაფო-  
რია ჰგონია. ზღაპარს ხომ ყოველთვის ბედნიერი ფინალი  
აქვს?! პოდა, როგორ შეიძლება რეალობაში დაბრუნება და  
ამ ლამაზი წარმოსახვის გაუფასურება...?!) მთავარია, რომ  
ფინალი ბედნიერი უნდა იყოს და რა აზრი აქვს, რომ კონკია  
უაზრო ოცნების ციკლშია მოხვედრილი; ბედნიერი დასას-  
რულის მოლოდინში ისე ტრიალებს ლამაზ ზღაპარში, რო-  
გორც ფარვნა სანთლის გარშემო და სულაც არ ადა-  
დებს, ფრთხი რომ ეწვება! იგი უფლისწულზე დაქორნინე-  
ბის შემდეგაც ელოდება მას და უფლისწული კვლავ და-  
ძებებს სხვა კონკიებს... „უფლისწული მოელი ცხოვრება კონ-  
კიებს ექტება, კონკია კი იჯდა სასახლეში და მთელი ცხოვ-  
რება უფლისწულს უცდიდა.” მგონი, საკმაოდ მეღანქოლი-  
ური ფინალია... ისეთი, როგორც მთელი სიუჟეტი. მოთხ-  
რობა მთლიანად ამ გრძნობაშია ჩაძირული, კონკრეტული  
ეპიზოდები თითქოს ბურუსშია გახვეული და, როცა მკითხ-  
ველის გონიერა ჩვეულებისამებრ, ფსიქოლოგიურ „საცერ-  
ში” ატარებს მათ; ჩჩება მხოლოდ უსიტყვო ემოციები და  
სცენარის სიზმარეული აღქმა. ვფიქრობ, ასეთი მრავალ-  
ფეროვანი ეფექტის შექმნა უკევე დიდი წარმატება!

ალბათ, განვითარება კითხვა: რატომ მაინცდამანც „კონკიას  
ლამე”? რატომ შეარჩია ავტორმა ეს მოთხრობა კრებულის სა-  
ხელნოდებად? სულ მცირე, ერთ მკითხველს ხომ მაინც აარი-  
დებდა ლიტერატურული გემოვნების გაუზრჩებელ, ცინიკურ  
გაკრიტიკებას... ეს უკანასკნელი კითხვის დამსმელს, ალბათ,  
არგუმენტად არ გამოადგება, მაგრამ ინტერესს ნამდვილად  
ვერ გაუქრიობს. ერთი შეხედვით, მართლაც საკვირველია,  
რომ კრებულში, რომელშიც შესულია: „გლობალზაცია”,  
„დაბატიუება კინოში”, „მაყვლანი”, „საოჯახო ქრონიკა” და  
ა.შ. უპირატესობა „კონკიას ლამეს” აქვს მინიჭებული. ვფიქ-  
რობ, თითოეულზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი და მათი  
ღირსებების შეძლებისდაგვარად დეტალური წარმოიჩენა.

საინტერესო იქნება ამ მოთხრობების კონტრასტულად  
შედარება: „გლობალზაცია” ნამდვილად გამორჩეულია  
თავისი გლობალური მნიშვნელობით; ისტატურად არის  
შერჩეული კაციობრიბის განვითარებაზე დაკვირვების  
კუთხე, საიდანაც მოჩანს, ერთი შეხედვით, მსოფლიოს ყვე-  
ლაზე ნაკლებად განვითარებადი ნანილი, რომელიც ძალა-  
უნებურად ჩამოულია გლობალზაციის უზარმაზარ მატა-  
რებელზე და, მიუხედავად უკანასკნელი პოზიციისა, მაინც

მიჩაქჩაქებს ცხოვრების უსწორმასწორო რელსებზე.  
მოთხრობა ესთეტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვა-  
ნია, რადგან ავტორის მიერ ორიგინალურად დახატული  
მთავარი გმირი და თხრობის კახური კილო, უხვად უზია-  
რებს მკითხველს ტანჯული ცხოვრების მკაფიო გრძნობებ-  
სა და ლოკალური თვალთახედვით დანახული ქვეყნის გან-  
ვითარების ინდივიდუალურ ანალიზს.

„დაბატიუება კინოში” უსაზღვრო რომანტიკით გაჯერე-  
ბული მოთხრობაა, რომელშიც ვერ ვიპოვნით გლობალურ  
აზროვნებასა და ბრძნულ მოძღვრებებს; ეს არის მოთხრო-  
ბა, რომელშიც აღნერილია პერსონაჟთა მიმზიდველი ბოჰე-  
მა, რომლითაც უბრალოდ უნდა ისიამოვნო, დაოცრე ემოცი-  
ებით, გიყვარდეს, გიხარიდეს!... გაიზიარო მათი არეული და  
მაინც ერთმანეთში მჭიდროდ ჩასკვნილი, სამყარო, ტრაგი-  
კულ ბედისწერასთან ერთად. რატომდაც რემარკი გამახ-  
სენდა... არსებობს რაღაც აბსტრაქტული ნაპერნებალი, რო-  
მელიც მას და კოტე ჯანდიერის აერთიანებთ. ალბათ, ის, რო-  
მივიცესთვის მნიშვნელოვანია თხზულების ემოციური ფო-  
ნის ადამიანური ურთიერთობებით შენება.

ასეთივე პრინციპი ვიგრძენი „საოჯახო ქრონიკის” კითხ-  
ვისასაც; თითქოს ეს უკანასკნელი ანალიზური „თარგი” ამ  
მოთხრობასაც მოიცავს, მაგრამ აქ ყველაზე შთამბეჭდვით  
თხრობის სტრუქტურაა (სიუჟეტის ჩვეულებრივი, კერძო  
ნერილებით აგება), რომელიც გაცილებით ამძაფრებს ავ-  
ტორის მიერ შექმნილი სამყაროს რეალურობის შეგრძნებას.

„მაყვლანი” თითქოს სრულიად განსხვავებული ლიტე-  
რატურული ასპარეზისკენ მიისწნოთ; ის ნამდვილად ის-  
ტორიულ-რელიგიური წარსული მხატვრული რეანიმა-  
ციას, რომელიც უხვადა გაჯერებული ზემოთ აღნერილი  
წერის მანერის მხატვრული თავისებურებებით.

თითოეული მოთხრობის ასეთი ლაკონიური განხილვაც  
კი საკმაოდ შორს წამიყანს, ამიტომ, ვფიქრობ, ეს ყველა-  
ფერი საკმარისია „კონკიას ლამეს” კონტრასტული ხედის  
დასანახად. მეითხველის გემოვნება ინდივიდუალურია და,  
შესაძლოა, ზოგიერთმა კრებულის სათაურის გამო გააკრი-  
ტიკოს კიდეც ავტორი, მაგრამ ეს კრიტიკა ვერასდროს გას-  
ცდება სუბიექტურობის ფარგლებს. რაოდენ გასაკვირიც  
უნდა იყოს, ფეხბურთთან გაავალებ პარალელს: საფეხბურ-  
თო გუნდს ერთი კაპიტანი ჰყავს, რომელიც სულაც არ არის  
აუცილებელი, იყოს საუეტერსო მოთამაშე, ყველაზე ასაკო-  
ვანი ან შედეგიანი. მოკლედ, კაპიტანის შერჩევა არ არის რა-  
იმე ფორმულირებულ მონაცემზე დამკიდებული, უბრა-  
ლოდ, იგი უნდა იყოს ისეთი, რომ სიმბოლურად გააერთია-  
ნოს გუნდი; მას ძირითადად მწვრთნელი ირჩევს. ამ შემთხ-  
ვევაში კი მწვრთნელი კოტე ჯანდიერია, რომელმაც „აპიტ-  
ნის სამკლაური” „კონკიას ლამეს” მოარგო და თავისი წიგნის  
სიმბოლურ ეტიკეტად აქცია. ამ მოთხრობაში, მართლაც,  
არის რაღაც ისეთი ემოცია, სტილი, თუ პათოსი, რომელიც  
აერთიანებს კრებულში შესულ ყველა მოთხრობას.

ასე რომ, კრიტიკა კრებულის სათაურის შესახებ ყო-  
ველთვის უხერხემლო და უსუსური იქნება, რადგან ლიტე-  
რატურა თავისუფალი ყოველგვარი დოგმებისა და აქსიო-  
დებისაგან, მათ გარეშე კი წარმოუდგენელია მხატვრულ  
ნაწარმოებთა რაიმე პრინციპით დახარისხება; შესაბამი-  
სად, ვფიქრობ, საჭიროა, ჰიპოთეზური უპირატესობის და-  
სასაბუთებლად მოყვანილი არგუმენტების ამ ორი სიტყ-  
ვით დაწყება: „ჩემი აზრით”.

# თბილისში, 11 სექტემბერს

თბილისში, 11 სექტემბერს არაჩვეულებრივი საფეხბურთო მატჩი გაიმართება. სიტყვა არაჩვეულებრივს კი იმიტომ ვახსენებთ, რომ ასეთი ძალისა და წარმატებების მქონე ნაკრებს საქართველოში არასოდეს უთამაშია. ყველა ადრინდელ მეტ-ნაკლებ წარმატებასა თუ მიღწეულებზე რომ ალარაფერი ვთქვათ, სრულიად საკმარისია სამი უკანასკნელი ზეიმის გახსენებაც: 2008 წელს ესპანელები ევროპის ჩემპიონები გახდნენ, 2010 წელს მას მსოფლიო ჩემპიონობაც „დაუმატეს“ (!), 2012 წელს კი კიდევ ერთხელ მოიპოვეს (!) ევროპაში უპირველესის წოდება. მსგავსი ტრიუმფი კი კონტინენტის არცერთ ნაკრებს არა ჰქონია. ახლა რაღა რჩება? 2014 წელს ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნება. ვინ გვეტყვის, ეს უფრო ოცნების სფეროა, თუ დელ ბოსკეს მორიგი, ჩვეული ნაბიჯი წინ? და, საერთოდ, განა ეს შესაძლებელია, ფეხბურთის მეფების მათ საკუთარ მინდონზე აჯობო? მართალია, ეს ისტორიაში ერთხელ უკვე მოხდა, როცა ბრაზილიელებს მათი უზარმაზარი აუდიტორიის წინ, ვინ იცის, როგორ და რის მანქანებით, ურუგვაიელებმა მაინც დააყრევინეს ფარ-ხმალი. აი, როგორ სიმაღლებს შეეჭიდა ესპანელების დღევანდელი, უკვე ლეგენდად ქცეული ხელმძღვანელი.

ვისენტე დელ ბოსკე 61 წლისაა. ესპანეთში ხუმრობენ, რომ მას კეთილი მეფუნთუშის გარეგნობა აქვს, თუმცა არც სხვა მეტსახელებს აკლებენ: ულვამასაც უწოდებენ, ასე გასინჯეთ, მისტერ კარტოფილსაც. შარშან ესპანეთის მეფე ხუან კარლოს I-მა დელ ბოსკეს მარკიზის წოდებაც უბოძა. ახლა მწვრთნელის სრული სახელი ასე უდერს: ლვთივეურთხეული დონ ვისენტე დელ ბოსკე და გონსალესი, მარკიზი დელ ბოსკე.

საინტერესოა, რომ აქამდე, როგორც საკლუბო მწვრთნელმა, ორჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში, გახდა ესპანეთის ჩემპიონი, მოიგო ევროპის სუპერთასი, საკონტინენტობრივი თასი.

დელ ბოსკეს, როგორც მწვრთნელის, ერთ-ერთ მთავარ ლირსებად ითვლება მოთამაშეთა შორის ურთიერთობის მოგვარება, რაც უფრო გამნვავებული უნდა იყოს იგი. „რეალში“, მაგალითად, დიდხანს ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანდნენ მეკარე იკერ კასილიასი და პორტუგალიელი თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუ. ამის მიზეზი გახდა კასილიასის საცოლის, ცნობილ ტელენამყვან სარა კარბონიერის განცხადება: „იგი (რონალდუ) მინდონზე ისე იქცევა, როგორც ნამდვილი ეგიოსტი და ამით „რეალის“ შეტევებს ძალიან ხშირად, უძრავოდ რომ ვთქვათ, აფუჭებს. მეტი უნდა იფიქროს და საჭიროა ფსიქოლოგისაც მიმართოს“. „რეალის“ ადრინდელი ხელმძღვანელობა სხვადასხვანარ კონფლიქტებს ვერაფერს უხერხებდა, მეტისმეტად დელიკატური და, ზოგ შემთხვევაში, დამთობი დელ ბოსკესათვის ეს პრობლემა არ არის. ესპანეთის ნაკრების მოთამაშები ნამდვილი მეგობრები არიან.

დელ ბოსკე საგულდაგულოდ სწავლობს სხვა მწვრთნელებს ტაქტიკას, ითვალისწინებს მათ სქემებს და, თუ საჭიროა, პარადას კიდევაც მათ.

ევროპის ჩემპიონატში ყველა გააოცა დელ ბოსკეს „შედარებითმა სიახლემ“ 4 — 6=0. ისე გამოვიდა, რომ ესპანეთის ნაკ-

რებში ნამდვილი თავდამსხმელი (როგორიც არის, ვთქვათ, ფერნანდო ტორესი) საერთოდ არ იყო. ამის მსგავს „ილეიოს“ წელს ხშირად მიმართავდა ხოსეპ გვარდიოლა „ბარსელონაში“, რომელიც ერთ-ერთ ფრთაზე ნახევარმცველის მუდმივი გადა-ადგილებით ქმნიდა უპირატესობას, მეტოქეს აბნევდა და თავ-დასხმასაც არაფერს აკლებდა. მაგრამ გვარდიოლას ხომ ჰყავ-და ლიონელ მესი და ამით თავს ყველაფრის უფლებას აძლევ-და. მესი არა და, დელ ბოსკემ გადაწყვიტა მსგავსი ფუნქცია სესკ ფაბრეგასისათვის დაეკისრებინა. გაამართლა და თანაც როგორ: თუ მეტოქეები ელოდნენ, რომ თავდასხმაში მწვრთნელი ფერნანდო ტორესს, ფერნანდო ლორენტეს ან ალვარო ნეგრედოს გამოიყვანდა, მაგრამ დელ ბოსკემ ყველას „იმედები გაუცრუა“ და ფაბრეგასი ამჯობინა, რომელმაც ეს-ეს არის მოირჩინა ნატკენი ფეხი. თავდამსხმელების იგნორირების ფაქტი კი ასე განმარტა: „ფაბრეგასი ნახევარმცველია, ამასთან გან-საკუთრებული ყაიდის ნახევარმცველი. წინა ხაზზე იგი განსაკუთრებით აქტიურია. ჩვენ კი ვცდილობდით გამოგვეყნებინა სესკის ნიჭი და უნარი წინა ხაზზე მოულოდნელი შეჭრისას. ამას კარგი კომბინირების წყალობით ვახერხებდით“. ისე რომ, დელ ბოსკემ მეტი ქვა „მოაღორა“. იტალიელთა მწვრთნელმა ჩეზარე პრინდელიმაც აღიარა და ფრანგების ხელმძღვანელმა ლუი ბლანმაც. ერთი სიტყვით, საჭირო მომენტში ესპანელებს ზედმეტი ნახევარმცველიც ჰყავდათ და... ზედმეტი თავდამსხმელიც. მეტი არ არის, მაგრამ ფაბრეგასიც უაღრესად სასარგებლო ფეხბურთელი გამოდგა.

საერთოდ კი ესპანეთის ნაკრები ნამდვილი ვარსკვლავების გუნდია. რომელი ერთი გამოგვით? დიდი აღტაცების ლირსია ანდრეს ინიესტა. ამ ჩემპიონატის და (მთელი მსოფლიოს!) უძლიერესი ნახევარმცველი. „ბარსელონაში“ მის დარ ფეხბურთელად ითვლება მეორე შუახაზელი ჩავი ერნადესი, მაგრამ, ამჯერად, საყოველთაო აღიარებით, ინიესტა უკეთესი იყო. ისიც ვთქვათ, რომ დელ ბოსკემ საბოლოოდ როდი „აილო ხელი“ ევროპის წინა და მსოფლიოს წინა პირველობის ერთ-ერთ გმირზე ფერნანდო ტორესზე, რომელსაც გულშემატევივრები „ელ ნინიოს“ (ყმანვილი, ნებიერი ჭაბუკი) მეტსახელით იცნობენ. სათადარიგო კი იყო, მაგრამ საბოლოო ანგარიშით „ელ ნინიო“ ევროპის პირველობის პირველი სნაპერი გახდა (3 გოლი და 1 საგოლე გადაცემა) — ა ნამდვილი სიურპრიზი.

არავინ იცის, ვინ ითამაშებს ამ ვარსკვლავთაგან თბილისში, მაგრამ აქ ხომ იქნება დელ ბოსკე, რომელთანაც, ჯერ ევროპის პირველობა დამთავრებული არც იყო, ესპანეთის ფეხბურთის მესვეურებმა ახალი ხელშეკრულება გააფირმეს — 2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე. ეს უკვე რვანლიანი მმართველობა გამოდის, თუმცა შედეგები ხომ ცხადზე ცხადია.

არავინ იცის, ვინ მოიგებს თბილისში!! თუმცა, როგორც არ უნდა დამთავრდეს მატჩი, რა სიურპრიზიც არ უნდა შემოგვთავზოს, ხურიელი ჩინური გამოთქმაც გავისხნოთ: „ზოგჯერ ბრმა ქათამიც ნახულობს მარცვალს!“ ვიმეორებთ, ხურიობით, ისე კი ეს უაღრესად საინტერესო ორთაბრძოლა უზაღვებული არც იყო, ესპანეთის ფეხბურთის ვერაფერს უხერხებდა, მეტისმეტად დელიკატური და, ზოგ შემთხვევაში, დამთობი დელ ბოსკესათვის ეს პრობლემა არ არის. ესპანეთის ნაკრების მოთამაშები ნამდვილი მეგობრები არიან.

დელ ბოსკეს საგულდაგულოდ სწავლობს სხვა მწვრთნელებს ტაქტიკას, ითვალისწინებს მათ სქემებს და, თუ საჭიროა, პარადას კიდევაც მათ.

გივი გამორიცხვი

ნოდარ ებრალიძე

## როდესაც მაქსიმალიზი ამართლებს

თეორიულ, განყენებულ მსჯელობას არ ვაპირებ; თუმცა სპორტის ყოველი სახეობა, მათი ასპარეზობის ფალკული ეპიზოდები შეიცავს ხალისან საფუძვლს ასეთი განსჯისათვის. მაგრამ იმ დარგში, რომელსაც ჩვენი რუბრიკის მორიგი წერილი შეეხება, ახლა ასეთი ფუფუნებისათვის არ უნდა ეცალოთ (ვგულისხმობ, ცხადია, ჩვენებულ, საქართველოში არსებულ ვითარებას, თორმეტ ისე, გაგისარია, სათემელი ბევრია).

ჯერ მკითხველს უნდა მოვუხადოთ ბოდიში დაგვიანებული ინფორმაციისათვის: ცხენისური ასპარეზობა — დაბრკოლებათა მსოფლიო თასის გადალახვის („ერთვარსკვლავიანის“) მორიგი ეტაპი ბაქიში 13-15 ივლისს ჩატარდა, ჩვენი უურნალის ამ ნომრის გამოსულა კი ზუსტად დაწყებულ მეორე კვირას უწევდა. მაგრამ რადგანაც ქართული მასმედია ჩვენ საცხენოსნო სპორტს ყურადღებით დიდად არ ანებივრებს, ასეთი „გვიანი“ გამოხმაურება მაინც აუცილებლად მივიჩინეთ.

...არადა, უნდა ვალიარო, პირადად თქვენმა მონა-მორჩილმა მიმომზილველმაც ამ ასპარეზობის ამბავი „შემთხვევით“ შევიტყვე. 26 მაისს ჩვენთანც, თბილისის ახალი იპოდ-რომის (ლისის ტბაზე) სპეციალურად იმ დღეს გახსნილი საკონკურო მოედანზე უნდა დაწყებულიყო ზემოხსნებული მსოფლიო თასის ეტაპის შეჯიბრება (ეს კი მასმედიამ აუწყვა საზოგადოებას); მაგრამ ვერ მოესწრო ფართო მასშტაბით განზრაბული ტრიბუნების აგება და ეს რეკლამირებული ღონისძიება ველარ ჩატარდა. და მეც ველარ მივადევნე თვალი ცხენისნობის საერთაშორისო ფედერაციის სამხრეთ-კავკასიურ (ფაქტობრივად ბაქო-თბილისის) კალენდარს. „შემთხვევით“ კი ვანო ნორაკედ შემხვდა — ჭაბუკობიდანვე „თბილისის უოკეიკლუბის“ (შემდეგ კი „თბილისის იპოდ-რომის“) კონკურისტთა გუნდის წარმატებული მხედარი. შემდეგ, როდესაც ამ კლუბმა თავისი მხედრების რაოდენობა ოთხ სპორტსმენამდე დაიყვანა, ვანომ ცნობილი თბილისელი მოყვარულის თეომურაზ ბერიშვილის არაბოთრაკენულ ულაყ „ალიზე“ განაგრძო მხედრული საქმიანობა და 26 მაისისათვის მის გამოსვლასაც ველოდი. „ჰო, ეგ ასპარეზო-

ბა ვერ ჩატარდა, მაგრამ, ვიცი, გაგიხარდებათ, მხოლოდ „ალის“ ანაბარა ადარა ვარ. აქვე, მცხეთასთან, ნატახტარში, ქართველმა ბიზნესმენმა პ-ნმა გია კურეუმულმა გახსნა სპორტული თავდა. 4 ბედაური გამომიყო საწვრთნელად...“

სხვა საცხენოსნო ამბები რომ გამოვეითხე, გაკირვებით შემომხედა: „დღეს დაიწყებოდა ბაქოში და კვირას დამთავრდება. ჩვენი ბიჭები რამდენიმე დღეა იქ არიან: გეგი, შალვა, ცოტნი...“

სულმოუთებელად ველი ორშაბათის დადგომას და სალამოთი ვურეკავ შალვა გაჩერილაძეს ბინაზე. „...დაია, ახლახან ჩამოვიდა“, „არა უშავს, კარგად ჩაიარა, ჩვენს ეტაპს თურქი და ირანელი ცხენოსნებიც დაემატენენ. უფრო საინტერესო გახდა. მოგებით კი დიდი პრიზი („გრან პრი“) მე მოვიდე...“ — მესმის დაღლილი ხმა. დაღლა გასაგებია. არამარტო მგზავრობის გამო — სამდლიან საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლა, როდესაც 3 ცხენით გამოიდიან და თან გუნდის მწვრთნელიც ხარ, 23 ნლის მხედრისათვის უმძიმესი დატვირთვაა. შალვა გაჩერილაძეს ჩვენი უურნალის მკითხველებს, უკვე შემთხვევაში მის პირველ ნაბიჯებსა და წარმატებებს, უკვე იცნობს („ჩვენი მწერლობა“, 2010, №24), ამიტომ ამჯერად ჩვენი საუბარი, როდესაც მეორე დღეს ბაქოდან ჩამოყავილ ცხენებს მიხედეს, ძირითადად ამ ბოლო ტურნირით შემოიფარგლა.

საქართველოს გუნდი: შალვა გაჩერილაძე (ცხენები: 10 ნლის თრაკენული ულაყი „სატურნი“, 13 ნლის ბუდიონური ულაყი „დარი“, ჰოლშტაინური „ჩუინგამი“, გერმანიიდან); გეგი მეტონიძე (10 ნლის წმინდა სისხლის ინგლისური ულაყი „ეროსი“, ყულარის ცხენსაშენი, 8 ნლის თრაკენული ფაშატი „გალატეა“, გერმანიიდან); ცოტნი თავაძე (14 ნლის თრაკენული ულაყი „ომუტი“, როსტოკის ცხენსაშენი).

— პირველ დღეს ტრადიციულად „გახსნის პრიზი“ გათამაშდა (სიმაღლე 130 სმ). მე სამივე ცხენით გამოვდიოდ, მაგრამ მხოლოდ „ჩუინგამმა“ გამიმართლა: ძირითადი მარშრუტი სუფთად გავარეთ (საერთოდ კი 10 ცხენ-მხედარმა იარა უჯარი-მოდ!). აზერბაიჯანელთა ლიდერმა სეგდ მუსაევმა ორი ცხენით ასევე უშეცდომოდ იარა და დამატებითი ხტომების შემდეგ, როდესაც კელავ უჯარიმოდ გავარეთ, მესამე დაერჩი. მეორე დღესაც იგივე კონკური იყო (135 სმ), ოღონდ სისწრაფე ძირითად მარშრუტზევე წყვეტდა, თანაბარ საჯარიმო ქულათა შემთხვევაში, ადგილის ბედს. აქ „ჩუინგამმა“ გვასხელა, უშეცდომოდ (ე.ი. უჯარიმოდ) გაიარა არცოუ ადგილზე გამოსულ ს. მუსაევს.

— გადამწყვეტ კონკურზე „თასზე“, სადაც მონაწილეებს მსოფლიო თასის ტურნირზე გამსვლელი ქულები ერიცხებათ, სამიდან რომელი ცხენი შეიგულეთ ჩასათვლელ საფერხედ?



შალვა გაჩერილაძე თავისი „დარით“

— როგორც ადრე იყო ხოლმე — „ჩუინგამი“. შარშან აკი ჩვენ მოვი- პოვეთ მსოფლიო თასის ლიცენზია. საიმედო ცხენია.

— „დარი“?

— ეგ ხომ ჩემთვის ახალი ბედაურია. ძალზე იმპულსური, ძალ-ლონით აღსავსე, მაგრამ, ეტყობა, ადრეული წაფვის დროს დაშვებული რაღაც შეცდომების გამო მარშრუტზე მოულოდნელ გაურჩებას დაწვეული. თა- ვის დროზე ვანომ, ნორაკიძემ, ბევრი იმუშავა იმ ნაკლის აღმოსაფხვრე- ლად რამდენიმე შესანიშნავი გამარჯვებაც მოიპოვა. მანიც სიფრთხილე გამოვიჩინე, მაგრამ კეთილშობილმა პირუტყვემა თუთონ იზრუნა თავის მომავალ რეპუტაციაზე. თასის კონკური საკმაოდ რთული იყო (12 დაბრ- კოლება, აქედან 2 სისტემა იყო: ორ- და სამარიტინიანი, სიმაღლეც — 140- 145 სმ). აზერბაიჯანულმა ჰიქმეთ მუსაევმა („ზიდიზი“) და მე ორივე ცხე- ნით სუფთად ვიარეთ. დამატებითში სიმაღლე არ დაუმატებიათ, რადგა- ნაც კი ესპირულად წყიმდა და საშინლად მძიმე გრუნტი იყო. „ჩუინგამით“ 2 დაბრკოლება დავაზიანე (8 საჯარიმო ქულა), ჰ. მუსაევმა — ერთი, ე.ი. მსოფლიო თასის ჩათვლაში ამ კონკრეტულ ეტაპზე გამისწრო, მაგრამ „დიდი პრიზი“ ვის უნდა რეგებოდა? ჰოდა, აქ გამოიჩინა „დარი“ თავისი შეუპოვრობა. მოსათელავ მოედანზე, როგორც ხდება ხოლმე, ბევრად უფ- რო მძიმე და ალეფულებული გრუნტი იყო და ბოლო მძლავრ წახტომზე (ცხენი ტორებით ჩაეფლო, ჩაიჩინე, გაიბრძოლა, თითქოს წამოდგა კიდეც, მაგ- რამ წინასწორობა დაერღვა და გადაყირკვდა. გვერდზე გადახტომა მო- ვასწარი, ცხენიც გადარჩა, წამები რჩებოდა სტარტამდე, ტალახი ჩამოვი- რეცხეთ და გავედით. ერთი დაბრკოლება კი დავაზიანეთ, მაგრამ ჰ. მუსა- ევზე სწავლად გავიარეთ. ასე რომ, ამ ტურნირის დიდი პრიზი, მიუხედა- ვად ჩენენ გუნდის მცირერიცხოვნობისა, თბილისში წამოვიდეთ...

— ვანოს უნდა შეატყობინო, ძალზე გაუხარდება „დარის“ ნარმატება!  
— ვანო იქ იყო, თავის „შეფითან“, ბ-ნ გია კურკუმულთან ერთად...

\* \* \*

ეს კი ერთობ მოულოდნელი იყო ჩემთვის. იმ ღამესვე დაუურეკე ვანო ნორაკიძეს...

— დაას, ბატონმა გიამ გადაწყვიტა, ვნახოთ ბაქოს ტურნირიო, იგი ძლიერ არის დანანტერესებული საცხენოსნი სპორტით, და არც გვინა- ნია, ნამდვილად შესანიშნავი ასპარეზობა ვიზილეთ.

— რახან იქ ყოფილხარ, შენეული შეფასება, პროფესიონალი მხედრისა, ჩემთვის ძალზე საგულისხმო იქნება.

— შალვა და მე თანატოლები ვართ. მართალია, ახლა გუნდის მწვრთნე- ლიც არის, მაგრამ, გვფიცებით, ყოველგვარი „მრისახანებისა და მიკერძოე- ბის გარეშე“ ვიტყვი (სე ვანოს ხმა გაუმჯაცრდა. ჩვენს მეითხველს ვაცნო- ბებ, რომ ვანო ნორაკიძეს თბილისში დავით აღმაშენებლის სახელის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. უმუშავია კიდეც ამ სპეციალობით და კარგად იცის ობიექტური, მიუკერძოებელი შე- ფასების მნიშვნელობა — ნ.ე.), რომ იგი, ჩემი აზრით, გამორჩეული და ღირ- სული მხედარი იყო მთელ ტურნირზე. გამისარდა, რომ ჩემმა ახლანდელ- მა შეფასება, ბ-ნმა გიამაც დამიდასტურა ეს შთაბეჭდილება.

\* \* \*

— შალვა, „დარის“ მესამე ადგილი დამატებითი ხტომების გარე- შეც მოპავებული ჰქონდა. ჩასათვლელი ცხენიც მეორე დარჩა. ასე- თი ნაცევის შემდეგ გილირდათ დამატებით ხტომებში გამოსვლა?

— ამის განსჯის დრო არც ყოფილა, მაგრამ არის მომენტები სპორ- ტულ ბრძოლაში, როდესაც ქვეცნობიერად, ალლოთი, მხედარი ირჩევს სა- რისკო ნაბიჯს. რამები მერკანტილურ მოტივაციას ნამდვილად არ დავმორ- ჩილებივარ. საქმე ისაა, რომ „გრან პრი“ ყველგან და ყოველთვის უმაღლე- სი ჯილდო. საასპარეზო მოედანზე, მითუმეტეს უცხო ქვეყანაში, მხო- ლოდ ჩათვლაზე არ ფიქრობ. არის უფრო მაღალი მისწრაფებები, თუ ამ დროს მხედარს ბედაურიც თანაუგრძნობს, ეს უკვე სპორტული ილბალიც არის და ბედნიერებაც. რაც გნებავთ, ის დაარქვით...

მარი ლუიზე კაშნიცი

## ადამ და ევა

როცა ადამ და ევამ სამოთხე დატოვეს, ერ- თხანს თავს ცუდად გრძნობდნენ. როგორც ამ- ბობენ, გარეთ ცხოველები იყვნენ ავები, ნია- დაგი ქვიანი იყო, კლიმატი მკაცრი. ადამ და ევამ კა მხართებოზე წოლის გარდა ხომ არა- ფერი იცოდნენ და მუშაობაც უჭირდათ. რო- გორც იტყვან, ის იყო მწვანე ტოტზე დასხდ- ნენ, რომ მაშინვე უბედურება დატრიალდა მათ ვაჟებს შორის, რომლებიც, ეტყობა, ცუდად აღზარდეს. ასე იყო თუ ისე, თვითკამაყოფილი აბელი ახლა კორდებში ეგდო, მოძალადე კაენი კი სადლაც დაეხეტებოდა და აბა მშობლებს ახ- ლაც ენახათ, როგორ გავიდოდნენ ფონს მება- ლე აბელისა და მონადრე კაენის გარეშე შემ- დეგ მათ სხვა შვილები წამოეზარდნენ, და შემ- დეგ კიდევ სხვანი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე წარმომიდგენია, მაშინაც კი, როცა ადამ და ევა უკვე საცავოდ მონუცდნენ, სულ მოლად დაჩა- ჩანაკებამდე. ამ დროისათვის მათ, ცხადია, უკვე რახანია ჰქონდათ სახლი და ევაც პალმის ფოთლების ნინასფრით როდი დაიარებოდა. ორივეს ედემის ბალზე თუმცა ბუნდოვანი მო- გონებადა შემორჩენოდა, მინც იმას ბაძავდ- ნენ, რაც ოდესლაც იქ ენახათ; მაგალითად, ჭა ისეთი ამოთხარეს, რაც სიცოცხლის წყალს აგონებდათ, გააძენეს ბალი და მოაშინაურეს ცხოველები, რომლებიც შემოზღუდულ გარე- მოში მშვიდობიანად ცხოველობდნენ, ისევე რო- გორც სამოთხის ცხოველები. ყოველივე ეს იქ- ნებ არასრულყოფილი იყო, მაგრამ მუშაობა სიხარულს ჰგებიდათ, სალამის კი გარს შე- მოვლა და იმაზე ფიქრი, თუ რა იყო კიდევ სა- კეთებელი. დროთა განმავლობაში ძალზე თვითკამაყოფილ ადამიანებად იქცნენ; ადამს ზოგჯერ იმგვარი გრძნობაც ეუფლებოდა, თითქოს ღმერთი ყოფილიყო.

ამიტომაც ეგზომ გაიცადა, როცა შე- იტყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნდა მომკვ- დარიყო! ისე კი არა, რომ რაიმე ცნობა ან ნი- შანი მიეღო, უბრალოდ იხილა ერთ სალამის, თუ როგორ დაცა ერთ-ერთი ცხოველი მისი ნახირიდან მკვდარი და, რადგან ამ დიდ, ძლი- ერ ვაცს საკუთარ თავს ხშირად ადარებდა, გაიფიქრა, ამ მხრივ ამ ცხოველზე არც მეტი ვარ. როცა ეს გაიაზრა, სა- კუთარ არსებაში ათასგვარი ნაკლი შენიშნა, რასაც მანამდე არ სცნობდა: თვალის სისუ- სტე, ხელის კანკალი, სმენის დაქვეითება. ეს სიკვდილია, გაიფიქრა თავზარდაცემულმა, როცა იმ სალამის რაღაც მყიფე საგანი ხელი-

დან გაუსხლტა. რა დაგემართა? — ჰყითხა ევამ, რადგან იგი გაქვავებული იდგა, როცა ქალი ნამსხვრევებს აგროვებდა. კითხვა: რა დაგემართა? — ევამ შემდგომ ხანებშიც რამდენჯერმე დაუსვა, რადგან ადამმა უცნაურად მოქცევა დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, დამით უძილობა დასწებდა, მოუსვენრად წრიალებდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, ან კიდევ ზურგზე ინვა მდუმარედ და ჭერს მიმტერებოდა. ძილი არ ეკარებოდა, რადგან ბევრი საფიქრალი ჰქონდა; მაგრამ ეს ფიქრები, მისთვის აგრძერიგად რომ გაეკრთო ძილი, როდი გახლდათ დიდებული — სიკვდილზე ან ღმერთზე, უფრო საშინელი სიჯიუტისეკნ იხრებოდნენ, სახლის წვრილმანი საზრუნავისკნ: იქნებოდა ეს სარწყავი მოწყობილობის გაუმართობათ თუ დაზიანებული ადგილი ჭერში, როცა უკვე ინათებდა და შინ ყველანი თავიანთ საქმიანობას შეუდგებოდნენ, მას საშინელი დაღლილობა ეუფლებოდა და ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ საუზმის შემდეგ მაშინვე ისევ წვებოდა და კარგა ხანს სანოლში რჩებოდა. ეს ამბავი თვითონაც მეტად ოცებდა, მაგრამ კიდევ უფრო საკვირველი იყო მისი მგრძნობელობა დღის განხავლობაში გარკვეული ხმების მიშართ. ძალის ყეფა აცოფებდა, თუთიყუშის ყრანტალი — კიდევ უფრო მეტად. ასევე მაიმუნების საშინელი ყვირილი, სახლის უკან რომ თამაშობდნენ. სჯეროდა, რომ ისინი ამ სულელურ ხმაურს სწორედ მის გასარისხებლად ტეხდნენ. ბავშვებიც ყოველ ნაბიჯზე უგუნდებობას ინვევდნენ მასში, განსაკუთრებით მოზარდები. თავში გაუელვებდა, რომ ისინი რაღაც იდიოტურ გამოთქმებს განუწყვეტლივ მოურიდებლად იმეორებდნენ და მჭექარე ხმით მდარე სიმღერებს გამალიზანებლად ხმამალა მღეროდნენ.

ბოლოს და ბოლოს მე ვარ მამა და კაცი, რომელმაც რა-  
ღაც შექმნა, ახლა ის ცუდადადა და უფლება აქვს მოითხოვოს,  
პატივი სცენი. — ფიქრობდა თავისთვის. ეს რაღაც ახალი იყო  
მასში, ამგვარი აზრები, ასევე სურვილი იმისა, რომ იქუმრო-  
ბას გასცოლდა, სადაც არ აფასებდნენ და მის სიტყვასაც  
არად აგდებდნენ. რამდენჯერმე დამით ხან ერთ, ხან მეორე  
მხარეს აწყდებოდა, ბოლოს ამ ხეტიალში მიხვდა, რომ რა-  
ღაც კონკრეტულს ეძებდა; კერძოდ, ედემის ბალის ჭიშკარს,  
რომელსაც პირველ ხანებში ამ ხეტიალისას ზოგჯერ აწყდე-  
ბოდა კიდეც, ჩამავალი მზის მენამულ ფონზე ანგელოზინ  
რომ დარაჯობდნენ ლრუბლის ქულებივინი ქათქათა ფრთე-  
ბით, მოელვარე ნაცრისფეროში ესოდენ შშევნივრად რომ გა-  
მოკროთოდა. ერთხელაც ჭიშკარი იქ ალარ დაუხვდა, სადაც  
ეგულებოდა და მანაც მალე შეწყვიტა ძებნა. მხოლოდ გა-  
რეთ გასვლის საბაზით აგრძელებდა შემოვლას, ყველაფერს  
ათვალიერებდა, რაც კი გაეკეთებინა და ალარ მოსწონდა. აკ-  
ვირდებოდა საკუთარ შვილებს და ისინი ზარმაცებად, ქა-  
რაფშუტებად და უუნაროებად მიაჩნდა საიმისოდ, რომ მისი  
დაწყებული საქმე გაეგრძელებინათ, ის საქმე, რისი დასრუ-  
ლებაც მეტ-ნაკლებად ვერ მოახერხა. ყოველივე ამაზე საუ-  
ბარი ევასთანაც სცადა, მაგრამ ქალს მხოლოდ გაეტინა და  
კაჯი მისი გულებრიოლობით ძლიერ გულატკენი დარჩა.

შემდგავს ხანებში კი მას სულ უფრო მეტი მიზეზი რჩებოდა ცოლით უკმაყიფილებისა. როცა, მისა გაუცხოების მიუხედავად, ევა სიყვარულითა და მზრუნველობით ეკცეოდა, (ცდილობდა, მშვიდი გარემო შეექმნა, ქმარს იგი დღითიდელ უფრო გულივავი ეწვინობოდა. განძიყობა ევას შესა-

ეს გრძნობა მართლაც საშინელია კაცისთვის, ვინც გაი-აზრა, რომ მისი ცხოვრება მარადიული არ არის, იგი უნდა მოკვდეს; და ამ გადმოსახედიდან თავის ყველა ნამოქმედარს ეჭვევეშ აყენებს. ეს საშინელება იყო ადამისთვის, რომელიც ახლა ირგვლივ დაიარებოდა და ყოველივედან, რაც კი შეუქმნია, თვალში არაფერი მოსდომოდა და უკვე ჩვეული დარღიდან კიდევ ცხარე პრეტენზიებს გამოუხმობდა. მაგრამ როგორც შემდგომ გაირკაა, ეს როდი იყო ყველაზე საშინელი, რადგან გულგრილობაზე უფრო საშიში ხომ ლალატია.

სავარაუდოა, რომ ადამმა, თუმცა ბევრი რამ იცოდა, მაგრამ მსგავსი რამ ცხოვრებაში არ გამოეცადა. იგი ხომ ერთადერთი კაცი იყო, ვინც ევგასათვის მოიაზრებოდა, რად-გან ირგვლივ მხოლოდ მისი ვაჟები და შეილიშვილები იყვნენ. თუმცა ადრე, ვიდრე ევა სადმე მარტო წავიდოდა და დიდხანს ჩრებოდა, მას მაინც მოუსვერობა ეტყობოდა. ხო-ლო უკან დაბრუნებულ ევას სახე ყოველთვის განსაკუთრე-ბით უბრნებინვდა და სიყვარულით აღსავს გახსლდათ. თან ყოველთვის რაღაც უჩვეულო მოძქონდა. ამ დროს ადამი გრძნობდა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ამ ქალისაგან სიყვარულისა და გულითადობის გარდა სხვა არა განუცდია რა. მაგრამ იმ ნუთას, როცა საკუთარი ბედნიერება გაიაზრა, მისთვის ეს ბედნიერება უკვე ჩავლილი იყო. აქამდე მას ევას თვალებში მოღალატე მზერა არ უგრძებნა. ევა მისგან სხვა მხარეს ხომ არასოდეს შებრუნებულა, რათა ყური სხვა ხმის-თვის მიეპყრო. ახლა იგრძნო ეს ყოველივე, ეჭვიანობის მოზ-



ლი ტანჯვა-წამება, მაგრამ ეს ვინმე საყვარელი კი არა, რა-დაც ფანტომი გახლდათ მისი მეტოქე; კაცი კი არა, ვისთა-ნაც შეეძლო ეომა, ებრძოლა, არამედ სიყვარულის სიზმარე-ული ხატი და უბრალოდ თვითცხოვრება.

იგი მშვენივრად ხედავდა, რომ ევა სიყმაწვილისა და სი-ცოცხლისაკენ იყო მიღრეკილი. ერთხელ შენიშნა, ქალი ბავშვებს სიტყვებით კი არ მიმართავდა, არამედ საოცრად იდუმალი სინა-ზია, ნდობით ალსავსე კეთილი მზერით უმზერდა მათ. როცა ადამმა ერთ-ერთი ასეთი მზერა დაიჭირა, შეკრთა, რო-გორც რაღაც უეცარი დარტყმისას ხდება ხოლმე. ამ დროიდან მოყოლებული ყველაფრისადმი ნდობა დაკარგა, — ირგვლივ ყოველივეს აყურადებდა და სახლში ფეხაკრეფით დადიოდა. ერ-თხელ, როდესაც ევასთან მცხუნვარე მზის გამო მოთქამდა, დაინახა ქალი როგორ აფიცხებდა სახესა და ხელებს თითქოს სწორედ იმას, რაც მას ასე ანუ-ხებდა, ანუ მისი ტანჯვა ქალისათვის სიხარული იყო. ამგვარი დაკვირვების შედეგად მიტოვებული საპყარის განც-და კიდევ უფრო ეძალებოდა. იმ დროს იხსენებდა, როცა ორივენი ჯერ კიდევ მარტო იყვნენ, საშინლად მარტონი და ერთმანეთზე მიჯაჭვულნი. მაშინ დაი-ფიცეს, ერთმანეთი არასოდეს მიეტო-ვებინათ. ახლა ევა ისევ მის მხარეს იყო, არსად ნასულა, მაგრამ ადამი ფიქრობდა, რომ ქალი მას დაშორდა და ყოველ-დღე სულ უფრო ლრმავდებოდა უფსკ-რული მათ შორის. ამ საშინელ უნდობ-ლობაში ადამი ყოველი დაშორების ნვრილმანებს გულმოდგინედ ინახავდა გულში. თითქოს იმასაც ამჩნევდა, რომ მის სიტყვებზე ევას ნაკვთებს ჩუმი მო-უსვენრიბა გადაურბენდა ხოლმე. როცა ქალი ეტყოდა, დიდი ხნით გავდივარო, მის ბაგეთაგან თითქოს შვების ლიმილი გამოკრთოდა, ხოლო როცა გაშორდებოდა, მისი ხმა, შორიდან ისევ რომ მო-ესმოდა, თითქოს უფრო ხალისიანად და ლალად ჟღერდა. ერთხელ, როცა სავაჩშმოდ ისხდნენ, თვა-ლი ჰკიდა და შენიშნა, რომ ქალს კანი მოპერებოდა, თმაშიც ჭაღარა შეპპარვოდა; ასევე შეატყო, რომ სახსრები სტკიო-და და დეველებურად თავისუფლად და მხნედ ეკედი მოძრა-ობდა. იგი ჩემზე ახალგაზრდა როდია, ფიქრობდა კაცი, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს უსაზღვრო დრო ედოს ნინ — მარადიული დრო. შემდეგ კი უცებ გაიციქრა: მან ხომ არა-ფერი იცის, მნი ეს არ იცის, — და კაცი მისმა გულუბრყვი-ლობაში გააბრაზა. ჭამის შემდეგ ევა ისევ გარეთ გავიდა ეზოში ბავშვების სათამაშოების მოსაგროვებლად. ადამი თან გაჰყვა, მასთან გაჩერდა და ქალს მავედრებელი მზე-რა მიაჰყო. — დაბერდი ჩემთან ერთად, ჩემთან ერთად მოხუცდი! — მაგრამ ცხადია, ეს სიტყვები არ წარმოუთქ-

ვამს. ამის ნაცვლად კოლოებზე ჩივილს მოჰყვა ველური და სასონარკვეთილი ხმით. — შენ ხომ სულ რაღაც განუხებს, — უთხრა ევამ და თავი გააწინა.

იმ დამეს ადამმა გადაწყვიტა ევასთვის ეთქვა, რომ ის მოკვდავია და ერთხელაც იქნება, აღესრულება. შესაძ-ლოა, ეს ჯერ იმის გამო არ მოიმქმედ, რომ მთვარის შუ-ქი ითახში ძალზე ნათლად ასხივებდა და თან სწორედ ევას სახეზე ეფინა და ეს სახე იმგვარად საცსე იყო ცხოვრების ხიბლით გასხივოსნებული ღიმილით ძილში. მაგრამ ამ სახემ ადამში, ვინც მრავალი საათი უძილობაში გაატარა, შერისძიების ბნელი სურვილი აანთო. მან ევა გააღვიძა, ქალმა თვალები მო-იფშვნიტა და ჰკითხა: ბავშვებს ხომ არ უჭირთ რამეო. — ჩვენ უნდა მოვკვდეთ, — უთხრა ადამმა, თან ისეთ გუნდებაზე იყო, თითქოს ეს არის კვდებაო, — ესეც ახალი ამბავი, — უთხრა ევამ დამცინა-ვად, — ეგ რა ხანია, ისედაც ვიცი! — მერე ამაზე არ გიფიქრია? — ჰკითხა ადამმა, როგორც კი ამ მოულოდნელი პასუსისაგან სული მოითქვა. — რასაც კი აქ დავტოვებთ, ყოველივე არას-რულყოფილია და გახვრეტილი გროშის ფასი აქცს. — ვიღაცა ხომ დაასრუ-ლებს, — მიუგო ევამ. — ჩვენი შვილები ზანტები და ქარაფშუტები არიან. — მკაცრი ტონით თქვა ადამმა. — მათ არ იციან, რა არის შრომა და თავს დაიღუ-ბავენ. — მათგან რაღაც მაინც გამოვა, — თქვა ევამ, — და ნეტა რაღა გამოვა ჩვენგან? — ჰკითხა ადამმა და თავი ხე-ლებში ჩარგო. — ჩვენ ისევ ერთად დავ-რჩებით, — მიუგო ევამ, — ბალში დავ-ბრუნდებით. — ადამს ხელები ყელზე შემოხვია და სიყვარულით საცსე მზერა მიაპყრო. — ბალი განა ისევ იქა? — ჰკითხა გაოცებულმა ადამმა. — რა თქმა უნდა, — უპასუხა ევამ. — საიდან იცი? — როგორ ფიქრობ, საიდან მქონ-და ის ნერგები, შენ რომ მოგიტანე, ან ცეცხლოვანი შრომანის ბოლქვები საი-დან მქონდა? ან კიდევ ის მშვენიერი მბრწყინავი ქვა, რო-გორ გაონია, საიდან? — კი მაგრამ, საიდან გქონდა ყოვე-ლივე ეს? — ანგელოზებმა ჭიშკრიდან გადმომიგდეს. რო-დესაც იქ მიგალთ, ანგელოზებს დავუსხებ და ჭიშკარს გამიღებენ. — უთხრა ევამ.

ადამმა თავი ნელა ჩაქინდრა, რადგან თვალინი რაღაც შორეულმა და ბუნდოვანმა მოგონებამ გადაურბინა, — ჰკ, სწორედ შენ გაგილებენ! უთხრა მან და სიცილი და-იწყო ხმამალლა და გულიანად, პირველად, ვინ იცის, რამ-დენი ხნის შემდეგ.

გერმანულიდან თარგმნა  
რუსულად გეზაშვილმა



მხატვარი ნინო დვალი

1622 წლის სექტემბერში პიეტრო  
დელა ვალე ეთხოვებოდა შირაზს და  
იქ ტყვეობაში მყოფ ქეთევან დედო-  
ფალს, თავისი მოგზაურობის დღიურ-

ში კი წერდა: „დედოფლის სახე ღირსია დიდებული პოემისა, საკადრისი ქება რომ მიეგოს მას, მაგრამ ეს ტვირთი ერთობ მძიმეა ჩემი მხრებისათვის“.

ამას ამბობდა გამოჩენილი იტალიური, თავისი ეპოქის უგანათლებულესი პიროვნება, დაჯილდოებული პოეტური ნიჭით, აღმოსავლური ენებისა და მწერლობის მცოდნე, თვალსაჩინო ისტორიკოსი და ეთნოგრაფი.

დედოფლის წამებიდან (1624 წ.) გაყვადა რამდენიმე წელზადი და საქართველოში დაიწრო „წამება ქეთევნო დედოფლისა“, რომელსაც არც ალტრონოვანება აკლიდა და არც მოხდენილი ოსტატიობა.

დედოფლის ნამებიდან გაივლის მეოთხედი საუკუნე და სა-ქართველოდან ესოდენ შორეულ გერმანიაში, სადაც ორიოდე კაცს თუ ექნებოდა გაგონილი პატარა ქრისტიანული ქვეყნის თავგადასავალი, გერმანელი მწერალი ხოტბას შეასხამს ნამე-ბულ ქართველ დედოფლას.

გრიფიუსის ტრაგედიის ფურცლებზე შესანიშნავად არის ნაჩვენები, რომ დედოფლის შებორკილ სხეულში სუფერს თავი-სუფალი სული — უპირველესი ნიძანი ადამიანური ღირსებისა და ზნეობრივი ძლევამოსილებისა. სწორედ ამ სულის ჩაქრიბა, რო-  
გორც სახიფათო ხანძრისა, იყო სეფიანთა დიდი ხელმწიფის მთა-  
ვარი მიზანი.

სავებით ბუნებრივია, რომ ქართულ მწერლობას არასოდეს აინტენსუალურად გეოგრაფიული მასალების სახელი და სასახლელ საქმე-ნი. ინგრებოდა პაგიოგრაფიული თხზულებანი, პიესები, რომანები და ლექსები გამორჩეული სტრიქონებით: ცეცხლით სწავლენები ტანხმარცულ დედოფალსა, უძრეკ იყო დედოფალი.. ზომ-ზიმებს დასტა საჭურისების, თავისუფლებას ჯვარზე აცვამენ... ეგრე დედოფალო, ეგრე, ცოტაც და ინტენსუალურად გეცა...

ანშეკუდ მომავალი ჩვენი თანამედროვე პოეტების ხმით ამნევებდა ნირსულის: ამათ არ ყოფილა თქვენი გარჯანი, თქვენი ომები, თქვენი თავდაცება, ცრემლი და სისხლი. გვასსოებს და არასოდეს დაგვავინწყება თქვენი სახელები; და ჯერ საქართველოც არ დალუპულა, ვიდრე ჩვენ ვცოცხლობთო...

— ამ გენებარე თემას შეუძლებელია არ მიეზიდა ოთარ ჩეხები — შემოქმედი თანამედროვე „ქართლის მატიანისა“, „უხილავი და უწყვეტი ძაფებით რომ გადაჭდობია „ქართლის ცხოვრუბას“.

ხოლო ტვირთის სიმძმეს, თემიშურაზ პირველისა და ანდრე-ას გრიფიუსის დარად, არც ოთარ ჩეხიძე შეუძინება. მის ტრაგე-დიაპი „ქეთევანი“ იოლად შენიშნება მხატვრული სინაზღვილის ჭიდოლი ისტორიულ სინამდვილესთან, რომელიც ზოგჯერ გაუკ-კევლელი ჩვენს ისტორიოგრაფიაში და მოთხოვს შემგრძნ-ელევა-ძებას ყოველგვარი კითხვის ინიშნების გასაძრობად. მაგრამ მწერალი ისტორიული სინამდვილის დადგნენას ტროვებს მკვლევრთა პრეროგატივად და თავად კი ჯოუტად ექცება მხატვ-რულ სინამდვილეს. ექცება, პოულობს და ამტკიცებს.

მშერლის კრიტიკული დამოკიდებულება სასატოროო წყაროების მიმართ ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა ნაქართველარი შირაზის ხანის პორტრეტში. საკმაოდ მოულოდნელი იყო მისი ახლებური ინტერესებისა, რომელიც არ ეთანხმებოდა ჩვენში და მკაფიოდ გამოისავათ.

სიახლე და მხოლოდ სიახლე — ამ პათიოსთ არის გამსტყვალული მთელი ტრაგედია. იბადება ორიგინალური მოტივები: „რეანიმაცია“ უსამართლოდ მოვიწყებული ლევან ბატონიშვილისა (ოქონურაზ პირველის ძისა); გამოგონილი ჭერსონაჟი ნითა — მსხვერპლი მშობელი მამის (შირაზის ხანის) ავეკაციბისა; ურცხვად და უღმობლად გათელილი სიყვარული თავდანაწილა დასალუპაძ განწირუ-

## ၁၆ ဖြောက်တော်လုပ်မှု ချိန်

ლი ქალ-გაფისა; ანტიკური ქოროს შემზარავი ვარიაცია — ყოველგვარი სიკეთის მიმართ მტრულად და ცინიკურად განწყობილი ხროვა საჭირისთა.

ერთი სიტყვით, მკითხველის თვალწინ გადაიშლება სრულიად ახალი სამყარო — ნაყოფი მწერლის შემოქმედებითი ფარგაზისა. ეს არის სამყარო, რომელსაც ვერსად იხილავს მკითხველი. ოთარ ჩეხიძის ტრაგედიაში მხოლოდ ერთი რამ რჩება ტრადიციული. მწერლის ორიგინალური თვალთახედვა არ ეხება ერთადერთ პერსონაჟს — ქეთევან დედოფალს.

მნერალი ექვება საკუთარ ბილიკებს, იპოვა და გაკალა კი-  
დეც. მაგრამ არ ღალატობს მთავარ გზას. უდავო და უცვლელი  
რჩება ქეთევან დედოფლის უკვდავი სახება, ქართველი ხალხის  
მეხსიერებაში რომ დავანებულა სამარადისოდ. და ვერ შეძლა-  
ლავს ვერაცითარი ახლებური გააზრება ანუ ვაი-ნოვატორთა  
უსამსა ახირებანი.

ოთარ შეიძინას ტრაგედიაში, როგორც შეჰქორის ტრაგედიას, იღუპებიან მთავარ გმირები — ნამებულიცა და ჯალათიც, თეი-მურაზის შეილიშვილები და შირაზის ხანის ასული... მხოლოდ საჭურისნი გადაურჩებიან სიკვდილს და მიელობიან უკვადვებას. ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალს მოვლენათა ტრაგიკულ მსვლელობას. არავერდი არ ერევიან, ტკბებიან მოახლოებული უზედურებით, რომელიც თავს უნდა დაატყდეს ზნებრივი სიმაღლითა და სიმამაცით დაჯილდოებულ ფიგურებს. სკეპტიკიზმი და ცინიზმი, ოპპორტუნისტურობა და თვალობებულობა და გაიძვერობა, სიხარული ადამიანის დაკანებისა და აბუჩად აგდების გამო — აი, რა ახასიათებს მათ. არარარად მიჩნიათ თოგულება და სიყვარული. ტაშს უკარავეს იმ გარემოს, სადაც მუსანათობის კერით უწყვალოდ ლენქას აცნებებსა და იძეგებს, სიკეთესა და ამაღლებულ მისწრაფებებს. ისინი აღტაცებას გამოთქვამენ შირაზის ხანის სიკვდილზეც: „არვის შერჩება ერთი დროო, არ შეგრჩა შენცა, დაროვა უამა და აღმოგხდა ვერაგი სული, სული მტარვლი, მზა კვარი და მსმელი სისხლისას“. და იგივე საჭურისნი, სხვის გასაგონად, თვალთმაქცურ გლოვას შეუდგებიან: „მზე ჩასვენა, დაგვიპნელდა, აღარ გვინათებს, ამიერიდან სინათლე ჩვენ არ გვეიროსება“.

მნერლის მიერ დაბატული საჭურისთა ქორო, ცხადია სწორ- ხაზვნად არ შეიძლება გავიგოო მუჟხედავად ტრაგედიის ანტუ- რაჟისა. საჭურისობა, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ადამიანური უკითხურების სიბოლოს.

ოთარ ჩხეიძე განსაკუთრებით უსვამს საზა ქეთევან დედოფლისა და თემურაზ პირველის სულიერ სიახლოვეს. დედა და შვილი ერთ საქმეს მსახურებენ. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ერთი უიარღოა და მეორე — იარაღას სხმული. ქეთევან დედოფალს ანამებენ იმიტომ, რომ საქართველო არ ემორჩილება ყიზილაბექსა და ამ ბრძოლას სათავეში უდგას თეიმურაზი, ევროპელ ავტორთა მიერ, „უბედურ და მამაც მეფედე“ წოდებული კაცი.

შირაზის სხინ ბრალს სდებს დელფინალს, თეიმურაზს ხელს უწყობოდ და სნამებს ლალატს („ეს ლალატია!“); მაშინ ქეთვანიც სხინის ფრჩხილებს და ხმამაღლა ნარმორქვამს თავის მრნამს: „ეს პო ომია, წმინდა ომი თავისუფლების, ერის გამოხსინის, გა-დარჩენის, და/კა მამულის“.

ქეთვებისა და თეომურაზის სულიერი ერთიანობა კიდევ უფრო მძლავრად აყდარდება დედოფლის უკანას სკნელ ლოცვები. და აი, ავტორის თამაში სვლაც — ქეთვებანი წარმოთქვამს შვილის იმ სტრუქტურებს, რომლებიც მისა წახებიდან ხუთი წლის შემდეგ დაინერება: „რადგან მომკლა უწყალიმან, დრო იპოვა ჩემსა ზედა, სასწაული მოავლინე ქრისტიანთა ტყვეთა ზედა, შვილსა ჩემსა თეომურაზს ძლევა მიეც მტრისა ზედა!“

აი, ასე აღადგენს ოთხ ჩეებიძე ისტორიულ სამართლიანობას. თეიზურაზის შემოქმედებითა ფანტაზიით შეთხხულ სიტყვებს მიაკეთვნებს ჭეშმარიტ ავტორს — წამებულ ქეთევან დეკოდას.

— ვნახოთ ერთი, რა გამოგვივი-და... ჩრდილოეთში ყველაფერი რიგ-ზეა, ნორმალურადაა. ფინების დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენს წინაშე და საზღვარი დავამორეთ ლენინგრადს. ბალტიისპირეთი — ოდითგანვე რუსული მინები! — კვლავ ჩვენს ხელთაა. ახლა ბელორუსებიც, ყველანი ცხოვრობენ ერთად, უკრაინელები — ერთად, მოლდაველები — ერთად. დასავლეთში ყველაფერი ნორმალურად არის... აღმოსავლეთში როგორდა საქმე? კურილის კუნძულები ახლა ჩვენია, სახალინიც მთლანანა ჩვენია, ერთ შეტელით, რა კარგად მიდის საქმე? პორტ-არტურიც ჩვენია, დალნიც ჩვენია... ჩინეთი, მონღოლეთი — აქაც სრული წესრიგია... სამხრეთი? აქ კი ჩვენი საზღვრები არ მომზონს...

თუკი მოგახსენებთ, რომ ეს ვრცელი ციტატა დამონმებულია ვალენტინ ბერეჟკოვის ნიგნიდან „როგორ გავხდი სტალინის თარჯიმინა“ (მოსკოვი, 1993), იოლი მისახვედრი იქნება, ვინ გახდავთ ამ მონილოგის ავტორი.

იმყოფება თავის აგარაზე კუნცევოში და ათვალიერებს საბჭოთა კავშირის ახალდაბეჭდილ რუსას — ახლი საზღვრებით. თავისი ჩვეულებისამგრ ჭიკარტებით მიუმაგრებია რუსა კედელზე და განუყრელ ჩიბუს მიატარ-მოატარებს უზარმაზარი იმპერიის ოთხუთხივ:

ბერეჟკოვი აღნიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიები სტალინისა მიიღო, ნაწილობრივ, პიტლერთან შეთანხმებით (1939 წ.) და, ნაწილობრივ, ძლევამოსილი და სისხლისმღვრელი ომის შედეგად — ანტიატლერულ კოალიციაში გაერთიანებულ მოკავშირეთა დასტურით.

ბერეჟკოვი დასტენს: „სტალინი შეაყრობილი იყო იმპერიული ამბიციებით. მას ენადა დაებრუნებინა ყველა ის ტერიტორია, რომელიც წინათ მეფის რუსეთის შემადგენლობაში იყო“.

სტალინი, რომელიც სათავეში ედგა იმპერიას, ბურნებრივა, შეპყრობილი იქნებოდა „იმპერიული ამბიციებით“, რასაც თავის „ხაზების“ თითქოსდა საყვედურობს უაღრესად საინტერესო მოგნებათა ავტორი.

მაგრამ განა მოულოდნელი არ გახდავთ ის ფაქტი, რომ თავად ბერეჟკოვი, ჩვეულებრივ საბჭოთა მოკედვი, თავს დროზე, იმავე „იმპერიული ამბიციებით“ ყოფილა შეპყრობილი და როგორც პატიოსანი კაცი, ამას სრულიადაც არ მაღავს, თუმცა ერთგარი მობოლიშებით კი ისხენებას:

1940 წლის 25 ნოემბერს საგარეო საქმეთა შეფარა მოლოტოვმა აცნობა გერმანიის ერჩის — გრაფ შულენბურგს, რომ საბჭოთა მთავრობა დადებითად ეკიდება პოლოტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობისათვის „ოთხთა პატეტის“ დადებას გარკვეული პირობების თანხლებით. ერთ-ერთი პირობა იყო ბოსფორისა და დარდანელის რაიონში საბჭოთა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის ბაზების შექმნა გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე. მოლოტოვის სიტყვით, თუკი თურქეთი წინააღმდეგი იქნებოდა სრუტებში საბჭოთა ბაზების შექმნისა, მაშინ სამ სახელმწიფოს

გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ჯუმბერ გოგონიჭიანის — ჯუბა დებელის პოეზიის საღამო, რომელსაც უძღვებოდა პოეტი მზია ხეთაგური.

სიტყვით გამოვიდნენ: თემურ ჩალაძაშვილი, რევაზ მიშველაძე, ნინო ქუთათელეძე, მარინე თექთუმანიძე, თემურ ჭუმბაშვილი, თენგო ავსაჯანიშვილი, შოთა ტოვონძე, გოჩა გუტაშვილი, ქუთევან დოლიძე, ნინო ტარყაშვილი, დალი უბილავა, ირმა შიომლაშვილი, ბადათორ არაბული, ელგუჯა ლებანიძე, იზა ჯაჭვაძე, ეკა ბაქრაძე, ნოდარ ნერეთელი...

პოეტებმა, მეგობრებმა, ჯუმბერის პოეზიის თაყვანის მცემლებმა ერთხმად აღიმშენეს, რომ იგი არის მოკრძალებული, მეგობრული, კეთილშობილი პიროვნება, გულწრფელია, მისი პოეზია არის პროტესტი სიტლანქის, ხმაურის, ადამიანთა გაუტანლობის, მღელვარე

## ოცება კონსტანტინოპოლის

(გერმანია, იტალია და საბჭოთა კავშირი) უნდა დაემუშავებონა და განეხორციელებინა აუცილებელი დიპლომატიური და სამხედრო ლონისძიებანი.

ახლა დააკვირდით ბერეჟკოვის ემოციებს:

„შულენბურგს რომ ვაცილებდი, უწევული აღტაცება დამუშავდა ჩვენი ბაზები ბოსფორსა და დარდანებით! ეს რაღაც ფანტასტიკა! გამახსენდა სიტყვები „გრძენულ ლეგზე სიმღერიდან“: ცარგრადის კარზე ჰკადია შენი ამაყი ფრიო (ცარგრადი — რუსული სახელმწიფება კონსტანტინოპოლისა ანუ სტამბოლისა).“

ბერეჟკოვის ისაც გაახსენდდ, რომ ცირკელი მსოფლიო ომის წლებში ინგლისი და საფრანგეთი დაპირისტებინ რუსეთს, რომ გერმანიის მხარეზე მეომარი თურქეთის დამარცხების შემდეგ კონსტანტინოპოლისა და სრუტეებს თქვენ გადმოგცემოთ.

ბერეჟკოვი წერს: „ნუთუ რუსეთის თვითმპურობელთა ამ ოდინდელ უცნებას ფრთხებს შეასხამს სტალინი? მაშ სხვა რაღა უნდა უნიოდო, თუ არ — ბრძნები და დიდი ბელადი? რაღაცნაირი „ველიკოდერულავა“ ბურანი“ შემომეცვაი. სრულად აღარ დაფიქტრულება იმაზე, თუ რომელ ვაებსა, ცრემლსა და სისხლს მოიტანდა ამ გეგმების რეალიზაციას.“

მაშინ ბერეჟკოვი 24 წლისა ყოფილა და ზემოთქმულს ჭაბუკურ აღტანებად ვერ ჩამოვართმევთ. დაფიქრებით კი მაშინდა დაფიქრიშებულა, როდესაც საბჭოთა კავშირმა თქვენი ჭრი წაიღო.

დიახ, „იმპერიული ამბიციებით“ შეპყრობილი იყო არა მარტო იმპერიის მძრანებელი, არამედ ბერეჟკოვიც, ახალგაზრდა კომუნისტი, პროფესიონი — ინიციერ-გემომშენებლი, ხოლო ბედისა და საკუთარი ნიჭის წყალობით — უმაღლესა რანგის თარჯიმანი მეორე მსოფლიო ომის წლებში.

მაგრამ აქ კომუნისტობაში არ არის საქმე. ასეთივე „იმპერიული ამბიციები“ ანუხებდა ცნობილ მონარქისატ შულგინს, წითელი რუსეთიდან გაქცეული 1920 წელს რომ ჩავიდა კონსტანტინოპოლში, რომელზედაც, როგორც თავად ბრძანებს, პრეტეზია არაერთხელ და საკევწილდ გაგვიცხადებათ.

უცნური დამთხვევაა — შულგინსაც ის საკრამენტული სიტყვები აგონდება სტამბოლში ჩასვლისას, ბერეჟკოვის რომ უტრისტებიდან თავშეშე, ილონდ სევდიდან ელფერით აგონდება: „ცარგრადის კარზე ჰკიდიან შენი ამაყი ფარი“. მაგრამ ამ გადასაცავის შემდეგი და ამბიციებით“.

კიდევ უფრო დარე — დიდებული რუსი მნერალი დამტებული რომელსაც 1876 წლით დათარილებული პუბლიცისტური დღიურის ერთ-ერთი თავი ასე დაუსათაურება: „ეიდევ ერთხელ იმს შესახებ, რომ კონსტანტინოპოლი, ადრე იმპერიული ამბიციებით“.

მონარქისტი შულგინი და კომუნისტი ბერეჟკოვი თანაბრად არიან შეპყრობილი „იმპერიული ამბიციებით“.

კიდევ უფრო დარე — დიდებული რუსი მნერალი დამტებული რომელსაც 1876 წლით დათარილებული პუბლიცისტური დღიურის ერთ-ერთი თავი ასე დაუსათაურება: „ეიდევ ერთხელ იმს შესახებ, რომ კონსტანტინოპოლი, ადრე იმპერიული ამბიციებით“.

აბა აქ რაღა მოსატანია სტალინის „იმპერიული ამბიციები“?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კრემლის მპრანგებელი ერთგულად ემსახურებოდა იმ ქვეყნის საუკუნოვან ტრადიციებს, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ცხოვრების მიმართ; ის სულიერი ოაზისია, სადაც შეიძლება შეისვენონ და მოისვენონ. განსაკუთრებით გამოიჩინება პოეტის შემორჩენებით ჩასვლისას, ბერეჟკოვის რომ უტრისტებიდან თავშეშე, ილონდ სევდიდან ელფერით აგონდება: „ცარგრადის კარზე ჰკადია შენი ამაყი ფარი“. მაგრამ ამ გადასაცავის შემდეგი და ამბიციებით“.

კუთხის შემდეგ და ამ გადასაცავის შემდეგი და ამბიციებით“ ანუხებდა ცნობილ მონარქისატ შულგინს, წითელი რუსეთიდან გაქცეული 1920 წელს რომ ჩავიდა კონსტანტინოპოლი, ადრე იმპერიული ამბიციებით“.

ალსანძნევა, რომ ჯუბა დებელმა ეს საღამო უცხოეთიდან

ახალდაბრუნებულ მეუღლეს ნანა თეთრაძეს მიუძღვნა, ვინც მისი შემოქმედების მუზა ხშირად გამზდარა.